

1942

ქ. 3. პეტრე სახელმწიფო სამეცნიერო
სასოფთო-საგარენო ინსტიტუტის
გამოცემა



გამოცემა

XVII

ТРУДЫ
ГРУЗИНСКОГО
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ИНСТИТУТА ИМЕНИ Л. П. БЕРИЯ
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE
GEORGIAN AGRICULTURAL
INSTITUTE NAMED AFTER
L. P. BERIA TBILISI

ქ. 3. პეტრე სახ. სამეცნიერო სასოფთო-საგარენო ინსტიტუტის გამოცემა

თბილისი—1942

საქართველოს
სამეცნიერო-საგანგმოო ინსტიტუტი



እናጋዬ

XVII

Т Р У ДЫ
ГРУЗИНСКОГО
СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
Института
ТБИЛИСИ

PROCEEDINGS OF THE
GEORGIAN AGRICULTURAL
INSTITUTE NAMED [REDACTED]
[REDACTED] TBILISI

3841



სარედაქტო კოლეგია

დოც. ნ. ტ. გელაშვილი (პ/მგ. რედაქტორი), აკად. ნ. ნ. კეცხოველი,
აკად. ტ. გ. კვარაცხელია, პროფ. ვ. ზ. ღვალაძე,
ე. გ. ფოფხაძე (პ/მგ. მდივანი).

Редакционная коллегия

Доц. Н. Т. Гелашвили (отв. редактор), акад. Н. Н. Кецховели,
акад. Т. К. Кварацхелиа, проф. В. З. Гваладзе,
Е. Г. Попгадзе (отв. секретарь).

Ч 0 6 0 1 6 1 6 0 — СОДЕРЖАНИЕ

1. დოც. ი. მ. ხოხლიავი—ამოსარძირქვ სამუშაოთა და ტერასების მოწყობის მექანიზაცია	5
Доц. И. М. Хохлов—Механизация корчевки и закладки террас	35
2. ქ. ბ. ლეჯავა—ტუნგოს ნაყოფისაგან ბალასტის გაცვლის მექანიზაცია	37
К. Б. Лежава—Механизация очистки тунговых плодовых от балласта	53
3. დოც. გ. ი. შევაცაბაია—კალიბრატორი ცილინდრული ზამბარების დასაყალიბებლად	55
Доц. Г. Я. Шеватца—Прес-Калибратор	57
4. ი. ი. ჩხუბიანიშვილი—მასალებ Danaë, Ruscus და Smilax დეროს შედარებითი ანატომიისათვის	59
И. И. Чхубианишвили—Материалы к сравнительной анатомии стебля Кавказских Danaë, Ruscus и Smilax..	66
5. აკად. ნ. კეცხოველი—მცენარეული საფარი გამუშავების ბაზრობი	69
✓ Акад. Н. Кецховели—Растительный покров в труде Вахушти— „География Грузии”, 1942 г.	99
6. ა. ს. ჯაფარიძე—ლობის თესვის ვადები და კვების არე	103
Ал. С. Джапаридзе—Сроки посева и площадь питания фасоли в Западной Грузии	109
7. დოც. ი. ლამაზია—მეურნეობის საკითხისათვის ბზიფის ხეობის ბზის კორომებში	111
Доц. Я. Л. Лабашидзе—К вопросу ведения хозяйства в самшитовых насаждениях Бзыбского ущелья	122
8. Проф. Ир. Батиашвили и Ш. Супаташвили—К биоэкологии минирующей моли (<i>Lyonetia clerckella</i> L.) и к мерам борьбы против нее в условиях Грузии	125
9. დოც. ბ. ვ. ივანიშვილი—აზოტის განსაზღვრა ღვინომში მიქროკოლორისტული მეთოდით	137
Доц. Б. В. Иванов—Микроколориметрический метод определения азота в вине	140

C O N T E N T S

1. Doc. I. Khokhlov—Mechanization of terrace building and of Stubbing of forest trees	35
2. A. Djaparidze—Tine of sowing and feeding area of beans in the Western Georgia	110
3. Doc. Jas. L. Abashidze—On the problem of the proper care of box-tree stands in the Bzyb valley .	123
4. Prof. I. Batiashvili and Sh. Supatashvili—On the bio-ecology of the leaf miner Lyonetia cleckella L. and its control in Georgia	135
5. B. V. Ivanov—The micro-chemical method of nitrogen determination in wine	140

ტირაჟი 300. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII—42 წ. ფერმათა რაოდენობა 9. სასტ. ნიშანი ფორმაში 38.600. ანუ ფორმის ზომა 6×10. შეკვ. № 76.
 ლ. პ. ბერიას სახ. საქართველოს სას.-სამეცნიერო ინსტიტუტის სტამბა-ლითოგრაფია. თბილისი, მარის ქუჩა № 33.

Труды № XVII Груз. СХИ имени Л. П. Берия. Издана на груз. языке.
 Типо-литогр. Груз. СХИ имени Л. П. Берия, ул. Марра, 33.

დოც. ი. ა. ხოსლიძე

ამოსაძირება სამუშაოთა და ტერასების მოწყობის გეგანიზაცია

ტერასების მოწყობას ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ძველი დროიდან ეცნობილია, რომ ქანობზე სასოფ.-სამ. კულტურათა გასაშენებლად, ეროვნის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, აწყობდნენ სხვადასხვა ტიპის ტერასებს. ახალ ფართობთა ათვისებას ტერასებით წინ უსწრებდა ამოსაძირკვი სამუშაოები. როგორც ამოძირკვა, ისე ტერასების მოწყობა უდიდესი შრომატევადი პროცესებია.

ამერიკაში, ინდოეთში, ახალ ზელანდიასა და სხვა ქვეყნებში ტერასებს აწყობენ სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა პლანტაციების გასაშენებლად. ტერასები ძველი დროიდან ეცნობილია საქართველოშიაც. ასე, მაგ., ახალციხისა და ასპინძის რაიონებში დღესაც შევხვდებით ტერასებს, რომელთაც რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვთ. ფართოდ არის დატერასება განვითარებული დაღისტანში, აზერბაიჯანში და საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში.

დღემდე დატერასება და ამოსაძირკვი სამუშაოები, უმთავრესად, ხელით წარმოებდა. ამჟამად, ყოველგვარი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესების მაქსიმალური მექანიზაცია ჩატარდეს. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. ზ. (ბ) ც. კ-ის 1940 წლის 26 აპრილის დადგენილებით დასავლეთ საქართველოში დაარსდა სპეციალური ამოსაძირკვ-სატერასო მტს-ები. აღნიშნულ მტს-ებში მოიპოვება მძლავრი მუხლუხოვანი ტრაქტორები „ყТЗ-С-65“ და სპეციალური მანქანები გრეიდერებისა და ბულდოზერების სახით. სპეციალური მანქანების დანერგვით მნიშვნელოვნად გაიზრდება ახალ ფართობთა ათვისების ტემპები. 1940 წელს საქართველოს მიწისახკომის კინდლის (ოქამჩირის რაიონში) სატრაქტორო კოლონის მიერ ამოძირკვულ იქნა 200 ჰექტარი ტყე.

სატერასო და ამოსაძირკვ მანქანათა სწორად გამოყენების მიზნით, საჭიროა ამ აგრეგატთა მუშაობის შესწავლა, რის შედეგადაც გამომუშავებულ უნდა იქნას რაციონალური ექსპლოატაციის წესები და ხერხები. უკანასკნელი ოთხი წლის განვალობაში ჩვენ მიერ აღნიშნულ საკითხებზე ჩატარებულ იქნა ცდები აფხაზეთის რაიონებში. მოკლე შედეგები მოგვყავს წინამდებარე სტატიაში.

I. ამოძირება ტენიანი სუბტროპიკულის პირობებში



დასავლეთ საქართველოში ამოსაძირება სამუშაოებზე გამოცდილი იქნა ხელის, ცხენისა და ტრაქტორის ამოსაძირები მანქანები. კერძოდ, 1933 წელს ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში შემოწმებული იქნა „პერკულესის“ და „მანკეი-ვინჩის“ ხელის ჯალამბრები, ფოთის რაიონში—სატრაქტორო ჯალამბარი „დორსი“.

ცდების შედეგად გამოძირება, რომ ცხენისა და სატრაქტორო ჯალამბრების გამოყენება ჭაობიან და დაქანებულ ფართობებზე შეუძლებელია. ვაკესა და დაქანებებზე, არა უმეტეს $5-10^{\circ}$ -ით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას სატრაქტორო ჯალამბარი „დორსი“.

დასავლეთ საქართველოში დღემდე არ არის შემოწმებული აფეთქების მეთოდი. მიზანშეწონილი იქნება თუ უახლოეს ხანში მოხდება ამოძირების ამ მეთოდის საფუძვლიანი შემოწმება.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს მტე-ებში ფართოდ დაინერგა ამოძირება მძლავრი მუხლუხა ტრაქტორის გამოყენებით პირდაპირ წევაზე. აღნიშნულ საკითხს მოკლედ განვიხილავთ ქვემოთ.

1. ამოძირების თეორიის საკითხისათვის. მიუხედავად მექანიზაციის სწრაფი ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა თეორიების საფუძვლიანად დამუშავებისა, ამოსაძირები მანქანების თეორიები ცდებული არ არსებობს. ხის ამოძირების პროცესი თეორიული თვალსასწრისით შესწავლილი არ არის, რის გართულებულია ამოსაძირები ჯალამბრების კონსტრუქტორება.

ამოძირების შესწავლა უნდა დაიწყოს დინამომეტრული ცდების ჩატარებით. ხეების დიამეტრის, ფესვთა სისტემისა და გრუნტის თვისებათა მიხედვით ჯამორკვეულ უნდა იქნას ხის ძირის ექსტრაქციის მაქსიმალური ძალები. ლიტერატურაში ამ მხრივ ცნობილია ინუ. ა. ვ. ვერხოვსკის ცდები¹. აქეც უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც თვით ავტორი აღიარებს, მის მიერ ჩატარებული ცდების შედეგად შეუძლებელია ჩამოყალიბებული იქნას ამოძირების თეორიის რომელიმე საკითხი.

1940 წლის ზაფხულშე ოჩამჩირის რაიონში (სოფ. კინდლში) ვაწარმოეთ დინამომეტრირება ამოძირებაზე. დინამომეტრირება ჩავატარეთ დინამომეტრით „ТД-6“.

ვაწარმოებდით როგორც ხის ძირის, ისე თვით ხის ამოძირების დინამომეტრირებას. პირველ შემთხვევაში ბავირს ვაბამდით

¹ А. В. Верховский—„Теория, конструкция и производство с/х машин“, том IV, стр. 9, М., 1937 г.

0,5—0,7 მ-ის სიმაღლეზე, მეორე შემთხვევაში—0,8—3,0, მ-ის სიმაღლეზე მაღლა მობმის დროს ვიყენებდით გრძელ ბაგირს (25-მის) შემთხვევაში ბაგირის დიამეტრი უდრიდა 23 მმ-ს.

ა. ვ. ვერხოვსკის მონაცემებით ექსტრაქციის ძალებსა და ხის ძირის დიამეტრს შორის დამოკიდებულება შეიძლება გამოსახულ იქნას შემდეგი ფორმულით:

$$P_{\text{მაქსიმ.}} = q d^{3/2}$$

სადაც q რომელიმე კოეფიციენტია, d —ხის ძირის დიამეტრი.

დინამომეტრირების შედეგების მიხედვით კოეფიციენტი q მივიღეთ $0,05—0,08$ ფარგლებში.

ინგ. ა. ვ. ვერხოვსკის მიხედვით მაქსიმალური ექსტრაქციის ძალები სხვადასხვა ჯიშისათვის განსხვავებულია:

$$P_{\text{მაქსიმ.}} = 0,06 d^{3/2}$$

$$P_{\text{მაქსიმ.}} = 0,06 d^{3/2}$$

$$P_{\text{მაქსიმ.}} = 0,05 d^{3/2}$$

სოფ. კინდლში ჩატარებული ცდების შედეგად კოეფიციენტი გამოვარკვეთ ორი ჯიშის ხისათვის:

$$\text{რცხილისათვის} — P_{\text{მაქსიმ.}} = 0,08 d^{3/2}$$

$$\text{თხმელისათვის} — P_{\text{მაქსიმ.}} = 0,05 d^{3/2}$$

დინამომეტრირების შედეგად მიღებული ექსტრაქციის მაქსიმალური ძალების სიღიდე შევამოწმეთ ზემოხსენებული ფორმულით.

ექსტრაქციის ძალები (ტონობით) ტაბულა 1

ხის ჯიშები ¹ . . .	ხის ძირის დიამეტრი სანტიმეტრობით					
	9	12	14	16	18	20
რცხილა	2,16	3,38	4,19	5,12	6,12	7,16
	2,00	3,50	4,31	5,50	7,00	8,00
თხმელა	1,35	2,08	2,62	3,2	3,82	4,47
	1,50	1,80	2,20	2,5	3,10	3,80

როგორც პირველი ტაბულიდან ჩანს, ცდისა და გამოთვლის შედეგად მიღებული ექსტრაქციის ძალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ცდომილების ფარგლებში.

¹ ზედა ციფრები მიღებულია გამოთვლით, ქვედა აღებულია ცდებიდან.



ესარგებლობთ რა ზემომოყვანილი ფორმულით, 30 სმ-ის დაშვებულის მქონე რცხილის ხის ძირისათვის ექსტრაქციის მაქსიმალური ძალა იქნება:

$$P_{\text{მაქს}} = 0,08 \cdot 30^3 / 2 = 13,14 \text{ ტონა.}$$


ტრაქტორ „ЧТЗ—С—60“-ს შენელებულ პირველ გადაცემაზე (0,5 მ/სეკ.) შეუძლია განაეთაროს წევის ძალა:

$$\frac{N \cdot 75}{v} = \frac{50 \cdot 75}{0,5} = 7,5 \text{ ტონა.}$$

ამრიგად, ხის ძირის ამოძირება წარმოებს არა მხოლოდ ტრაქტორის წევის ძალის ხარჯზე, არამედ მისი ცოცხალი ძალის ხარჯზედაც.

ამოძირების შემთხვევაში შესაძლებელია ტრაქტორმა დაჰკარგოს მთელი სიჩქარე როგორც გადაადგილების, ისე ძრავისი. ამ პირობებში ფრიქციულ ქუროს ბუქსაობას ექნება ადგილი, რაც გამოიწვევს ძრავის მეტი ცოცხალი ძალის ხარჯებს უსარგებლო ხევაზე და, შაშასადამე, შესაძლებელია ხის ძირის ექსტრაქცია არ მოხდეს. ასეთი დატვირთვის დროს მოსალოდნელია ტრაქტორის მექანიზმების დამტვრევა.

ჩვენი ცდების შედეგად შეგვიძლია დავისკვნათ, რომ ხის ძირების ამოძირების დროს თუ დიამეტრი 30 სმ-ს არ აღემატება ტრაქტორ „ЧТЗ“-ით მუშაობის დროს ზემოხსენებული საშიშროება აცილებულია.



სურ. 1. პირდაპირი წევით ხის ამოძირების სქემა.
I—მიბმის სიმაღლეა, I—ბაგირის სიგრძე, α—ბაგირის შებმის კუთხე პორიზონტაზე.

საჭართველოს სუბტროპიკული რაიონების ტყეების დამეტრი აღწევს 70—80 სმ-ს. ამრიგად, პირდაპირი წევით ტრაქტორ „ЧТЗ“-ს გამოყენება აღნიშნული დიამეტრის მქონე ხის ძირების ამოძირებით შეუძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში საჭიროა გამოყენებულ იქნას ჯალამბარი „დორსი“, რომლის დახმარებითაც ტრაქტორ „СТЗ“-ით მუშაობის დროს ბაგირზე $P_{\text{მაქს}} = 70$ სმ დიამეტრის მქონე ხის ძირების ამოძირებას. როდესაც ჯალამბრის გამოყენება



შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზის გამო, უკეთესია ამოვძირქვოთ თვით ხეები პირდაპირი წევით ბავირის მაღლა მიბმით (სურ. 1) უკავშირის კალა მიბმის შედეგად გაადვილებულია დიდი დიამეტრის მქონე ხეების წაქცევა ტრაქტორით. ვქმნით რა მომენტს $M = h \cdot Icos\alpha$, ტრაქტორს უადვილებთ ხის ამოძირებას.

2. ამოძირება პირდაპირი წევით¹. სოფელ კინდლის სატრაქტორო კოლონის მონაცემებით პირდაპირი წევით ტრაქტორ „ყТЗ“-ს დახმარებით შეიძლება წაქცეულ იქნას 80 სმ-მდე დიამეტრის მქონე ხე. აფხაზეთის ვაკე რაიონებში ხეების საშუალო დიამეტრი 30—35 სმ-ს უდრის. ხსნებული სატრაქტორო კოლონის მონაცემებით ტრაქტორ „ყТЗ“-ს მწარმოებლობა ცვლაში 0,25—0,30 ჰექტარს უდრის, საწვავის ხარჯი ერთ ხეზე 0,3—0,7 კგ-მდე რყევა-დობს. ქვემოთ მოვყვავს მწარმოებლობისა და საწვავი მასალის ხარჯ-ვის ნორმები გაანგარიშებული დინამომეტრირებით მიღებული მასალების მიხედვით.

ხეების წაქცევის დროს ბავირის სიგრძე, 45—50 სმ დიამეტრის ხისათვის, უნდა უდრიდეს არა ნაკლებ 30 მ-ს. მე-2 სურათზე ნაჩვენებია 50 სმ დიამეტრის მქონე ხის ამოძირება მოკლე ბავირით (22 მ). როგორც სურათიდან ჩანს, ბავირი მიბმულია 4 მეტრის სიმაღლეზე. ასეთი მიბმის დროს ტრაქტორის უკანა ნაწილი ზევით იწევს, რის გამოც ბუქსაობას აქვს ადგილი და შესაძლებელია ხე ვერ ამოძირებოს. გარდა ამისა, მოკლე ბავირის მაღლა მიბმა საშიშია, რადგანაც შესაძლებელია ხე წაქცევის დროს დაეცეს ტრაქტორს.

მე-2 სურათზე ნაჩვენები სიღილის ხეების წასაქცევად უკეთესია გამოყენებულ იქნას 40 მ-მდე სიგრძის ბავირი: არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ რამდენადაც გრძელია ბავირი, იმდენად უძნელდებათ მუშებს მუშაობა მის გასათრევად მიბმის ოპერაციის საწარმოებლად.

ბავირის ოპტიმალური სიგრძის შერჩევასთან ერთად შერჩეულ უნდა იქნას მისი დიამეტრი. აფხაზეთის ტყის ამოძირებისათვის პირდაპირი წევით მუშაობის დროს ბავირის ოპტიმალურ სიგრძედ უნდა ჩაითვალოს 30—35 მ, დიამეტრი—23—25 მ.

სოფელ კინდლში და, საერთოდ, აფხაზეთის სხვა რაიონებში პირდაპირი წევით ხეების ამოძირება წარმოებს როგორც ინდივი-დუალურად, ისე ჯგუფურად. უკანასკნელ შემთხვევაში ხეების დია-

¹ ამოსაძირება სამუშაოთა სამინდებურო ცდების ჩატარებაში მომაწილეობა მიიღეს ასისტენტმა გრ. ნ. ცაგარელმა და ინჟ. ა. ვაშალომიშვილმა.

შეტრი 12—20 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ბაგირის რამდენიმე
ხეზე შემორტყმით იხრდება მწარმოებლობა, მაგრამ ხეების მცირებულება
დიამეტრის გამო ზოგჯერ სამუშაო ხარისხიანად ვერ სრულდება,




სურ. 2. ამოძირება პირდაპირი წევით.

რადგანაც ზოგიერთი ხე იღუნება და ბავირის გაწევის შემდეგ ისევ
სწორდება.

ოჩამჩირის რაიონის ტყეში პირდაპირი წევით ამოძირკვის
დროს ორმოების სილრმე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ქობულე-
თისა და აქარის სხვა რაიონებში. პირველ შემთხვევაში ფესვთა სის-
ტემის შედარებით ზედაპირულ განვითარებას იქვს აღილი (სურ. 3).

პირდაპირი წევით და, საერთოდ, მექანიზებული ამოძირკვის
ერთ-ერთ უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ორმოების წარმო-
შობა და ხის ძირის

მიერ გრუნტის ამოთ-
ხრა. ფესვთა სისტემის
მიერ შეკრული ნიაღა-
გის მოცილება დიდ სი-
ძნელეს წარმოადგენს,
საჭიროა დაყოვნება,
რომ თანდათანობით
დაიშალოს ნიაღაგი და
შემდგომ ხელის იარა-
ღებით მოვაცილოთ იგი
ფესვებს. ამ სამუშაოს
მექანიზაცია ჩვენს პი-
რობებში ჯერულერობით
ჩატარებული არაა.



სურ. 3. პირდაპირი წევით ამოძირკვული ხე.

ხის წაქცევისა და მისი დამუშავების შემდეგ დიდ შრომატე-
ვად პროცესს წარმოადგენს ხის ძირების ნაკეთილან გამოზიდვა. ამ
სამუშაოსაც ასრულებენ პირდაპირი წევით, გათრევით. საშუალო
წევითი წინაღობა ამ სამუშაოს შესრულების დროს აღწევს 3000—
3500 კგ-ს. ხის ძირების გაზიდვის მანძილი არ უნდა აღმატებოდეს
150—200 მ-ს.

ხეების პირდაპირი წევით ამოძირკვის დროს აგრეგატზე მომ-
სახურე პერსონალი შედგება ოთხი კაცისაგან. ამათვან, ერთი ტრაქ-
ტორისტია, ორი—ბავირის მიმბმელ-მომხსნელი და ერთი—ბავირის
გამორევი ტრაქტორის უკან დახვისას (მეორე ხეზე მიმის მიზნით).

3. მწარმოებლობა და საწვავის ხარჯი პირდაპირი
წევის დროს. ტრაქტორის მწარმოებლობა ამოძირკვის დროს
დამოკიდებულია ხის დიამეტრზე, გრუნტის თვისებებზე (ტენიანო-
ბაზე, მექანიურ შემადგენლობაზე და სხვ.), ფესვთა სისტემის გან-
ვითარებაზე და ამოძირკვის პერიოდზე.

განაფხულსა და შემოდგომაზე ხე ადვილად იძირკვება, გილეკ
ზაფხულსა და ზამთარში. გვალვის დროს, როდესაც გრუნტის გამოწვევა
მშრალია, ხის ამოძირკვის დროს დიდ წინაღობას აქვს აღვილი. ასევე
დიდი წინაღობაა ზამთარში, როდესაც გრუნტის ზედაპირი მოყინუ-
ლია. ხანმოკლე ცდებით ჩვენ მიერ გამორკვეულ იქნა გრუნტის ტე-
ნიანობის გავლენა ხის ძირის ექსტრაქციაზე. ასე, მაგ., 11,5% ტე-
ნიანობის დროს თუ 16 სმ დიამეტრის მქონე ხის ძირის ექსტრაქ-
ციის ძალები უდრიდა 5,1 ტონას, იმავე დიამეტრის ხის ძირის ამო-
ძირკვაზე 21,7% ტენიანობის დროს წინაღობა შემცირდა 4,2 ტ-მდე.

ზემოხსენებული საკითხები არსებულ ლიტერატურაში ჯეროვ-
ნად გაშუქებული არაა. ამ მხრივ კვლევითი მასალების სილარიბე
გვაქვს განსაკუთრებით ჩვენს პირობებში.

შევიცდებით არსებული მასალების საფუძველზე გავაშუქოთ
მწარმოებლობისა და საწვავის ხარჯის საკითხი.

როგორც ცნობილია, სამინდერო სამუშაოების დროს სატრაქ-
ტორო ძრავა განსაზღვრული რევიმით მუშაობს, ამოძირკვის დროს
კი ის დიდად ცვალებადობს. აქედან გამომდინარე მეტად გართუ-
ლებულია საწვავის ხარჯის ანგარიში.

სატრაქტორო აგრეგატის მწარმოებლობა ამოძირკვაზე შეიძ-
ლება ვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$\frac{Q \text{ ცვლა/ჸა}}{T \text{ ციკლი}} = \frac{T_{\text{ციკლი}}}{t_{\text{ციკლი}} \cdot n_{\text{ც}}}$$

სადაც T ციკლი არის ცვლის დრო წმინდა მუშაობის, გადა-
რბენებისა და ძრავის უქმი მუშაობის ჩართვით, t —ციკლი აუცილე-
ბელი დრო ერთი ხის ან ძირის ამოძირკვისათვის, n —ხების ან
ხის ძირების რაოდენობა ჰექტარზე.

$\frac{T_{\text{ციკლი}}}{t_{\text{ციკლი}}}$ შეფარდებით მიუიღებთ ცვლაში ამოძირკვული ხების
რაოდენობას.

საწვავი მასალის ხარჯის ანგარიში პირდიპირი წევით ამოძირ-
კვაზე შეიძლება ვაწარმოოთ ფორმულით:

$$Q_{\text{ხ}} = \frac{T_{\text{მომ.}} \cdot Q_{\text{მომ.}} + T_{\text{სამ.}} \cdot Q_{\text{სამ.}} + T_{\text{გადარბ.}} \cdot Q_{\text{გადარბ.}} + T_{\text{უ.}} \cdot Q_{\text{უ.}}}{60}$$

სადაც T მომ. არის დრო, დახარჯული ამოძირკვის მომენტზე
წუთობით, Q მომ.—საწვავის სათური ხარჯი შეფარდებული ამო-
ძირკვის მომენტში განვითარებულ წევის ძალასთან, T სამ.—ამოძირ-

კეის დრო ამოძირების მომენტის ჩაუთვლელად, Q სამ. — საწვდების
საათური ხარჯი T სამ. დროის განმავლობაში.

ამრიგად, თუ გვეცოდინება საწვავის ხარჯი ერთი ხისათვის,
ადვილად გავიგებთ ამ მაჩვენებელს ერთი ჰექტარისათვის.

$$q_{\text{და/შ}} = \frac{n \cdot \text{ცვლა/შ} \cdot Q \cdot Q_{\text{მომსახ.}}}{Q \cdot \text{ცვლა/შ}}$$

Qმომსახ. ტრაქტორ „ЧТЗ—С—60“-სათვის საათში უდრის 6 კგ-ს.

პრაქტიკული მასალებისა და ზემომოყვანილი ანგარიშის საფუ-
ძველზე მე-2 ტაბულაში მოცემულია საწვავისა და მწარმოებლობის
ნორმები ჰექტარზე ხეთა რაოდენობის მიხედვით.

მე-2 ტაბულაში მოყვანილი მონაცემების გამოყენება შეიძლება
აფხაზეთის დაბლობი რაიონებისათვის. განსხვავებულ საწარმოო პი-
რობებში მწარმოებლობა და საწვავის ხარჯების ნორმები შეიცვლება.

ტაბულა 2

ნორ- მები მდებ არის	საწვა- ვის მდებ არის	შენიშვნა						
		საშენ ტექ-						
		T	T	T	T	Q	Q	q
100	30—40	0,7	1,5	1,0	3,2	1,54	0,609	64,8
200	"	"	"	1,1	3,3	0,75	0,619	131,8
300	"	"	"	1,2	3,4	0,48	0,629	201,7
400	"	"	"	1,3	3,5	0,355	0,639	272,5
								3,0 მ-ის სიმაღლეზე

როდესაც ჰექტარზე არის 340 — 400-მდე ხე, დიამეტრებისდა
მიხედვით, მწარმოებლობა და საწვავის ხარჯი შემდეგნაირად იცვ-
ლება: თუ ხეების საშუალო დიამეტრი 20 სმ-მდე, მწარმოებლობა
ცვლაში უდრის 0,46 ჰა-ს და საწვავის ხარჯი ჰექტარზე 185 კგ-ს.
30 სმ დიამეტრის მქონე ხეებისათვის სათანადო ციფრები იცვლება:
პირველი — 0,43-მდე, მეორე — 208-მდე. როდესაც 40 სმ დიამეტრის
მქონე ხეებია, მწარმოებლობა იქნება 0,40 ჰექტარი ცვლაში და სა-
წვავის ხარჯი 235 კგ.

4. ამოძირებული ხის ძირების გამოზიდვა. არა ნა-
კლებ შრომიატევადი პროცესია ამოძირებული ხის ძირების გამოზი-
დვა. ცდებმა დაგვარწმუნა, რომ ამოძირებული ძირის გასათრევად,
ზოგიერთ შემთხვევაში, არ კმარა ტრაქტორ „ЧТЗ“-ს წევის ძალა
პირველ გადაცემაზე. დიდი დიამეტრის ძირების გასათრევად, როდე-
საც ამოღებული გრუნტი მოცილებული არაა, საჭიროა 6000 კგ-მდე

წევის ძალა. ამოძირკული ძირების გათრევა აუცილებლად ტრიქ-
ტორით უნდა წარმოებდეს, რადგანაც ხელით ამ სამუშაოს ჩატარების
რება მოკლე ვაღაში შეუძლებელია.

ამოძირკული დამთავრებასთან ერთად საჭიროა მოსამზადებელი
სამუშაოების ჩატარება ნაკვეთის გასასუფთავებლად. ამ მიზნით პირ-
კელ რიგში წაქცეული ხე უნდა დამუშავდეს, დამუშავებული ტყის
მასალა ტრანსპორტით გაიზიდოს და დარჩენილ ხის ძირებს მო-
ცილდეს აყოლილი გრუნტი.

ამოძირკული ძირების გამოსაზიდად ერთი აგრეგატისათვის
საჭიროა ხუთი მუშა, რომელთაგან სამი იმუშავებს გასათრევი ხის
ძირების მომზადებაზე (შეაქრიან ფესვებს, გაუკეთებენ ნაჭლევს ბა-
გირის მისაბმელად, მოაცილებენ გრუნტს და შეასრულებენ სხვა
დამხმარე სამუშაოებს), ორი დანარჩენი კი, ტრაქტორს გაჰყება
ნაკვეთიდან გამოტანილი ძირებიდან ბაგირის მოსახსნელად. ამ-
რიგად, აგრეგატზე საჭიროა სულ ექვსი კაცი ტრაქტორისტის ჩა-
თვლით.

როგორც გამოცდილებამ დაგვანახა, ხის ძირებისაგან ნაკვეთის
გაწმენდა შეიძლება ტრაქტორ „ყთა“-ს დახმარებით მეორე გადა-
ცემაზე. დაკვირვებისა და ანგარიშის შედეგად მიღებული მასალების
მიხედვით მე-3 ტაბულაში მოცემულია ხის ძირების გამოზიდვაზე
ტრაქტორ „ყთა“-60-ს მწარმოებლობა და საწვავის ხარჯის
რაოდენობა.

ტაბულა 3

ზოგის მოძირება	საჭ.	უნდა გადა- ცემაზე	გადა- ცემაზე	უნდა გადა- ცემაზე	საჭ.	უნდა გადა- ცემაზე	საჭ.	უნდა გადა- ცემაზე
100	1,55	1,4	1,5	4,45	111	0,37	301,2	საშუალო წევითი ჭინაღობა $P=3000-3200$ კგ-ს. ხის ძირების რაოდენობა ერთ ჰა-ზე უდრის 300.
150	2,3	2,4	1,5	5,8	85	0,28	428,2	

შენიშვნა

როგორც მე-3 ტაბულიდან ჩანს, ხის ძირების გამოზიდვა უნდა
წარმოებდეს ზიდვის მანძილით 100 მეტრის მანძილზე. ამ დროს სა-
წვავის ხარჯი უდრის 301 კგ-ს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტეს
შემთხვევაში, ტრაქტორის ერთი რეისით წარმოებს ორი ხის ძირის
გათრევა და ამ შემთხვევაში საწვავი მასალის ხარჯი ჰა-ზე მცირ-
დება 180—200 კგ-მდე.

მთიან რაიონებში ქანობებზე, ნიადაგის ინტენსიური ჩამორეცხვის გამო, სოფლის მეურნეობას კოლოსალური ზარალი აქვს. აშშ-ების საკვლევ დაწესებულებათა ცნობებით ფოსტორი, კალიუმი და აზოტი ერთი წლის განმავლობაში ნიაღვრების მიერ ირეცხება იმდენი, რამდენსაც მოსავალი ზარჯავს 21 წლის მანძილზე.

აქად. ტ. უ. კვარაცხელიას მონაცემებით შავი ზღვისპირა ტენიანი სუბტროპიკული რაიონებში ერთი მძლავრი ნიაღვრისაგან ერთი ჰექტარიდან ირეცხება 3 ტონა ნიადაგი, წლის განმავლობაში კი— 200 ტონა მდე.

ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნ.-საკვლევი ინსტ.-ის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოს წითელმიწა ნიადაგებზე 14° დაქანების მქონე ერთი ჰექტარი ფართობიდან წლის განმავლობაში ირეცხება 120 ტონა ნიადაგი.

დატერასების ფართოდ დანერვებისა და ამ სამუშაოთა შემსუბუქების მიზნით უნდა მოეწყოს დამტერასებელი აგრეგატები. მიწათმოქმედება ტერასებზე განვითარებულ უნდა იქნას მძლავრი მექანიზაციის ბაზაზე.

ტერასების რაციონალური კონსტრუქციის შერჩევით უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოსავლიანობის ზრდა და შეჩირდეს ერთიანის მოვლენები. მიწათმოქმედება ტერასებზე მართალია ძველი დროიდანვე არის ცნობილი, მაგრამ ფართო გასაქანი საქართველოში მას უკანასკნელი წლების მანძილზე მიეცა.

ტერასების მოსაწყობად 1 ჰა-ზე 800 კაცდღე იხარჯება და ლირებულება 12 ათას მანერის აღწევს¹. აშკარაა, რომ დატერასება და მიწათმოქმედება ტერასებზე ფართოდ განვითარდება მხოლოდ მძლავრი მექანიზაციის ბაზაზე.

პრაქტიკაში დაგვანახა, რომ ტენიანი სუბტროპიკული რაიონებში კულტურული მიწათმოქმედების წარმოება ქანობებზე ტერასების მოუწყობლად შეუძლებელია. აფხაზეთისა და აჭარის კოლმეურნეობებმა 1940 წლის ასეულ ჰექტარ ფართობზე მოაწყვეს კიბურა ტერასები ცხენწევის იარაღების გამოყენებით.

¹ ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნ.-საკვ. იშტერტეტის სოხუმის ფილიალის ცდების მიზედვით,

ტერასების ქანობზე მოწყობის, მათზე მიწათმოქმედების წარმოშობის აგრძოტექნიკისა და მექანიზაციის საკითხები ამჟამად უფლებული წყვეტილი არაა. კულტურების მიხედვით არაა დასაბუთებული ტერასების რაციონალური კონსტრუქციები. არაა საბოლოოდ შესწავლილი სატერასო აგრეგატების ექსპლოატაციის წესები და ხერხები. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა კი, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

კულტურის, კლიმატის, რელიეფისა და რაიონის საჭარმონ პირობებისდა მიხედვით შერჩეულ უნდა იქნას ტერასის ტიპი და მისი ძირითადი ელემენტების ზომები (ტერასის ვაკისის განი, მთხრებლისა და მიწაყრილის დაქანებები და სხვა).

1. სატერასო აგრეგატების გამოყენების წესები და კიბურა ტერასების დაპროფილების სამუშაოები. საქართველოს პირობებში კიბურა ტერასების მოწყობას აწარმოებენ ქანობზე—8-10° ზევით. ამ დაქანების ქვევით კი წარმოებს ნაკვეთის მთლიანი დამუშავება. თხემიანი ტერასების მოწყობის პრაქტიკა ჯერ-ჯერობით საქართველოს სოფლის მეურნეობაში დანერგილი არ არის.

ოთხი წლის მანძილზე ჩენ მიერ ჩატარებულ იქნა სხვადასხვა ტიპისა და კონსტრუქციის მანქანების გამოცდა კიბურა ტერასების მოწყობის მიზნით. ამათგან, როგორც დამტერასებელი მანქანები, შერჩეულია განსაზღვრული ასორტიმენტი.

კიბურა ტერასების მოწყობა 22-25° ქანობამდე შეიძლება ვაწარმოოთ ორი ჯგუფის მანქანებით. პირველ ჯგუფში შედის საჯავე გუთანი „K 56 РБ“, გრეიდერი „ГС“ და ხუთდღარიანი რიპერი.

მეორე ჯგუფში შედის რევერსიული ბულდოზერი და ხუთდღარიანი რიპერი. ამ მანქანებიდან შედარებით საფუძვლიანად არის შესწავლილი გუთანი „K 56 РБ“, გრეიდერი „ГС“ და ხუთდღარიანი რიპერი. ბულდოზერის გამოცდა ტენიანი სუბტროპიკების პირობებში ჩატარებულია გზების მოწყობაზე. აღნიშნული მანქანებისათვის წევის ძალად გამოყენებულია ტრაქტორი „ЧТЗ“.

ა) საჯავე გუთნის „K 56 РБ“, გრეიდერის „ГС“ და რიპერის საველე გამოცდის შედეგები. დამტერასებელი მანქანების შესასწავლად უალრესი მნიშვნელობა აქვს წინა-ლობის მახასიათებლების განსაზღვრას. ამ მიზნით ჩავატარეთ დინა-მომეტრირება სხვადასხვა დატვირთვით და სხვადასხვა ოპერაციაზე.



მე-4 ტაბულაში მოცემულია გამოცდილი მანქანების წინაველურა
ბანი გადაგორებაზე და გადაგორების წინალობის კოეფიციენტებით

ტაბულა 4

მანქანის დასახელება	წ ნ ე ნ ტ ი ტ ი ტ	წინალობა გადაგორებაზე				გორევის წინალო- ბის კოეფიც.		
		სწორ ნაკეთ.		აღმართ.		I გადაც.		III გადაც.
		I	III	I	III	I	III	I
1. გუთანი	850	160	162	—	—	0,188	0,180	0,180
2. გრეიდერი	2800	370	776	1320	—	0,132	0,132	0,132
3. რიპერი	1200	211	215	—	—	0,177	0,177	0,177
4. გრეიდერი	650	112	117	—	—	0,173	0,173	0,173

გორევის წინალობის განსაზღვრის დროს გამჭევ ძალად გამო-
ყენებული იყო ტრაქტორი „ЧТЗ—С—60“. გრეიდერის („ГС“) გორევის
წინალობის განსაზღვრა ვაწარმოეთ $18^{\circ} 50'$ -იან აღმართზე. გორევის
წინალობის კოეფიციენტი მივიღეთ 0,1472.


საჯავე გუთნის „К 56Р В“ წევითი წინალობის მახასიათებელი მო-
ცემულია მე-5 ტაბულაში, საიდანაც ჩანს, რომ 17,5 სმ-დან 25 სმ-მდე
ხვის დროს წევითი წინალობა 970—1900 კგ შორის მერყეობს.
წევითი მახასიათებელი აღბულია ტრაქტორ „ЧТЗ“-ს მეორე გადა-
ცემაზე. ნიადაგის ტენიანობა უდრის 23,4%-ს.

ტაბულა 5

	h^1	b	hb	p	γ	l	t	v	შენიშვნა
1	17,62	59,3	1038,9	970	0,93	100	83	1,21	ნაკეთი 3 წლის
2	18,9	60,9	1148,0	1120	0,98	100	89	1,12	ნასევი, კელა-
3	19,8	60,0	1188,0	1200	1,01	100	86	1,16	სურის რაონში.
4	22,0	66,6	1465,2	1450	0,99	100	88	1,14	
5	23,8	70,6	1687,2	1785	1,06	100	87	1,15	
6	25,0	66,0	1653,0	1900	1,15	100	88	1,14	

საჯავე გუთნის გამოყენება ტერასების აგების დროს წარ-
მოებდა პირველი კვლის გასავლებად. ტერასის ვაკისის მისალებად
საჭიროა ქანობზე მთხრებლის ნაწილის გაფხვიერება და გრუნტის
დაქანებისაკენ გადატანა (სურ. 5). ეს სამუშაო უნდა დაიწყოს სა-
პროექტო ხაზზე. როგორც მე-5 სურათიდან ჩანს, პირველი კვლის

¹ h — ხვის სიღრმეა სმ-ობით, b — გუთნის სამუშაო დანი სმ-ობით,
 P — წევითი წინალობა კგ-ობით, γ — კუთრი წინალობა კგ-ობით, l — სიგრძე, t — ცდის დრო წამობით, v — სიჩქარე მ/წამობით.



გავლების დროს გუთნის ერთი მიმართულებით სკლა იქნება სამუშაოს შაო სკლა, უკან კი გვექნება უქმი სკლა. ეს მდგომარეობა დატერმინირდება სების შემთხვევისათვის დასაშვებია, რაღაც აცარებების ყველა სამუშაოდან გუთნით შესასრულებელ სამუშაოებს მცირე მოცულობა უკავია (არა უმეტეს 5-7%-სა).

ტერასის ვაკისის შესაქმნელად გუთნის მიერ პირველი კვლის გავლების შემდეგ საჭიროა მოხნული ნიაღავის გადაწოჩება დაქანებისაკენ. ცდების შედეგად მიეიღოთ, რომ დაპროფილების სამუშაოებზე კარგ შედეგებს იძლევა „ГС“ ნიშნის გრეიდერი. ამ სამუშაოებისათვის ნაკლებ ეფექტიანი აღმოჩნდა „ДГЛ“ ნიშნის მსუბუქი ტიპის გრეიდერი.

დაპროფილების სამუშაოთა შესრულებისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გრეიდერის დანის სწორად დაყენებას. კარგ შედეგებს ვლებულობთ მაშინ, როდესაც წევის ხაზის მიმართ დანა (გეგმაში) 41° — 53° შორის ქმნის კუთხეს. ამ დაყენებათა ფიქსაცია წარმოებს დანის მოსაბრუნებელი წრის მე-3 ან მე-4 დაყენებაზე (ნახევრეტზე).

დანის დაღრმავების კუთხე (კუთხე ჰორიზონტსა და დანის მჭრელ პირს შორის ვერტიკალურ სიბრტყეში) უნდა უდრიდეს 5—7°-მდე. ამ დაყენებით ვმუშაობთ ტერასის ვაკისის საბოლოო დაპროფილების დროს. ტერასის საწყისი ვაკისის გაფართოების მიზნით კი ეს კუთხე შეიძლება დაყვანილ იქნას 0°-მდე.

გრეიდერ „ГС“-ს წევითი წინაღობა მერყეობს 1340—3180 კგ შორის. მე-6 ტაბულაში მოცულია გრეიდერის წევითი წინაღობა სხვადასხვა დატვირთვით მუშაობის დროს.

ტაბულა 6

	ცდის დრო	p	l	t	v	დანის დაყენების კუთხე გეგმაში	შენიშვნა
1	23/IX-40	1340	56,5	71,4	0,79	53°	გრეიდერის წევითს
2	—	1645	„	72,0	0,785	53°	წინაღობაზე გამო-
3	—	1970	56,0	73,2	0,765	53°	ცდა ჩატარებულია
4	28/IX	2080	58,0	78,0	0,745	41°30'	ტრაქტორ „ЧТЗ—
5	—	3020	„	86,0	0,670	41°30'	С — 80"-ის პირველ
6	23/IX	3150	56,5	81,0	0,695	51°	გადაცემაზე. ნაკვე-
7	—	3180	„	82,0	0,690	53°	თი—ქვეასური, სო- ხუმის რაონში.

შევიცდებით რათა ცდების შედეგად მიღებული მაჩვენებლების გამოყენებით გამოვიანგარიშოთ გრეიდერის საშუალო წინაღობა.

დაპროფილების დროს გრეიდერის დანაზე წარმოიშვა შემდეგი წინალობანი:

P_1 —გრუნტის მოჭრით გამოწვეული სასარგებლო წინალობა.

P_2 —მოჭრილი გრუნტის დანის გასწერივ გადაჩოჩებით გამო-
წვეული სასარგებლო წინალობა.

P_3 —გრეიდერის გორევის წინალობა.

P_4 —წინალობა, გრუნტის გრუნტზე ხახუნით გამოწვეული.

ვეცოდინება რა დანის დალრმავების სიდიდე (I), დანის სა-
ერთო სიგრძე (I) და სიმაღლე (b) ადვილად ვიპოვით დანის იმ
ნაწილის ფართობს, რომელიც დალრმავებულია გრუნტის მოსაჭრე-
ლად. იმასთან დაკავშირებით, რომ გრეიდერის დანა ტერასის საგეზ-
ნიშნო ხაზის მიმართ კუთხით (α) მოძრაობს, მოჭრილი გრუნტის
ფართობი იქნება დანის დალრმავებული ნაწილის პროექციის ტოლი.
ალნიშნული ფართობი გამოითვლება:

$$W = \frac{m \cdot b}{2} \cdot \frac{l}{2} \sin\alpha = \frac{m \cdot b \cdot l}{4} \sin\alpha$$

თუ დანის მუშაობას სახნისიანი გუთნის მუშაობას შევადარებთ
მაშინ დავწერთ:

$P_1 = W \cdot K$, სადაც
 K —კუთრი წინალობაა
ერთ კვადრ. მეტრზე ან
სანტიმეტრზე კილოგ-
რამობით.


გრუნტის გადაჩოჩე-
ბით გამოწვეული წინა-
ლობის გამორკვევის მი-
ზნით განსაზღვრულ უნ-
და იქნას დანის წინ
მიქცეული გრუნტის წო-
ნა, რომელსაც გავიანგარიშებთ ფორმულით:

$$Q = \frac{b^2}{2} \cdot l \cdot m,$$

სადაც M ერთი კუბური მეტრი გრუნტის წონაა. წინალობას გრუნ-
ტის დანაზე ხეხვით გამოწვეულს განვსაზღვრავთ:

$$F = Nf_1 = Q \cdot f_1 \cdot f_2$$

სადაც f_1 გრუნტის დანაზე ხეხვის კოეფიციენტია, f_2 —გრუნტის
გრუნტზე ხეხვის კოეფიციენტი.



ნახ. 4. დანაზე მოჭმედი ძალების სქემა.

ამრიგად, გრუნტის დანის გასწვრივ გადაჩოჩებით გამოწვეული
სასარგებლო წინალობა განისაზღვრება:

$$P_2 = F \cdot \cos\alpha = Q \cdot f_1 \cdot f_2 \cdot \cos\alpha.$$

გრეიდერის მუშაობის დროს მანქანის მთელი წონიდან დანაზე,
დაახლოებით, $\frac{1}{3}$ მოდის, წონის $\frac{2}{3}$ კი ნაწილდება თვლებზე.

ამრიგად, გრეიდერის გორვითი წინალობა შეგვიძლია განვსა-
ზღვროთ:

$$P_3 = \frac{2}{3}Q \cdot \cos\alpha \cdot f_2 + \frac{1}{3}Q \cdot \cos\alpha \cdot f_1,$$

სადაც Q გრეიდერის წონაა კილოგრამობით.

გრუნტის გრუნტზე ხეხვით გამოწვეული წინალობის განსაზღვ-
რა მიახლოებით შეიძლება ვაწარმოოთ შემდეგი ფორმულით:

$$P_4 = G \cdot f_2 \cdot \sin\alpha.$$

ამრიგად, გრეიდერის საერთო წევითი წინალობა იქნება:

$$P_0 = W \cdot K + Qf_1 \cdot f_2 \cos\alpha + (\frac{2}{3}Q \cdot f_2 + \frac{1}{3}Q \cdot f_1) + Gf_2 \sin\alpha$$

ყველა მაჩვენებლის მნიშვნელობებს თუ ჩავსვამთ მივიღებთ:

$$P_1 = W \cdot K = 0,0844 \cdot 5500 = 464,2 \text{ კგ}$$

$$P_2 = F \cos\alpha = Qf_1 \cdot f_2 \cos\alpha = 2800 \cdot 0,55 \cdot 0,45 \cdot 0,844 = 578 \text{ კგ}$$

$$P_3 = \frac{2}{3}Q \cdot f_2 + \frac{1}{3}Q \cdot f_1 = Q \cdot f_2 = 2800 \cdot 0,238 = 666,4 \text{ კგ}$$

$$P_4 = N \sin\alpha = Gf_2 \cdot \sin\alpha = 392,7 \cdot 0,55 \cdot 0,844 = 182,3 \text{ კგ}$$

$$P_0 = P_1 + P_2 + P_3 + P_4 = 462,2 + 578 + 666,4 + 182,3 = 1891 \text{ კგ.}$$

ტერასის ვაკისზე გრუნტის გასაფხვიერებლად შეიძლება გამო-
ყენებულ იქნას საგზაო მანქანა რიპერი (გამაფხვიერებელი). უკანასკ-
ნელი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც გრეიდერის მუშაობა
არაეფუქტიანია. ქვიანსა და მძიმე გრუნტზე გაძნელებულია გრეი-
დერის დანის დალრმავება. ტერასის ვაკისის გაგანიერებისა და დაპ-
როფილების დასაჩქარებლად კარგ შედეგებს იძლევა რიპერი. სამი
მეტრი სიგანის ტერასის მოსაწყობად გრუნტის რიპერით გაფხვიე-
რება შეიძლება უკანასკნელის 2-3 გავლით. გაფხვიერების სილრმე
აღწევს 30—35 სმ-ს.

ცდებმა ვაჩვენა, რომ ხუთდღარიანი რიპერის დგარების გა-
მოჭედვა წარმოებს განსაკუთრებით ქანობის ზედაფენებზე მუშაობის
დროს. ამ ცდების აცდენა შეიძლება რიპერზე ოთხი დგარის და-
ყენებით.


რიპერის გამოცდით გამოირკვა, რომ წევითი წინალობა ზოგი-
ერთ შემთხვევაში 4425 კგ-ს აღწევს. ამ პირობებში დგარის ჩარ-

ჩოხე დამაგრება ორი ქანჩით საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭიროა ფლუქუ ქანჩის შორის დაყენებულ იქნას დამატებითი მესამე ქანჩების დამატებითი რიპერის წევითი წინაღობის მახასიათებელი მოცუმულია მე-7 ტაბულაში.

ტაბულა 7

ცდის დრო	ფარის ფაზის დამატება	სატერიტო სატერიტო	ცდის ხანები	ცდის ზამინით სისტემით	სისტემით სისტემით	სისტემით სისტემით	შენიშვნა	
							სისტემით სისტემით	სისტემით სისტემით
1	18/XI—40 წ.	1680	73,5	90	0,816	23	შენიშვნა	
2	21/XI	2430	70,0	95	0,735	28	შენიშვნა	
3	"	2900	58,0	85	0,667	31	შენიშვნა	
4	23/XI	2230	56,5	76	0,745	26	შენიშვნა	
5	"	4425	56,5	81	0,697	37	შენიშვნა	


ბ) კიბურა ტერასის დაპროფილების საშუალებით მოპერაციები. როგორც აღვნიშვნეთ, ტერასის ვაკისის დაპროფილების დროს გრუნტის გაჭრა წარმოებს ჰორიზონტალური მიმართულებით. დაპროფილების იდეალური მდგრადარობა გვექნება მაშინ, როდესაც მანქანის ერთი გავლით წარმოიშობა საპროექტო სიგანის (2,5—3,5 მ-მდე) ვაკისი. მაგრამ ამ შემთხვევაში მოსაჭრელი გრუნტის განივი კვეთი იმდენად დიდია, რომ ერთი ოპერაციით ამ საშუალების შესრულება არსებული მანქანა-იარაღებით შეუძლებელია. შოველ შემთხვევაში სურ. 5. პირველი კვლის გავლება საჯაგე გუთნით ვაში სათანადო მანქანა რომ არსებობდეს საჭირო იქნებოდა კავშე 100 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორი. ასეთი აგრეგატი უხერხული მოსახმარი იქნებოდა და მისი გამოყენება მხოლოდ ქანობის დიდ მასივებზე (არა ნაკლებ 3—5 ჰა-სა) გახდებოდა შესაძლებელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდი-



სურ. 5. პირველი კვლის გავლება საჯაგე გუთნით ვაში სათანადო მანქანა რომ არსებობდეს საჭირო იქნებოდა კავშე 100 ცხენის ძალის მქონე ტრაქტორი. ასეთი აგრეგატი უხერხული მოსახმარი იქნებოდა და მისი გამოყენება მხოლოდ ქანობის დიდ მასივებზე (არა ნაკლებ 3—5 ჰა-სა) გახდებოდა შესაძლებელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდი-

ნარე, შერჩეული მანქანა-იარაღების გამოყენების მიზნით, ჩვენ მიენდამუშავებულია სამშეტრიანი სიგანის ტერასის დაპროფილების მუშაო ოპერაციები.

პირველი ოპერაცია მდგომარეობს პირველი კვლის გავლებაში, რომელსაც ვაწარმოებთ „K 56 РБ“-ს საჯავე გუთნით. გუთნის ერთი გავლით ვლებულობთ 25—30 სმ-მდე სიღრმის და 60—70 სმ-მდე სიგანის კვალს. თითოეული ტერასისათვის საჭიროა გუთნის ერთი გავლა. პირველი კვალი ზუსტად სატრასო ხაზის მიმართულებით უნდა იქნას გაყვანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდება შემდგომი სამუშაოები. ამ ამოცანას ვალწევთ შემდეგი ხერხით: ტრაქტორის ზედა მუხლუხს (ქანობის ზევით მოქცეულ მუხლუხებს) მივმართავთ ტერასის ლენტის ზედა საგეზნიშნო ხაზე. ამ ხაზის მიმართულებით უნდა მიჰყვებოდეს გუთანი, რისთვისაც ტრაქტორს უკეთდება სპეციალური მისაბმელი (ნახ. 6).



ნახ. 6. ტრაქტორ „KTZ“-ს დამატებითი მისაბმელი.

მისაბმელზე გუთანი პირველი კვლის გასავლებად ყოველთვის მიბმული იქნება მარცხენა მუხლუხის უკან. ასეთი მიბმით მარცხენა მუხლუხისა და გუთნის მოძრაობა ყოველთვის ერთ ხაზე იქნება, რაც გაუადვილებს ტრაქტორისტს პირველი ოპერაციის ზუსტად შესრულებას.

მეორე ოპერაცია მდგომარეობს ტერასის საწყისი ვაკისის შექმნაში. ტერასის ვაკისის შექმნა წარმოებს, ერთი მხრივ, მთხრებლების დალრმავებით და, მეორე მხრივ, მიწაყრილის წარმოშობით.


ამრიგად, პირველი ოპერაციის ლიგიურ გაგრძელებას წარმოადგენს გრუნტის გადაჩრჩება დაქანებისაკენ. მეორე ოპერაციის შესრულებული ბის დროს მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გრეიიდერის ჰიტე სელათა რიცხვით მიყილოთ ვაკისის მაქსიმალური განი. ამ მიზნით ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის გრეიიდერისტმა უნდა მონახოს დანის ოპტიმალური დაყენება.

ტერასის საწყის ვაკის გრუნტის გადაჩრჩების დროს უნდა ჰქონდეს $4-6^{\circ}$ დაქანება, რაც გააძვილებს გრეიიდერის მიერ მოჭრლი გრუნტის დაქანებისაკენ გადაწევას.

მეორე ოპერაციის შესასრულებლად გრეიიდერის სელათა რიცხვი დაინკიდებულია ტერასის ვაკისის სიგანეზე, ქანობის სიციცაბესა და გრუნტის თვისებებზე.

რამდენადაც დიდ
დაქანებაზე ვმუშაობთ
და ვანიერ ტერასებს
ვაწყობთ, იმდენად დი-
დი მოცულობის მიწის
სამუშაოების შესრულე-
ბა დაგვეკირდება და,
მაშასადამე, საჭირო იქ-
ნება გრეიიდერის სელა-
თა დიზი რაოდენობა.

მესამე ოპერა-
ცია. როგორც აღვნი-
შეთ, მშიმე საგრუნტო
პირობებში დამტერა-



სურ. 7.


გრეიიდერ „GC“-ით ტერასის დაპროფილება.

სებელი აგრეგატების ეფექტიანი მუშაობისათვის გრუნტის გაფხვიე-
რება აუკილებელია. ერთსა და იმავე ტერასაზე, საქცევის სხვადა-
სხვა მონაკვეთზე, სხვადასხვა წინალობა გვხვდება. ამის გამო გრეი-
დერის ერთისა და იმავე დაყენების დროს დანა სხვადასხვანაირად
ლრმავდება. ამის მიზანია რომ, ზოგჯერ, ტერასის სწვრივი პროფი-
ლი არათანაბარია. გრეიიდერის ამ უარყოფითი მუშაობის აცდენა შე-
იძლება რიპერის დაბმარებით. როგორც მე-7 სურათიდან ჩანს, ტე-
რასის ვაკისზე რიპერით გრუნტი კარგად ფხვიერდება. ცხადია, რომ
ამ ოპერაციის შემდეგ გაადვილებული იქნება გაფხვიერებული მიწის
გადაჩრჩება მიწაყრილზე.

ტერასის ვაკისზე, რიპერის დახმარებით, მანქანის ერთი გავ-
ლით შეიძლება გრუნტის გაფხვიერება $25-35$ სმ-ის სილრმეზე.

ქანობის სიციცაბისა და გრუნტის თვისებათა მიხედვით რიცხვის სელათა რიცხვი შეიძლება იყოს 1—2-მდე ($10—18^{\circ}$ ქანონმდებრივი სათვის) და 2—4-მდე (დაქანებისათვის 18° -ზე ზევით). პარაგვარი

ამრიგად, ტერასის საბოლოო დაპროფესიულისათვის საჭირო იქნება გრეიდერისა და რიბერის მორიგეობით მუშაობა. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ამ მორიგეობის წესს შეიმუშავებს გრეიდერისტი. გრეიდერისტისათვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს წარმოადგენს ტერასის საბოლოო პროფესიულის შექმნა ტერასის ვაკის აფხაზეთის რაიონებში აქვს როგორც განივი (სურ. 9), ისე სწერივი დაქანება. პირველის სიღილე რყევადობს $3-6^{\circ}$ შორის, სწერივი დაქანება კი უდრის $0,005$ -ს. ამ დაქანებათა სიღილე ისაზლერება ნალექების ინტენსივობით. წყალგამტარ ნიადაგებზე აგბენ პორიზონტალურ ტერასებს, რადგან ჩამორეცხვის საშიშროებას არა აქვს ადგილი.



სურ. 8. რიპერით გრუნტის გაფხვეილება.

ო უ უ და წარმოებ-
დეს თითო ტერასის გამოტოვებით, 18⁰-ზე ზევით კი, ორი ტერა-
სის გამოტოვებით. პირველ შემთხვევაში მოძრაობა იქნება პირვე-
ლი ტერასიდან მესამეზე, მესამიდან მეხუთეზე ან პირიქით; მეორე
შემთხვევაში კი — პირველიდან მეოთხეზე, მეოთხიდან მეშვიდეზე
და ა. შ.

2. კიბურა ტერასების დაპროფილების სქემები. საგრუნტო გზების დაპროფილების პრაქტიკიდან ცნობილია, რომ 8,5 მ სიგანის მქონე გზის მოსაწყობად მიღებულია ოორმეტსვლიანი სქემა. თუ მივიღებთ მხედველობაში გრეიდერის ორი მიმართულებით სვლას, მაშინ ცალმხრივ სვლათა რიცხვი იქნება 24, შედარებით ნაკლები სიგანის მქონე გზის ასაგებად (სიგანე 5,5 მ) მიღებულია.

უდიდესი ყურადღების ღის ღირსია სატერასო აგრეგატების მოძრაობის წესი. პრაქტიკული ცდების შედეგად ჩვენ მიირ შემუშავებულია აგრეგატთა ტერასიდან ტერასაზე გადასვლის შემდეგი თანმიმდევრობა: ქანობზე 8—15°-მდე აგრეგატის მოძრაობა

ლია რვას ვლიანი სქემა ანუ ცალმხრივ სელათა რაოდენობა 16¹. გან-
ჯანების გამოყენების ზემომოყვანილი წესების დაცვით ჩვენ შემომარ-
მუშავებულია სამეტრიანი კიბურა ტერასის დაპროფილების სქემები
სხვადასხვა დაქანებისათვის.

9⁰-იანი დაქანებისათვის, ცდების შედეგად, შემუშავებულია ტე-
რასის დაპროფილების ექვსს ვლიანი სქემა. მანქანების საერთო სელათა
რიცხვიდან ერთი სელა გუთანზე მოდის, ხუთი სელა—გრეიდერზე.

11⁰-იანი ქანობისათვის მიღებული გვაქვს შვიდს ვლიანი სქემა;
აქედან, გუთანზე მოდის ერთი სელა, გრეიდერზე—ხუთი და რიცხ-
ზე—ერთი სელა.

მე-10 ნახ-ზე ნაჩვე-
ნებია ტერასის დაპრო-
ფილების სქემა 18⁰ და-
ქანებისათვის. სელათა
რიცხვი უდრის 11-ს.

13⁰-იანი ქანობისა-
თვის მიღებული გვაქვს
დაპროფილების ცხრა-
ს ვლიანი სქემა. ექსპერი-
მენტული ცდების შედე-
გად შეგვიძლია დავას-
კვნათ, რომ მანქანების



სურ. 9.

ტერასის განვითარების განსაზღვრა
ში იმყოფება ქანობის სიღილესთან.

ამრიგად, მანქანის სელათა რიცხვი დამოკიდებულება-
მოწყობის სიძნელეზე ქანობის სიციცაბისდა მიხედვით.

როგორც მე-11 ნახაზიდან ჩანს, სატერასო აგრეგატების
სელათა რიცხვი შემდეგნაირად შეიძლება გამოესახოთ:

$$n = \gamma \cdot \alpha = 0,74 \cdot \alpha$$

იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ქანობი, კოეფიცი-
ენტი γ შეიძლება ცვალებადობდეს სხვადასხვა რაიონისათვის 0,60—
0,85 შორის. კიბურა ტერასების ბულდოზერით მოწყობის შემთხვე-
ვაში კი, აგრეგატის სელათა რიცხვი გვექნება

$$n = 0,4 \cdot \alpha$$


კოეფიციენტი γ იცვლება 0,30—0,50-ის ფარგლებში.

¹ Н. В. Орнатский. „Грунтовые дороги“, стр. 264, М., 1938.

ბულდოზერით მუშაობის დროს გათვალისწინებულია რიცხვის 2-3 სელა. საჭიროა რათა, მომავალი ცდების საფუძველზე, ქსრული რო დაზუსტდეს დაპროფილების სქემები თითოეული სელის ანალიზის ჩატარებით. სატერასო აგრეგატის ყოველ სელას უნდა ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული დანიშნულება, შერჩეულ უნდა იქნას ტრაქტორის გადაცემა ყოველი სელისათვის და დამტერასებლის სამუშაო ორგანოების დაყენება. მხოლოდ ასეთი სიზუსტის დაცვით შეიძლება მიერადწიოთ მაღალ მწარმოებლობას და საწვავის მცირე ხარჯებას.

თემატიკა მარტის ჩარჩოების საშუალება.

ფასადის ვაკილები პარ 3.0 ა.



ნაჩ. 10. ცერასის დაპროფილების სქემა 18° დაჭანებისათვის.

ნასწარ განსაზღვრული დანიშნულება, შერჩეულ უნდა იქნას ტრაქტორის გადაცემა ყოველი სელისათვის და დამტერასებლის სამუშაო ორგანოების დაყენება. მხოლოდ ასეთი სიზუსტის დაცვით შეიძლება მიერადწიოთ მაღალ მწარმოებლობას და საწვავის მცირე ხარჯებას.

3. სატერასო აგრეგატთა მწარმოებლობა და საწვავის ხარჯი. ტრაქტორის მოწყობის დროს ცვლაში მწარმოებლობის გამოთვლის მიზნით ცვლის ხანგრძლიობა მივიღოთ T ცვ. = 10°. ცვლის დრო შედგება სამუშაო ციკლის დროისაგან T ციკლი, აგრეგატზე მომსახურების დროისაგან T მომსახ. და აგრეგატის გაცდენებზე დახარჯული დროისაგან T გაცდენა. ამრიგად, ცვლის დრო შედგება:

$$T_{ცვლა} = T_{ციკლი} + T_{მომსახ.} + T_{გაცდენა}$$

დრო T მომსახ. შედგება დროისაგან, რომელიც იხარჯება აგრეგატის ტექნიკურ მოვლაზე, დროისაგან, რომელიც საჭიროა ტრაქტორის


მოსამარაგებლად საწვავით და წყლით და დროისაგან, რომელიც
იხარჯება ტერასის ბოლოებში მობრუნებაზე. ამრიგად, გრაფიკული
შედეგი

$$T_{\text{მომსახ.}} = T_{\text{ტეპ.}} + T_{\text{გაწყ.-გადარ.}}$$

ტერასების დაპროფილების სამუშაოთა შესრულების პროცესში შე-
იძლება შეგვხვდეს, აგრეთვე, სპეციალური ხასიათის გაცდენები,
რომლებსაც აღვინიშნავთ T გაცდ. სპეციფიკურ გაცდენებს შეიძლება
მივაკუთხოოთ, მაგ., ქვებისა და ხის ძირებისავან გამოწვეული გაც-
დენა. ახლად ათვისებულ ფართობზე ხშირად დიდი რაოდენობის
ხის ფესვები გვხვდება. აფხაზეთის რაიონებში ქანობებზე გრუნტში
დიდი რაოდენობითაა ქვები. ყოველივე ეს გავლენას ახდენს სატერასო
აგრეგატის

მუშაობაზე.

თუ ზემო-
მოყვანილ
მსჯელობას
მწარმოებ-
ლობის ან-
გარიშს და-
უდებთ სა-
ფუძვლად,
სატერასო
აგრეგატის
მწარმოებ-
ლობა შემ-
დევნაირად
გამოვსახოთ:



ნახ. 11. სატერასო აგრეგატების სვლათა
რიცხვის დამოკიდებულება ქანობაზე.

$$\Omega_{\text{ცვლა}} = \frac{T_{\text{ციკლი}}}{n \cdot t_{\text{ციკლი}}}$$

სადაც n — საკუცვების ან ტერასების რაოდე-
ნობაა, t ციკლ. — აუცილებელი დრო აგრეგატის

ერთი სელისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ ტერასების მოწ-
ყობა სხვადასხვა მანქანით ჭარმოებს. ერთი ჰექტარი ქანობისათვის
თითოეული სატერასო აგრეგატის მწარმოებლობა შემდეგნაირად შე-
იძლება გამოვთვალოთ:

$$\text{ა) გუთნისათვის} — W \text{ გუთანი} = \frac{T_{\text{ციკლი}}}{\Omega_{\text{გუთანი}}}$$

$$\delta) \text{ გრეიიდერისათვის } W \text{ გრ.} = \frac{T_{ციკლი}}{\Omega_{გრ.}}$$

$$\gamma) \text{ რიბერისათვის } W \text{ რიპ.} = \frac{T_{ციკლი}}{\Omega_{რიპ.}}$$

განვსაზღვროთ დრო, რომელიც აუცილებელია ერთი ტერასის მოსაწყობად:

$$W \text{ ტერ.} = W \text{ გუთ.} + W \text{ გრ.} + W \text{ რიპ.}$$

ამრიგად, შეგვიძლია დავწეროთ:

$$\Omega \text{ ტერ/ციკლი} = \frac{T_{ციკლი}}{W_{გუთ.} + W_{გრ.} + W_{რიპ.}}$$

$$W\text{-ს მნიშვნელობა შევცვალოთ } \Omega \text{ მნიშვნელობით. } W = \frac{T_{ციკლი}}{\Omega}$$

მაშინ შეგვიძლია დავწეროთ:

$$\Omega \text{ ტერ} = \frac{T_{ციკლი}}{\frac{T_{ციკლი}}{\Omega_{გუთ.}} + \frac{T_{ციკლი}}{\Omega_{გრ.}} + \frac{T_{ციკლი}}{\Omega_{რიპ.}}}$$

$$\Omega \text{ ტერ} = \frac{T_{ციკლი}(\Omega_{გუთ.} \cdot \Omega_{გრ.} \cdot \Omega_{რიპ.})}{T_{ციკლი}[(\Omega_{გრ.} \cdot \Omega_{რიპ.}) + (\Omega_{გუთ.} \cdot \Omega_{რიპ.}) + (\Omega_{გუთ.} \cdot \Omega_{გრ.})]}$$

$$\Omega \text{ ტერ} = \frac{\Omega_{გუთ.} \cdot \Omega_{გრ.} \cdot \Omega_{რიპ.}}{(\Omega_{გრ.} \cdot \Omega_{რიპ.}) + (\Omega_{გუთ.} \cdot \Omega_{რიპ.}) + (\Omega_{გუთ.} \cdot \Omega_{გრ.})}$$

სატერასო აგრეგატების მწარმოებლობის გამოანგარიშება შეიძლება მოწყობილი ტერასების საერთო სიგრძის მიხედვით. ასეთ ანგარიშს აწარმოებენ საგრუნტო გზების აგების დროს.

$$N_{გმ/ტერ.} = \frac{T_{ციკლი} \cdot L \cdot K}{\left(\frac{L}{V} + 1 \right) n}$$

სადაც L ტერასების საერთო სიგრძეა, V —აგრეგატის ერთი მობრუნებისათვის საჭირო დრო, K —დროის გამოყენების კოეფიციენტი ცვლაში, n —აგრეგატის სიჩქარე.

მწარმოებლობის განსაზღვრის მიზნით შედარებით მარტივი ანგარიში შეიძლება ვაწარმოოთ შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$N_{გმ/ტერ.} = \frac{T_{ციკლი} \cdot V_{ფაქტ.} \cdot K}{n}$$

საღაც V ფაქტ. ცვლაში მიღებული საშუალო ფაქტიური სიჩქარეა. თუ გვეცოდინება აგრეგატების მწარმოებლობა კილომეტრობრივი მოხატული, შესაძლებელია მისი გამოხატვა ჰექტარობითაც:

$$\Omega_{\text{ტერ}}/\text{ჸა} = \frac{N_{\text{კმ}}/\text{ტერ.}}{L}$$

აქაც გართულებულია საწვავი მასალის ხარჯების ანგარიში, რადგანაც განსაზღვრულ უნდა იქნას თითოეული აგრეგატის ხარჯი და მათი ჯამი მაჩვენებელი იქნება დატერასებაზე დახარჯული საწვავის რაოდენობისა.

განვსაზღვროთ საწვავის ხარჯვა დროის ერთი ელემენტისათვის. აგრეგატის ერთი სელისათვის სამუშაო დრო აღვნიშნოთ / სამ. წუთობით და საწვავის ხარჯი Q სამ. კილოგრამობით საათში. საწვავის ხარჯი ცვლის ერთი ელემენტისათვის შეგვიძლია განვსაზღვროთ:

$$Q_{\text{ელ/ცვლა}} = \frac{\text{სამ.} \cdot Q_{\text{სამ.}}}{60}$$

სატერასო აგრეგატის ერთი სელისათვის საწვავის საერთო ხარჯვა გვექნება:

$$Q_1 \text{ სელი} = \frac{\text{სამ.} \cdot Q_{\text{სამ.}} + \text{მობრ.} \cdot Q_{\text{მობრ.}} + \text{გაცდ.} \cdot Q_{\text{გაცდ.}}}{60}$$

გვეცოდინება რა ერთი ტერასის მოსაწყობად საჭირო სატერასო აგრეგატების სელათა რაოდენობა, განვსაზღვრავთ საწვავის რაოდენობას აღნიშნული სამუშაოსათვის.

$$Q_1 \text{ ტერ.} = Q_{\text{ცვლა}} \cdot n$$

თითოეული სატერასო აგრეგატისათვის საწვავის ხარჯვა ერთ ჰექტარზე განისაზღვრება:

$$q_{\text{ჸა/აგრეგატი}} = \frac{n Q_{\text{ცვლა}} \cdot \Omega_{\text{ცვლა}} + Q_{\text{მომსახ.}}}{\Omega_{\text{ცვლა}}}$$

$$q_{\text{ჸა/აგრ.}} = n \cdot Q_{\text{ცვლა}} + \frac{Q_{\text{მომს.}}}{\Omega_{\text{ცვლა}}}$$

ამრიგად, ვაწარმოებთ რა საწვავის ხარჯის ანგარიშს გუთისათვის, გრეიდერისა და რიპერისათვის ცალ-ცალკე, მათი ჯამი გვაძლევს საწვავის ხარჯის რაოდენობას ერთი ჰექტარი ფართობის დასატერასებლად.

$$q_{\text{ჸა/ტერ.}} = q_{\text{გუთ.}} + q_{\text{გრეიდ.}} + q_{\text{რიპ.}}$$

ზემოხსენებული მსჯელობის მიხედვით თუ ვაწარმოებთ მოცემული მოცემულობისა და საწვავის ხარჯის ანგარიშს მივიღებთ შემოტკიცებული რაოს: დატერასების მწარმოებლობა საქცევის სიგრძის შინედრით ცვლაში რყევადობს 0,5 — 0,92 პექ-მდე. შესაბამისად, საწვავის ხარჯის ნორმა რყევადობს 238—152 კგ-მდე. მე-8 ტაბულაში მოცემულია მწარმოებლობის და საწვავის ხარჯის გაანგარიშების შედეგად მიღებული მაჩვენებლები. ტაბულაში მოცემული ანგარიში ჩატარებულია აფხაზეთის რაიონების ქანობებისათვის. ამ შემთხვევაში ნაგულისხმევია ქანობი, რომელზედაც დასატერასებელი ნაკვეთი გაშენდილია ტყისაგან, ხის ძირებისა, ფესვებისა და ქვებისაგან. ქანობზე კულტურული ნიადაგია.

ტაბულა 8

კლეინ სიგრძე	α^0	დაწვანდვის დოზა	სამუშაოთა ტარმოების მატერიალი	ψ	Ω	Q_1	Q_2	შენიშვნა
100 მ.	18°	18	0,306	0,50	12,56	237,8	დამტერასებული აგრეგატ-გრუნი „K 56 PB“, გრეი-დერი „GC“ და რიპერი.	
200	"	9	0,425	0,72	19,23	181,5	ტერასის ვაკისის განიუდრის 3,0 მეტრს	
300	"	6	0,485	0,84	25,79	161,3	"	
400	"	4,5	0,526	0,92	32,36	151,6	"	

დატერასების სამუშაოთა ტარმოების დროს საწვავის დიდი რაოდენობა იხარჯება უქმ სელებზე, განსაკუთრებით ნაკვეთიდან ნაკვეთზე გადასვლის დროს. უქმი სელებით გამოწვეული საწვავის ხარჯი მე-8 ტაბულაში მოცემულ ნორმებში გათვალისწინებული არაა.

ტაბულა 9

α^0	სამუშაოს სიგრძე, მ	მერ.	ψ ტერ.	ც ცენ.	Q_1	Q_2	Q_3	შენიშვნა
9°	300	9,0	0,485	0,89	16,19	152,0	2700 მ	მოცემულ ნორმებში საწვავის ხარჯი უქმ გადარბენებზე გათვალისწინებული არაა. ტერასის ვაკისის განია 3,0 მ. მოწყობა ტარმოებს გრეი-დერით, გუთნით და რიპერით. წევის ძალა „ЧТЗ—С-60“
13	"	7,4	"	0,87	20,30	155	2220	
18	"	6,0	"	0,84	25,79	162	1800	
25	"	5,5	"	0,70	33,47	193	1650	

მწარმოებლობა და საწვავის ხარჯი დიდად ცვალებადობს დაკანების სიციცაბესთან დაკავშირებით, ასე, მაგ., 300 მეტრის სიგრ-

ძის ტერასის მოსაწყობად 90° ქანობზე თუ იხარჯება $16,19$ კგ ლაგროინი, იმავე სიგრძის ტერასის ასაგებად 25° ქანობზე $33,47$ კგ ლიგროინი. მე-9 ტაბულაში მოცემულია ანგარიშის შედეგად მიღებული მწარმოებლობისა და საწვავის ხარჯების მაჩვენებლები. გაანგარიშება მოხდენილია კულტურული ნიადაგისათვის.

ბულდოზერით მუშაობის დროს საწვავის ხარჯი მცირდება, რადგანაც მწარმოებლობის ზრდას იქნება იდგილი. მე-10 ტაბულაში მოცემულია მწარმოებლობისა და საწვავის ხარჯვა საქცევის სიგრძის მიხედვით.

ტაბულა 10

L'	α°	"ტერ. 1 ჰა-ზე"	ψ	Ω ცვლა	Q ტერ.	q კგ/ჰა	შენიშვნა
100	18	18,0	0,306	0,72	26,76	195	ტრაქტორი 4T3—C—60, ბულდოზერი „R—65“, რიპერი და გუთანი „K—56“, ტერასის ვაკის განი—3,0 მ.
200	"	9,0	0,425	1,02	15,3	144	
300	"	6,0	0,485	1,18	20,3	127	
400	"	4,5	0,526	1,29	25,2	115	

მე-8, 9 და 10 ტაბულებში ანგარიშის შედეგების გავრცელება შეიძლება მხოლოდ ათვისებული ქანობებისათვის, შედარებით მძიმე პირობებისათვის, როდესაც ქანობზე გაუტეხავი ყამირი ნიადაგია. მწარმოებლობა მცირდება $20—30\%$ -მდე. ამავე რაოდენობით იზრდება საწვავის ხარჯი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მექანიზებული წესით ტერასების მოწყობა 25° -მდე შეიძლება ბულდოზერის გამოყენებით. გრეიიდერით მუშაობის დროს კი ტერასები შეიძლება მოვაწყოთ დაქანებებზე არა უმეტეს $20—22$ -სა.

მე-8, 9, 10 ტაბულებში მოცემული საბოლოო ანგარიში მიღებულია ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების მონაცემების მიხედვით. ცდების ჩატარების დროს ვახდენდით სატერასო ავრეგატის სამუშაო ფლის ფოტოგრაფიას ქრონომეტრაჟის ჩატარებით. მისაბმელი მანქანების წევითი წინალობის განსასახლერელად, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ვაწარმოეთ დინამომეტრული გამოცდა.

დ ა ს კ პ ნ ი ბ ი

1. ტენიანი სუბტროპიკების პირობებში როგორც ვაკე, ისე დაქანებულ ნაკვეთებზე ტყის ამოძირევა შეიძლება. პირდაპირი წევით მძლავრი მუხლუხა ტრაქტორების „4T3—C—60“ და „4T3—C—65“ გამოყენებით. ბავირი ხეზე უნდა მიებას $2,0—3,0$ მ-ის სიმალლეზე. ბაგირის სიგრძე პირდაპირი წევით ამოძირევის დროს არ უნდა



იყოს 35—40 მ-ზე ნაკლები და მისი დიამეტრი უნდა უფრო დაფიქცირდეს ამ პერიოდისას.

პირდაპირი წევით ხის ძირების შეუჭრელად შესაძლებელია ამოძირებული იქნას 50—60 სმ-დე დიამეტრის მქონე ხეები. აჭარისა და აფხაზეთის რაონებში ხეების დიამეტრი აღწევს 0,9—1,2 მეტრა-მდე. ასეთი ხეების ამოძირებული პირდაპირი წევით შესაძლებელია მხოლოდ ორი ტრაქტორის მიბმით. დიდი დიამეტრის ხეების ამოძირებულის დროს ბაგირი შეიძლება მივაბათ 8—10 მეტრის სიმაღლეზე. ამ შემთხვევაში ბაგირის სიგრძე 60 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

დიდი დიამეტრის ხეებისა და ხის ძირების ამოძირებულის დროს ძირები უნდა შეიჭრას, რაც გააალებულებს მათ ამოძირებულის ტრაქტორით. მწარმოებლობა და საწყავის ხარჯვა უნდა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული ნაკვეთისათვის. ასეთი დიფერენცირებული მიღებით მივაღწევთ ტრაქტორების ექსპლოატაციის მაღალ ხარისხს.

2. ამოძირებული ხის ძირების ნაკვეთიდან გამოზიდვა გაცილებით რთულ ოპერაციას წარმოადგენს, ვიდრე თვით ამოძირებული.

ამოძირებული ხის ძირები უნდა გაიზიდოს ტრაქტორისა და ბაგირის დახმარებით. ზიდვის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 100—150 მეტრს. სამუშაოთა სწორი ორგანიზაციით მწარმოებლობა ცვლაში შეიძლება გაიზარდოს 0,3 ჰექტარამდე (ზიდვის მანძილი 100—150 მ, გამოსაზიდი ძირების რაოდენობა—300).

3. ტენიანი სუბტროპიკების პირობებში, ეროზიულ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სუბტროპიკული პლანტაციების მოსახლიანობის ზრდის მიზნით ქანობები ათვისებულ უნდა იქნას დატერასების გზით.

ტერასები, როგორც კაპიტალური ხასიათის ნაგებობა, უნდა მოეწყოს წინასწარ შემუშავებული პროექტის მიხედვით. ტერასების ქანობზე განწყობა-დაგეგმვა, როგორც წესი, უნდა წარმოებდეს არა მარტივი ხელსაწყოებით (ორფეხა ვატერპასით), არამედ ნიველირით.

4. ცველგან არ შეიძლება ტერასების მოწყობა. წინასწარ შეისწავლება გრუნტის თვისებები და ნაკვეთის გეოლოგიური აღნაგობა.

დატერასებასთან დაკავშირებით ქანობზე იყარგება ფართობი. ეს გარემოება განსაკუთრებით საგრძნობია ციცაბო ქანობებზე. ქანობის უკეთ გამოყენების მიზნით კიბურა ტერასების მოწყობა და-საშვებია არა უმეტეს 30° სიციცაბის მქონე ქანობზე.

5. კიბურა ტერასების მოწყობა მექანიზებული წესით, ბულდოზერის გამოყენებით, შეიძლება არა უმეტეს 25° -ის მქონე ქანობისა, გრუნდერის გამოყენების დროს კი—არა უმეტეს $20—22^{\circ}$ -სა,

6. ტეხილ, უსწორმასწორო რელიეფზე და მოკლე საქცეცვით
ნაკვეთებზე (100 მ-მდე) კიბურა ტერასები უნდა მოწყოს უტეხწეფსა
იარაღებით, მაგ., ცხენწევის საბრუნი გუთნით, არხისმთხრელით და
სხვ. ცოცხალი გამწევი ძალის (ხარ-კამეჩის) გამოყენებით დატერა-
სების წარმოება შეიძლება არა უმეტეს 25—28°-იან ქანობზე. ხე-
ლით მუშაობასთან შედარებით ამ წესით მუშაობის დროს შრომის
ნაყოფიერება იზრდება ორჯერ მაინც.

7. სატერასო აგრეგატთა მწარმოებლობა აფხაზეთის რაიონე-
ბისათვის ცელაში, საშუალოდ, აღწევს 0,84 ჰექტარს, ბულდოზერით
მუშაობის დროს კი, მწარმოებლობა ერთ ჰექტარს აღემატება. სა-
წვევის ხარჯი პირველ შემთხვევაში უდრის 162 კგ-ს და მეორე შე-
მთხვევაში—127 კგ-ს (როდესაც საქცევის სიგრძე 300—400 მეტრია).

8. ცდებით დადასტურებულია, რომ მექანიზებული წესით და-
ტერასებას უდიდესი ეფექტიანობა აქვს. მუშახელის რაოდენობა
მცირდება 10-ჯერ, ლირებულება კი—86 %-ით. ჩაის მრეწველობისა
და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეც.-საკელევი ინსტ-ის
სოხუმის ფილიალის ცნობებით ერთი ჰექტარი კიბურა ტერასების
მოსაწყობად საჭიროა 640 კაცდღე, ლირებულება—12 ათასი მანეთი.

9. დატერასების მექანიზებული წესებისა და ხერხების გაუმ-
ჯობესების მიზნით მომავალი ცდების დროს ჩატარებულ უნდა იქ-
ნას შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გრეიიდერებით დატერასების სამუშაოთა გასაადვილებლად
მანქანაზე უნდა მოეწყოს პიდრავლიკური მართვის მექანიზმი. უნდა
შემსუბუქდეს და გამარტივდეს მისაბმელი მოწყობილობა.

ბ) გაუმჯობესდეს რიპერის დგართა დამაგრების წესი, ორი
ქანჩის მაგიერ დაყენებულ უნდა იქნას სამი, დგარების შემცირების
ხარჯზე გადიდეს რიპერის მოდების განი 0,5 მეტრით. ყოველივე
ზემოაღნიშნული შესაძლებელია გადაკეთდეს ყოველ მტს-ში.

გ) ჩატარდეს საბჭოთა კონსტრუქციის ბულდოზერის გამოცდა
სამეურნეო პირობებში.

დ) მისაბმელი მანქანების უკეთ რეგულირების მიზნით (წევის
ხაზის პორიზონტალურ სიბრტყეში გადატანა) დამუშავდეს ტრაქ-
ტორზე მისაბმელი მოწყობილობა.

10. ამოსაძირკვი სამუშაოების გაადვილების მიზნით გამოც-
დილ უნდა იქნას ტრაქტორ „კუნ“-ს ჯალამბარი. ამასთან ერთად,
უნდა ჩატარდეს ხის ძირების გამოზიდვის რაციონალიზაცია.

შესწავლილ უნდა იქნას ხის ძირების ექსტრაქციის ძალები ხის
ჯიშთა, გრუნტის თვისებების და სხვა პირობათა მიხედვით.

11. უახლოეს ხანში ბულდოზერის ბაზაზე შექმნილ უწყვეტესად სრულქმნილი კონსტრუქცია დამტერასებელი მანქანისა და მიღებულ დახმარებითაც, საპროფილო სამუშაოებთან ერთად, შესრულებულ უნდა იქნას გრუნტის გაფხვიერების პროცესიც. მანქანის ეფექტითი მუშაობის მიზნით დამტერასებელზე უნდა მოეწყოს ისეთი ხელსაწყოები, რომელთა დახმარებითაც ტრაქტორისტი სწორად წარმართავს აგრეგატს სატრასო ხაზების გასწვრივ.

12. მიწათმოქმედება ტერასებზე, ტენიანი სუბტროპიკუბის შემდეგ, უნდა განვითარდეს, პირველ რიგში, მეზილეობისა და მევენახეობის რაიონებში. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს სათანადო ცდები. თუ რა მაღალი ეფექტიანობა აქვს მიწათმოქმედებას ტერასებზე ტენიან სუბტროპიკუბში ეს ჩანს ქვემომოყვანილი ტაბულიდან. ეჭვი არაა, რომ მოსავლის ზრდას ასევე ექნება ადგილი სხვა რაიონებშიაც.

პლანტაცია	მოსავლიანობა				შენიშვნა	
	1939 წ.		1940 წ.			
	წელიწები	წელიწები	წელიწები	წელიწები		
კელასური, აასსრ, სოხუმის რაიონი, 1936 წ. დარგული მანდარინი ¹ .	148	12,16	170	14,52	ნორმით გათვალისწინებული მინსასუების შეტანით და ყოველ წელს სიცერატების ჩახვნით.	

როგორც ჩანს, 3—4 წლის მანდარინის პლანტაციისათვის მიღებულია მეტად მაღალი მოსავალი.

ჩვენი აზრით, გვალვიან მარცვლეულ რაიონებში თხემიანი ტერასების მოწყობამ უნდა მოგვეუს, აგრეთვე, მოსავლიანობის დიდი ზრდა. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს ცდები. თხემიანი ტერასები მარცვლეული კულტურებისათვის (პირველ რიგში სიმინდისათვის) უნდა მოეწყოს ქანობებზე 2—5°-მდე. თხემიდან თხემამდე მანძილი 10 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.

¹ შ. ი. ჯალალიას ცდებიდან.



Доц. И. М. Хохлов

МЕХАНИЗАЦИЯ КОРЧЕВКИ ЛЕСА и ЗАКЛАДКИ ТЕРРАС

р е з ю м э

В условиях субтропических районов Западной Грузии корчевку леса целесообразнее производить прямой тягой, с использованием трактора „ЧТЗ—С—60“ или „ЧТЗ—С—65“. При прямой тяге тросс за дерево зацепляется от грунта на высоте 2,0—3,0 м, при этом длина тросса должна быть 35—40 м, а диаметр его—21—23 мм.

В тех случаях, когда диаметр деревьев превышает 60 см, тросс должен быть зацеплен на 3,0—4,0 м. При таком способе корчевки производительность за смену равна 0,4 га, расход лигроина на один га не превышает 235 кг.

Закладку ступенчатых террас можно производить с помощью грейдера и бульдозера, при этом производительность террасных агрегатов за смену равна в среднем 0,7—0,9 га (при средней крутизне склона 18—20°). Количество проходов машин при закладке ступенчатой террасы шириной полотна 3,0 м рекомендуем определять по формуле:

$$n = \gamma \cdot \alpha$$

где γ —коэффициент трудности закладки, α —крутизна склона в градусах.

В условиях субтропических районов Грузии коэффициент трудности закладки колеблется в пределах 0,5—0,9 и по нашим опытам в среднем равен 0,74. Механизированное террасирование сокращает потребность рабсилы (против ручной закладки) в 10 раз, а затраты уменьшаются на 86%.

Нашиими опытами установлено, что грейдер марки „ГС“ и реверсивный бульдозер марки „БГ“ являются наиболее подходящими машинами для закладки ступенчатых террас на уклонах, не превышающих крутизну 25—30°.

Doc. I. K h o k h l o v

MECHANIZATION OF TERRACE BUILDING AND OF STUBBING OF FOREST TREES

Summary

In the subtropical region of Western Georgia stubbing of forest trees should be done with tractors „ЧТЗ—С—60“ or „ЧТЗ—С—65“. The rope must be hitched to a tree at the

height of 2—3 met. from the ground, the length of the rope being 35—40 met. and its diameter 21—23 mm.

When we have to deal with trees over 60 cm. in diameter, the rope must be hitched to the tree at the height of 3—4 met.

The output per one shift, when stubbing trees after this method, is 0,4 hect. and the expense of ligroin per 1 hect. does not exceed 235 kg.

Bench terraces can be built with a grader and a road-builder, the output of a terrace aggregate per one shift averaging at 0,7—0,9 hect. (on the slopes of 18—20 deg.).

We recommend to determine the number of trips of the machines for building a terrace 3 met. wide after the formula

$$n = \gamma \cdot \alpha,$$

where: γ is the coefficient of difficulty in building and α is steepness of the slope in degrees.

For the subtropical region of Georgia the coefficient of difficulty in building ranges from 0,5 to 0,9 and according to our experiment averages at 0,74.

The number of required workers for mechanized terrace building is 10 times less and the expenses are 86 per cent lower than for building terraces without machines.

Our experiments have proved that the grader „ГС“ and the road-builder „БГ“ are the most suitable machines for building bench terraces on slopes not steeper than 25—30 deg.



პ. პ. ღვევავა
უფრ. მეცნ. მუშაკი

ტუნგოს ნაყოფისაჩან ბალასტის გაცლის მექანიზაცია¹

ტუნგოს მთელი მოსავალი პლანტაციებიდან გადააქვთ ზეთის სახდელ ქარხანაში. გარსი და თესლის პერანგი წარმოადგენს მოსავალის ბალასტს, რომლის გადაზიდვაზე ყოველწლიურად უამრავი თანხა იხარჯება. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი ფერდობებზე გაშენებული ტუნგოს პლანტაციების მიმართ. მაგალითისათვის დავისახელოთ ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობა. აქედან ტუნგოს ნაყოფი მახლობელ ბილიკამდე გამოაქვთ ტომრებით, ბილიკიდან ვირებით ეზიდებიან საურმე გზამდე, საიდანაც ურმით გადააქვთ გზა-ტკეცილამდე, ხოლო აქედან აეტომენქანით ზეთის სახდელ ქარხანაში. ქარხანაში ჩაბარებამდე ტუნგოს ნაყოფმა უნდა გაიაროს შრობის საფეხური 20 დღის განმვლობაში საგანგებოდ გამართულ ფარდულებში. უკანასკნელთა აშენება და ექსპლოატაცია დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. დასავლეთ საქართველოს ტენიან პირობებში კიდევ უფრო რთულდება პლანტაციებიდან ტუნგოს ნაყოფის დროული გამოზიდვა.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი ხარჯები, რომლებიც აწევს ტუნგოს ზეთის პროდუქციას.

ყოველივე ამის გამო საჭიროდ მიგდანია დროულად გადავჭრათ ტუნგოს ნაყოფის ბალასტისაგან წმენდის მექანიზაციის საკითხი. ტუნგოს ნაყოფის ფიზიკურ-მექანიკურ თევისებათა მიხედვით მიზანშეწონილია მანქანის აგებას საფუძვლად დაედგას დრესეის პრინციპი. მანქანა საშუალებას მოგვცემს: ა) ტუნგოს ნაყოფის ბალასტისაგან განთავისუფლებით მინიმუმამდე დავიყვანოთ გადაზიდვასთან, ტარასა და საშრობების აგებასთან დაკავშირებული ხარჯები, ბ) ავამაღლოთ ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხი, გ) საგრძნობლად შევამციროთ ტუნგოს მოსავლის ალებისა და ჩაბარების გადები, დ) მოსავლის ალების დაძაბულ პერიოდში განთავისუფლებული ტრანსპორტი და მუშახელი მოვამსახუროთ სუბტროპიკულ კულტურებს.

¹ ტუნგოს ნაყოფისგან ბალასტის გამცლელი მანქანის თანაავტორია ა. ლეფაშვილი.

ზოგადი ცნობები ტუნგოს კულტურის შესახებ. ტუნგოს ხე ზეთოვანი მცენარეა. იგი ეკუთვნის *Aleurites*^{კულტურული}
Euphorbiaceae-ს ოჯახს. საქართველოში გაშენებულია *A. fordii* (ფორდი) და *A. Cordata* (კორდატა). ნაყოფი შეიცავს მაღალხარისხოვან
ზეთის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სალებავი ლაქის წარმოე-
ბისათვის. ლაქების მოსამზადებლად იძლევა სწრაფად მშრობ და
მკვიდრ თხელ ბრქეს. ტუნგოს ზეთის გამამხოლოებელი ლაქები გა-
მოყენებულია მრავალი სახის მოტორების წარმოებაში, სპეციალურ
ელექტრო-მანქანებში, ტუნგოს ზეთისაგან მზადდება სანაოსნო მო-
ტორების ელექტროლაქები.

გემთშენებლობაში ტუნგოს ზეთი გამოიყენება წყალქევება ნა-
წილების შესალებად. ფორდისა და კორდატას სახეობათა ზეთის
ტექნიკური თვისებები უახლოვდება ერთმანეთს. ფორდის ზეთი 280°
ტემპერატურაზე რამდენიმე წუთში სქელდება, ხოლო კორდატას
ზეთი რჩება თხიერი და სქელდება ორი საათის თბობის შემდეგ.
ფორდის თესლი შეიცავს 65% ზეთს, ხოლო კორდატასი—62% -ს.
ხანგრძლივი შენახვით ტუნგოს თესლი კარგავს ზეთს. ნაყოფი
ჯერ მწვანეა, შემდეგ მურა ფერისა, მომრგვალო-ბრტყელი, სიგრ-
ძით 4—6 სმ, განით 3,5—8 სმ, 4—7 ბუდით. თესლი კვერც-
ხისებრია, სიგრძით 2—3 სმ. ნაყოფი და თესლი შხამიანია. კორ-
დატას ჯიშის ტუნგოს მცენარე რუსეთში პირველად შემოიტანეს
1898 წელს, მაგრამ მან განვითარება ვერ იძოვა. მხოლოდ 1930—
32 წლებში გაჩნდა საბჭოთა კაშირში, ჩენი მრეწველობის გიგან-
ტური განვითარების გამო, დიდი მოთხოვნა ამ მაღალხარისხოვანი
ზეთის მიმართ. დაიწყო გაშენება ორივე სახეობის პლანტაციებისა.
ფორდის თესლი შემოტანილ იქნა საზღვარგარეთიდან. 1936 წელს
დასავ. საქართველოში იყო 4700 ჸა ტუნგოს პლანტაცია, 1939 წელს
ტუნგოს მცენარის ორივე სახეობის პლანტაციის ფართობმა მიაღ-
წია 15.800 ჰა-მდე.

ფორდი მსხმოიარობას იწყებს 3—4 წლიდან, კორდატა კი—
5—6 წლიდან, სრულ მსხმოიარობას იწყებენ 10—11 წლიდან. ამ
დროს ერთი მცენარე იძლევა 30—50 კვ-მდე ნედლ ნაყოფს. დასავ-
ლეთ საქართველოს გარდა ტუნგო გაშენებულია კრასნიდარის სამ-
ხრეთ ნაწილში და აზერბაიჯანის სსრ-ში.

აგროწესების მიხედვით, ტუნგოს ნაყოფის უდანაკარგოდ ასა-
ლებად და მაღალხარისხოვანი ნედლეულის მისალებად საჭიროა წი-
ნასწარ მომზადება. ტუნგოს ნაყოფის ალება წარმოებს მათი მო-
მწიფების შემდეგ. სიმწიფის მაჩვენებელია ნაყოფების ხიდან ჩამო-

ცვენა (ამ დროს ნაყოფი ხდება მუქი წითელი). მოსავლის აღება უნდა წარმოებდეს თანდათანობით, ნაყოფის ხიდან ჩამოცვენის მიერთებულ ხეზე დარჩენილი ნაყოფები ფრთხილად უნდა ჩამოიბერტყოს ჭრაშელისა ჭოგებით ტოტების დაუზიანებლად. ნაყოფის მომწიფება და მათი ხიდან ჩამოცვენა საქართველოს ტენიანი სუბტროპიკების პირობებში, ჩვეულებრივად, იწყება სექტემბრის ბოლოდან და გრძელდება დეკემბრამდე. მოსავლის აღების შემდეგ საჭიროა პლანტაციის შემოვლა და შემოწმება დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით. ნაყოფი უნდა ავილოთ მშრალ ამინდში. დამამზადებელ პუნქტებს უნდა ჩავაბაროთ მწიფე, სველი, სუფთა, დაუძლებელი ნაყოფი.

ზოგიერთი მომენტი ტექნოლოგიური პროცესის დასადგენი დ. ტუნგოს ნაყოფს გარედან აკრავს გარსი, რომელიც დაყოფილია ბუდეებად. ცალკე ბუდეებში მოთავსებულია თესლი, რომელსაც აკრავს პერანგი. ახლად ჩამოცვენილი ტუნგოს ნაყოფი მურა წითელია და საჯამოდ მაგარი. გარსი მკვრივია, ბუდეები მაგრად არის შეკრული. თესლს პერანგი მჭიდროდ ეკვრის. ასეთ მასალას აგროვებენ კალოებად ჩამოცვენის პერიოდების მიხედვით. საბოლოოდ, მოსავლის აღების ასეთი ხერხის შედეგად, ჩვენს წინაშეა დასამუშავებელი მასალის გაურკვეველი ნარევი. აქ შეხედებით სხვადასხვა დროს აკრეფილ ნაყოფებს. ზედმეტია ფიქრი კალოებად შეგროვილი მასალის დახარისხებაზე, რადგან ნარევში სრულიად გაურკვეველი რეჟიმია დასამუშავებელი მასალის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების დასადგენად.

ასეთ პირობებში შეგროვილ ტუნგოს ნაყოფს პლანტაციიდან ტომრებით ეზიდებიან კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის საწყობებში, ხოლო აქედან მიმღებ პუნქტებში, საიდანაც იგი იგზავნება ტუნგოს ზეთის სახდელ ქარხანაში. საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ გადაზიდვა უფრო ძნელია თვით მეურნეობის ფარგლებში, ვიდრე მეურნეობიდან დამამზადებელ პუნქტებში. ძირითადად უნდა შეიცვალოს ტუნგოს ნაყოფის აღების, ჩაბარებისა და გადამუშავების არსებული ხერხები. ტუნგოს ნაყოფისგან თესლის მიღება უნდა მიმდინარეობდეს მოსავლის აღებასთან ერთად, გადამუშავება წარმოებდეს მეურნეობაში და განტვირთვის თვალსაზრისით მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ტუნგოს ნაყოფის ტრანსპორტირების რაღიუსი მისი მიახლოებით კალოებთან.

ტუნგოს ნაყოფის ნაცვლად, ქარხანაში თესლის ჩაბარება გაადვილებს მასალის მიღებას და სტანდარტიზაციას. ტუნგოს ნაყოფის აღგილზე დატოვება განტვირთავს ტრანსპორტს, მისცემს მეურნეო-

ბას სასუქს, სათანადოდ შეამცირებს ტარას, მინიმუმამდე დაიკვეთს ნაყოფის აღებისა და ჩაბარების გადებს და აღკვეთს ყოველგვაუდებას გაჭიანურებას გეგმის დროულად შესრულების საქმეში. გაღუშტებებისა ლი ამოცანაა ტუნგოს მეურნეობისათვის შეიქმნეს ისეთი მანქანა, რომელიც შეძლებს თესლის გამოყოფას ნაყოფისაგან და მინიმუმამდე შეამცირებს, ნაყოფების მინაყოლს. ნაყოფზე მექანიკური ზემოქმედების შედეგად ადგილი არ ექნება თესლის მტკრევას.

ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული მექანიზაციის საცდელი სადგურის წინაშე ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის დასმის ინიციატივა ეკუთვნის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა კათედრის ყოფილ გამგეს, განსვენებულ დოკუმენტ გ. ზ. ხუციშვილს.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ტუნგოს ნაყოფისაგან თესლის მიღების მექანიზაციის დამუშავება უკვე რამდენიმე წელია მინდობილი ჰქონდა კრასნოდარის ეთერზეოთვან კულტურათა კვლევითს იმსტიტუტს; ჩვენს ინსტიტუტთან არსებული მექანიზაციის საცდელი სადგური კი, მის დამუშავებას შეუდგა 1939 წლის გასტულს.

კვლევა-ძების პირველ ეტაპზე ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი არა უშუალოდ თესლის მიღებაზე ტუნგოს ნაყოფიდან, არამედ ნაყოფის დაქუცმაცებაზე. ეს წესი საშუალებას იძლევა სათანადო რაციონალიზაცია შევიტანოთ ტუნგოს დამშაცების საქმეში. ასეთი ხერხით მნიშვნელოვნად მცირდება შრობის პროცესები ფარდულებში, მაგალითად, გაცილებით მეტი დრო იყო საჭირო მასალაში ტენის $11-12\%$ -მდე დაყვანისათვის. ნაყოფის დაქუცმაცების ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ დაქუცმაცებით მნიშვნელოვნად გაზრდილიყო პარის შეხების ფართობი ნაყოფისათვის. აშერაა, ამდენადვე დაჩქარდებოდა შრობის პროცესი.

ამ მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით როდესაც შევჩერდით ტუნგოს ნაყოფის დაქუცმაცებაზე და ძიებაც აქეთ წარვმართეთ. ტუნგოს ნაყოფის დასაქუცმაცებლად სასოფლო-სამეურნეო მანქანების არსებული კონსტრუქციებიდან გამოვიყენეთ სიმინდის საფუძველი მანქანა. უკანასკნელში სიმინდის ტარო მიმწოდებლით გადაეცემა კბილანათა სისტემას და იგი თავის ღერძის გარშემო ბრუნვით თავისუფლდება მარცვლებისაგან კბილანების ჩატიდებით. შევცადეთ ასეთივე მოქმედებით მიგველო ტუნგოს თესლი და ნაყოფები. ექსპერიმენტმა მოლოდინი არ გაამართლა. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან გარკვეული განსხვავება არსებობს სიმინდის ტაროსა და ტუნგოს ნაყოფის ფიზიურ-მექანიკურ თვისებებს. შო-

რის. ტუნგოს ნაყოფი დღითი-დღე რბილდება. აქ ლაპარავი შეიძლებოდა მხოლოდ ნაყოფის დაქუცმაცებაზე. ცდის დროს თესლებუნები წილობრივ დაიმტვრა. ამისათვის საფულენელ მანქანას შეუცვალესა კბილების ფორმა სიმაღლის შემცირებით და გამრგვალებით. მანქანის ზემოთ გავმართეთ ხეიმირი. ამ შესწორებათა შემდეგ მუშაობა გაადეილდა, მაგრამ მანქანის ეფუძნებიანობა იგივე დარჩა.


ექსპერიმენტმა დაგვარუშავნა, რომ ჩვენი ძიების საფუძლად უნდა აგველო სულ სხვა პრინციპი. ანალოგიურ ტექნოლოგიურ პროცესს გავეცანით საკონსერვო საქმეში. საკონსერვო წარმოებას უკვე ათვისებული აქვს დრესვის პრინციპი. ეს ხერხი გამოყენებულია ტომატის, გოგრისა და ვაშლის გადასამუშავებლად. ხენებული ტექნოლოგიური პროცესი უახლოვდება ტუნგოს ნაყოფისაგან თესლის მიღების ხერხს. ორივე შემთხვევაში ძირითადი მუშაობა ითვალისწინებს რბილეულის მოცილებას თესლისაგან. გადამუშავების შედეგად ვიღებთ თესლისა და გარსის ფრაქციას. განსხვავებას იქნება დღიული პროცესის დასრულებისას. საკონსერვო საქმეში მასალა წინასწარ მზადდება ორთქლით. აქ სავსებით იკარგება ნაყოფის კომპაქტობა და ამით ადვილდება დრესვის პრინციპის გამოყენება. აქ ეს ხერხი დასაშვებია, რადგან ნაყოფის თესლი წარმოების ანარჩენია. სულ სხვანაირია ტუნგოს ნაყოფის გადამუშავების პირობები. აქ პროდუქტია მხოლოდ თესლია, ნაყოფის დანარჩენი ნაწილები კი მინაყოლი.

დრესვის პრინციპით მომუშავე მანქანებში ცენტრიდანული ძალა დაქუცმაცებულ მასალას ცხავის ნაჩერეტებილან გარეთ ერგვება. ეს ხერხი მისალებია ტომატისა და ვაშლის მიმართ. ტუნგოს ნაყოფის ამგვარი ხერხით წინასწარი მომზადება დაუშვებელია, რადგან ეს გამოიწვევს თესლის დაზიანებას. აქ ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს განსხვავებული ფიზიკური თვისებების გარემოცვაში. ჩვენ წინაშე დაისვა საკითხი ახლო შეგვესწავლა საკონსერვო საქმეში გამოყენებული სადრესი მანქანები და ამის საფუძველზე შეგვემუშავებია სპეციალური მანქანა ტუნგოს ნაყოფის გადასამუშავებლად.

ამგვარად, დრესვის პრინციპი დავსახეთ, ხოლო მისი სრული რეალიზაციისათვის ძირითადი იყო ტუნგოს ნაყოფის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა, რომლის მიხედვით გაადეილდებოდა სამუშაო ორგანოების სათანადო შერჩევა.

ჩვენს ხელთ არის პროფ. ვ. მ. ვორონცოვის შრომა „ტუნგოს ტექნოლოგიის რაციონალური მეთოდის გამომუშავება“. მასში ნათქვამია: „ამგვარად, ნაყოფის ბუნება და აღების შემდეგ მისი დამზადება თავისთავად ბადებს აჩრს იმის შესახებ, რომ ზალასტის უმე-

ტესი ნაწილი რჩებოდეს თვით პლანტაციაში. მაგრამ აქ ძირითადად უცნობია ამ პროცესის მიმდინარეობის ოპტიმალური პირობები და მასთან დაკავშირებული, ის ხარისხობრივი და ოდენობრივი ცვლილებანი, რომლებიც შეიძლება წარმოებდეს თესლის გულში ამ პროცესის დროს". დასასრულ ასკვნის, რომ ტუნგოს ნაყოფის გაწმენდა ქრქისგან შესაძლებელია 6—10 დღის განმავლობაში გარემოს ტემპერატურის მიხედვით. ეს ისეთი მომენტია, როცა მიმდინარე ბიოლოგიური პროცესის მიხედვით ტუნგოს თესლის გამოყილება გაადვილებულია.



ზემოთქმულის შეჯამებით დავსახოთ დრესევის პრინციპი ტუნგოს ნაყოფის გადასამუშავებლად. მასალის ოპტიმალური მდგომარეობა ვივარაუდოთ ტუნგოს ნაყოფის ჩამოცვენიდან 6—10 დღის შემდეგ. ასეთია დაახლოებითი ხერხი და პირობები ტუნგოს ნაყოფის გამწმენდი მანქანის შესაქმნელად.

მანქანის აღწერა. მანქანა შედგება ჩარჩოსაგან; მასზე მორგებულია ცხავი, რომელსაც წინა ნაწილში აქვს 13×25 მმ სწორკუთხი ნაჩრეტები, ხოლო უკანა ნაწილში — 11×25 მმ. ცხავი დოლისებრ მომრგვალებულია. ზემოდან ახვრავს ნახევარცილინდრისებრი გარსაცმი. დოლის შიგნით ცენტრში გამართულია ლილები, რომელიც დაყრდნობილია ორ ბურთულა საკისურზე. ეს უკანასკნელი მიმაგრებულია ჩარჩოზე. ჩარჩოს წინა მხარეზე გამართულია ხვიმირი ტუნგოს ნაყოფის დასატვირთად, ხოლო უკანა მხარეზე — ფანჯარა თესლის ფრაქციის ჩამოსასვლელად. ხვიმირის ძირიდან მასალის გადატანა ხდება უსასრულო ხრაბნით და შოლტებით.

მანქანის ტექნიკური მონაცემებია: 1. გაბარიტი აკრეფილ მდგომარეობაში, რომლის სიგრძეა — 2200 მმ, სიგანე — 600 მმ, სიმაღლე — 2600 მმ; 2. ხელით ამძრავი მქნევარი, რომლის დიამეტრი 770 მმ-ია, 3. ბრუნვათა რიცხვი — 40—50 წუთში; 4. მწარმოებ-

ლობა ნაყოფისა 360 კგ საათში, თესლისა—100 კგ საათში; 5. საჭურო სიმძლავრე—ერთი მეტა; 7. მანქანის საერთო წონა — 1,45 ტონა

პლანტაციიდან აღებული ტუნგოს ნაყოფი ჩაიყრება მანქანებზე ხელის წინა ნაწილში, სადაც მასა ხედება მანქანის ლილვზე გამართულ მბრუნვაზე შოლტებს, უკანასკნელთა ბრუნვით შექმნილი ცენტრიდან ლი ძალა გატყორცნის დაქუცმაცებულ მასალას ცხავისებრი ცილინდრისაკენ, რომელიც შედგება ორი ნახევრისაგან. რადგან შეკრება ლაფოთებსა და ცხავს შორის არსებული ნაჩერეტი, ძლიერია ცხავზე დაწოლა და ადვილდება ტუნგოს რბილეულის გასვლა ცხავში. თესლი, როგორც ნაყოფის მაგარი ნაწილი, არ გადის ცხავში და ხრანულად განრიგებული ლაფოთებით ჩამოდის სათესლე ფრაქციაში. ცხავში გასული მოელი მასა ძაბრის ფანჯრით თავს იყრის გარსის ფრაქციაში.

მანქანის სამუშაო ნაწილებია: 1. ამძრავი მექანიზმი, რომელიც შედგება მქნევარისაგან. უკანასკნელის ღერძზე ჩამოცმულია დიდი კბილანა და იგი შეკიდულია მთავარი ლილვის კბილანასთან; 2. უსასრულო ხრანისა და შოლტების მექანიზმი. უსასრულო ხრანი მკიდრად ემაგრება ლილვს. შოლტების მექანიზმი შედგება ოთხი ფრთისაგან. უკანასკნელი მოძრავად ემაგრება მანქანის პორიზონტალურ ლილვს; 3. სამუშაო ცილინდრი შედგება ორი ნახევარი ცილინდრისაგან. ცხავი და გარსაცმი ჩარჩოს საკეტებით მიმაგრებულია მარჯვნივ და მარცხნივ.

მანქანა გაიმართება სწორ ადგილზე და შემოწმდება თარაზოთი. შემდეგ გაიმართება საშუქი ლაფოთებსა და ცხავს შორის. სადრესი მანქანის წესიერად მუშაობისათვის საჭიროა, რომ მას ჰქონდეს ზუსტად განსაზღვრული ბრუნვათა რიცხვი; ლაფოთები სათანადოდ უნდა დაშორდეს ცხავს. ბრუნვათა რიცხვი სხვადასხვა პროდუქტისათვის, გასწრება და ლილვის დაშორება ცხავებისაგან აღნიშნულია 1-ელ ტაბულაში.

ტუნგოს ნაყოფის სადრესად შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ნაჩერეტებიანი ცხავი. ცხავის ნაჩერეტების მოცულობა დამოკიდებულია სადრესი მასის სახეობის სასურველ ხარისხზე. ჩვენი ექსპერიმენტებით შემოწმებულია ცხავების მრავალი სახეობა, მაგ., მრგვალნაჩერეტიანი 14 მმ, მოწნული 16×16 მმ, ცხავი გრძივწკლებიანი 16 მმ-იანი, ცხავი სწორკუთხოვანი ჭრილით. მათ შორის ხარისხობრივი მაჩვენებლებით პირველი ადგილი დაიკავა სწორკუთხოვრილიანმა ცხავმა 13×25 მმ და 11×25 მმ ნაჩერეტებით.

საჭიროა მინიმუმისგან იქნას დაყვანილი ნაყოფის გარსის ფრაქტული ცალში თესლის მინაყოლის პროცენტი და თესლის ფრაქტული ცალში ნაყოფის მინაყოლის პროცენტი. მინაყოლის თანამონაწილენი არიან ნაყოფები, დამტვრებული თესლი, პერანგიანი თესლი და ცალკეული პერანგი.

ტაბულა 1

პროდუქტების დასახელება

	ნეტო მდგრად განაკვეთი	გრანული განაკვეთი	სურების განაკვეთი	მინი მდგრად განაკვეთი
ცივი ტომატი	710	19	4,77	
ცხელი ტომატი	600	15	4,77	
გ ი გ რ ა	550	19	6,35	
ვ ა შ ლ ი	450	19	6,35	
ტუნგოს ნაყოფი	40	—	11—	

საღრეასი მანქანის ხარისხოვნად მუშაობისათვის აუცილებელია, რათა მოწესრიგებული იყოს შორისეთი ლაფონთსა და ცხავს შორის, ლილვის ბრუნვათა რიცხვი, ცხავის ნაჩვრეტების დიამეტრი და გასწრების კუთხე. ჩვენ დაკვირვებათა მიხედვით შორისეთი თაობებსა და ცხავს შორის იყო 28 მმ.

საკითხის გასაშუქებლად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მასალები ტუნგოს თესლის გაზომვათა შესახებ.

ტაბულა 2

თ ი ს ლ ი ს ს ი ს პ ა ნ ი			თ ი ს ლ ი ს ს ი ს პ ა ნ ი			
	კლასი	რაოდენობა	%	კლასი	რაოდენობა	%
1	16	5	2,3	18	1	0,5
2	18	47	22,0	20	10	4,7
3	20	56	26,0	22	35	16,3
4	22	68	31,8	24	72	33,6
5	24	29	13,6	26	71	33,2
6	26	9	4,2	30	28	10,9
$M=20,9$ მმ; $m=\pm 0,1$; $C=6,7$;			$M=24,6$ მმ; $m=\pm 0,1$ $C=6,1$.			

ტუნგოს ნაყოფის გადამუშავების ოპტიმალურ პირობებში ჩვენ მიერ მიღებული საშუქი ლაფონთსა და ცხავს შორის უდრის 28 მმ-ს. როგორც მე-2 ტაბულიდან ჩანს ტუნგოს თესლის საშუალო სისქე 24,6 მმ-ია, ხოლო უდიდესი 28 მმ აღწევს $10,9\%$ -მდე; სიგანე საშუალოდ 20,9 მმ-ია, უდიდესი, 26 მმ, $4,2\%$ -ს აღწევს.

ამგვარად, ექსპერიმენტით მიღებული საშუქი ლაფოთებსა და ცხავს შორის თავის ფარგლებში იტევს მაქსიმალური რაოდენობის უზრუნველყოფისა და თესლს. ასეთ პირობებში უთუოდ არის მოსალოდნელი თესლის მტკრევა, რაც ძირითად წუნა წარმოადგენს ტუნგოს ნაყოფის დამუშავების საქმეში.

ლაფოთებსა და ცხავს შორის საშუქის რეგულაციას ცალკე შემთხვევებში ვაღწევდით თათების ბოლოების გადაღუნვით. ცხადია, ასეთი ხერხი მხოლოდ სახელდახელოა, ისიც მანქანის სამუშაო მოდელის პირველი ვარიანტისათვის. დაყენების სიზუსტე ამ შემთხვევაში მეტად დაბალი იყო და ამის გამო თვით პრიცესუაც მდარე ხარისხის გამოდიოდა. ზოგჯერ ვცდილობდით ზემოდასახული რეგულაცია მიგველო ცხავის მიახლოებით ლაფოთებთან. მანქანის მეორე ვარიანტში საკითხი მოგვარებულია შემდეგნაირად: სამუშაო ლილვზე უძრავად მაგრდება ორ-ორი თათი თითოეულ გვერდზე. ცალკე ლარტყაზე აქტეფილია მავთულის თათები, ლარტყაზედვე მაგრდება რგოლი საჩერებელი ჭანჭიყით. ლაფოთი ლილვის თითოეული მხრიდან საჩერებელი რგოლით ჩამოეცმება თათებზე და მაგრდება საჩერებელი ჭანჭიყით. აგებულება სრულ შესაძლებლობას გვაძლევს ნებისმიერად ვაწარმოოთ ლაფოთის რეგულაცია დასამუშავებელი მასალის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებათა მიხედვით.

ამგვარად, უკანასკნელი ვარიანტით მიღებული ხერხი სავსებით უზრუნველყოფს რეგულაციას ლაფოთსა და ცხავს შორის. ლაფოთის ბრუნვით წარმოშობილი ცენტრიდანული ძალა და თათების დაწოლა ხელს უწყობს ცხავის ნაჩერეტებში გაატარონ ტუნგოს ნაყოფის გარსი. სადრესი მანქანების აგებისას გათვალისწინებულია მანქანში გატარების წინ მასალის დაქუცმაცება. აი, სწორედ ამ პირობათა დაცვაზე არის დამოკიდებული ტუნგოს ნაყოფის გარსის წარმატებით გატარება ცხავის ნაჩერეტებში.

თუ რამდენად არის დამოკიდებული ცხავის ნაჩერეტის ფორმა, ზომა და განრიგება დასამუშავებელი მასალის სიავ-კარგეზე, ამას მოწმობს 1-ლი ტაბულა. მოყვანილი ტაბულიდან ჩანს, რომ ტომატის, გოგრისა და ვაშლის წარმატებითი დრესვისათვის საკმარისი ყოფილა ცხავის მრგვალი ფორმის ნაჩერეტი 1,5 მმ დიამეტრით. ყოველივე ეს ითვალისწინებს თხევადი ხორცული ფრაქციის მიღებას გასატარებელი მასალისაგან.

სულ სხვა პირობებია ტუნგოს ნაყოფის გადასამუშავებლად. მანქანის პირველ ვარიანტში ჩეკი მიერ აღებული იყო მრგვალ-ნაჩერეტებიანი ცხავი 18 მმ დიამეტრით. იგი მეტად მცირე რაოდენობით

ატარებდა ცხავში ტუნგოს ნაყოფის გარსს. უმეტეს ნაწილში მარტინი ლაფოთების ბრუნვით ტუნგოს ნაყოფი იყოფოდა ცალკეულ ზედაპირუ ბად და ამავე სახით კვებოდა თესლის ფრაქციაში.

რაღაც პირველი ცხავის ზედაპირი გლუვი იყო, ამისათვის გადავწყვიტეთ იმავე ცხავისათვის მიგვეცა ამონბურცული ზედაპირი ნაჩრეტების წრეხაზე. ჩატარებულმა ცდამ გვაჩვენა, რომ მართალია ტუნგოს ნაყოფს ქერქი ეცლებოდა, მაგრამ გამოყოფილმა მასამ შეანელა ცხავში გადაადგილება, ამოიგხო ნაჩრეტების შორის არსებული ბურცობები და საბოლოოდ ცხავში ქერქის გასვლა კიდევ უფრო შემცირდა.

ჩვენ წინაშე დაისვა საკითხი, რომ ცხავში ტუნგოს ნაყოფის გარსის გატარების რაოდენობით ზრდასთან დაკავშირებით, საჭიროა ანგარიში გაეწიოს ცხავის სამუშაო ზედაპირის გამოყენებითი კოფიციენტის გადიდებას. ამ მოსაზრებით დამზადდა მავიულისაგან მოწნული ცხავი კვადრატული ნაჩრეტებით— 20×20 მმ. ამ შემთხვევაში მეტად გაიზარდა ცხავში გატარებული მასა, მაგრამ გარსის ფრაქციაში საგრძნობი პროცენტი დათმობილი ჰქონდა თესლის მინაყოლს. მასის გაადგილება ცხავის ზედაპირზე მუხრუჭებოდა და რაც მთავარია ნაჩრეტის კვადრატული ფორმა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა თესლის გადასვლას გარსის ფრაქციაში. ამის გამო აღნიშნული ვარიანტი შემდეგი ცდებიდანაც იქნა ამოლებული.

ლაფოთებით ამონბრავებული ტუნგოს ნაყოფის მასა მონაწილეობს ბრუნვითს ძრაობაში და ლაფოთები თან წარიტანს ცხავის წრეხაზე ნაყოფს, ნამდვილად კი იგი უნდა გადაადგილდეს ცხავის სიგრძით და ნაჩრეტებში გაუსვლელი მასა, ტუნგოს თესლის სახით, ჩამოვიდეს ცხავის ბოლოზე. ამისათვის შევიმუშავეთ სწორკუთხედის ფორმის ნაჩრეტები მიმართული ლილვის პერპენდიკულარულ სიბრტყეში. ცდამ მოლოდინი საგრძნობლად გაამართლა. ტუნგოს ნაყოფის გარსის საქმაო რაოდენობა გავიდა ცხავში მხოლოდ მასის დინების მიმართულებით. ნაჩრეტის უკანა ნაპირზე მოდებული იყო ნაყოფის გარსი, რის გამოც ადგილი ჰქონდა ნაჩრეტის ამოვებას. აუცილებელი შეიქმნა ამ დეფექტის გამოსწორება. ნაჩრეტების ფორმა იგივე დაეტოვეთ, მხოლოდ სწორკუთხოვანი ნაჩრეტი მიემართეთ ლილვისაკენ კუთხით. ცდამ უკეთესი შედეგი მოგვცა. სავსებით გამართლდა წინა მოსაზრებანი. ამის მიხედვით გაუმჯობესდა ცალკე ფრაქციები.

ამგვარად, დადგენილ იქნა, რომ ტუნგოს ნაყოფის დასამუშავებლად მისაღებია მხოლოდ სწორკუთხოვანი ნაჩრეტების მქონე ცხავი ლილვისაკენ მიმართული კუთხით,



არ კმარა ნაჩერეტის ფორმა, აუცილებელია გარკვეული და უძველესი ნაჩერეტის განი. უკანასკნელი იმგვარად უნდა დაზუსტდეს, რომ: დაზუსტდეს მუშავების შედეგად მინიმუმამდე იქნას დაყანილი ტუნგოს თესლის მინაყოლი გარსის ფრაქტიაში. საველე ლაბორატორიაში ჩატარებული მრავალი დაკვირვების შედეგად ჩაქვის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში და, დასასრულ, ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის მე-4 რაიონში, დაღასტურდა, რომ უმჯობესია ნაჩერეტების ორი თანმიმდევრული სექტია. ასეთია ცხავის წინა ნაწილში 13 მმ, უკანაში — 11 მმ. ნაჩერეტის სიგანის ასეთ თანმიმდევრობას გათვალისწინებული აქვს დასამუშავებელი შასალის ფიზიკური მდგომარეობა. ხეიმირიდან ჩამოსული ტუნგოს ნაყოფის ცალკეული ნაწილები დიდი ზომის არიან, ხოლო ცხავის სიგრძივ გადაადგილების შედეგად გარსი ეცლება და ამიტომ მის შესაბამისად დასაშვებია ცხავის ნაჩერეტების შემცირება. მართალია, დრესვის პრინციპზე მომუშავე მანქანებისათვის მნიშვნელოვანია ლაფოთებსა და ცხავს შორის არსებული შორისეთის რეგულაცია, ცხავის ნაჩერეტის ფორმა, განზომილებანი და მიმართულება, მაგრამ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად პროდუქციის მაღალი ხარისხი აუცილებელს ხდის ტუნგოს ნაყოფის მექანიკური დამუშავებისათვის შერჩეულ იქნას მანქანის სამუშაო ლილვის ბრუნვათა რიცხვი.

მე-2 ტაბულიდან ნათლად ჩანს, რომ გარკვეული რაოდენობრივი დამოკიდებულება არსებობს საღრესი მანქანებისათვის ლილვის ბრუნვათა რიცხვს, ლაფოთებსა, ცხავის შორისეთსა და ცხავის ნაჩერეტების დიამეტრს შორის. ცნობილია, აგრეთვე, რომ ლილვის ბრუნვათა რიცხვის მომატებით მივიღებთ მინაყოლის ზრდას, ნაყოფიერების ზრდას და სიმძლავრის შემცირებას პროდუქციის ერთეულზე.

როგორც საველე-ლაბორატორიულ, ისე სამეურნეო პირობებში მუშაობის დროს დასაშვებად მიგვაჩნია მანქანის ლილვის ბრუნვათა რიცხვი იყოს 150—180. ცხადია, ბრუნვათა რიცხვი — 150, საესებით შეთანხმებულია ლაფოთის ცხავშორისეთის 28 მმ და სწორკუთხოვანი ნაჩერეტის ფორმასთან სიგრძით 25 მმ×13 მმ, 25×11 მმ.

მანქანის გამოცდის შედეგები სამეურნეო პირობებში

მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. თესლის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღება საესებით დამოკიდებულია ტექნოლოგიური პროცესის წესიერ შედგენასა და მის წარმართვაზე.



აქ აუცილებელია სრულ წესრიგში იყოს სადრესი მანქანის, აუცილებელია სარეგულაციო ორგანო და შერჩეულ იქნას ტუნგოს ნაყოფები ნადო ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით.

აი ამ მოთხოვნათა მიხედვით ვაწარმოეთ ნაყოფის გამცელელი მანქანის მუშაობის შემოწმება. ჩაქვის თემის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მავთულოვანი ცხავის (კვალრატული ნაჩვრეტებით) მქონე მანქანის გამოცდამ მოგვცა ასეთი შედეგები: თესლის ფრაქცია უდრის $28\%_0$ -ს, სუფთა თესლი — $46,4\%_0$ -ს, დაზიანებული თესლი — $1,9\%_0$ -ს, გარსი — $52,9\%_0$ -ს. გარსის ფრაქცია უდრის $71,8\%_0$ -ს, გარსი — $95,8\%_0$ -ს, სუფთა თესლი — $3,0\%_0$ -ს.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ნამუშევრის ხარისხი მიუღებელია, მაგრამ ბევრად სჯობს წინათ ჩატარებული ცდების შედეგებს, სადაც გამოყენებული იყო მრგვალნაჩრეტებიანი ცხავი.

მანქანის პირველი ვარიანტისათვის კალინინის კოლმეურნეობა-შივე დამზადდა ცხავი სწორკუთხოვანი ჭრილით — 17 მმ-ის სიგრძით და 12—20 მმ სიგანით. სიგანის ასეთი რყევადობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ცხავი დამზადდა პრიმიტიულად. მიუხედავად ამისა, განახლებულმა ცხავმა საგრძნობლად უკეთესი შედეგი მოგვია:

თესლის ფრაქცია:

	168 ბრუნვაზე	201 ბრუნვაზე
სუფთა თესლი	25,9%	35,18%
თესლის პერანგი	5,9 "	—
დაზიან. თესლი	—	4,32 "
თესლი პერანგით	45,9 "	36,0 "
გარსი	22,3 "	21,0 "

გარსის ფრაქცია:

გარსი	57,3%	91,4%
სუფთა თესლი	2,1 "	1,5 "

ჩატარებული ცდის მონაცემებიდან აშკარავდება, რომ ლილვის ბრუნვის რიცხვის მომატებით იზრდება სუფთა თესლის რაოდენობა. მაგალითად, როცა $n=168$, მაშინ სუფთა თესლი $25,9\%_0$ -ია, ხოლო როცა $n=201$, სუფთა თესლის რაოდენობა $9,28\%_0$ -ით იზრდება, თესლი პერანგითურთ კი, პირიქით, $9,9\%_0$ -ით მცირდება. გარსის ფრაქციაში ლილვის ბრუნვის მომატებით გარსის რაოდენობა $5,9\%_0$ -ით შემცირდა.



ანალოგიურ კანონზომიერებას ვხედავთ ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობაში ჩატარებული დაცვირვებით.

პირზოგით

თესლის ფრაქცია:

132 ბრუნვაშე	196 ბრუნვაშე
--------------	--------------

სუფთა თესლი	63,32%	73,5%
თესლი პერანგით	3,90 "	1,7 "
პერანგი	11,00 "	24,5 "
დაზიან. თესლი	2,50 "	—
გარსი	15,30 "	—

გარსის ფრაქცია:

გარსი	91,5%	86,5%
სუფთა თესლი	6,7 "	—
პერანგი	7,8 "	14,5 "

მონაცემებიდან ჩანს, რომ ბრუნვის ზრდასთან ერთად $10,8\%$ -ით გაიზარდა სუფთა თესლი, $13,5\%$ -ით გაიზარდა ბრუნვათა ნამატით თესლის პერანგი. გარსის ფრაქციაში კი, ბრუნვათა ნამატით პერანგი $6,7\%$ -ით გაიზარდა.

ჩაქვის თემსაბჭოს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და საქართველოს კვების მრეწველობის კომისარიატის მიერ გამოყოფილ კომისიათა შემოწმების მიხედვით მიღებულია თესლის ფრაქციაში: სუფთა თესლი $28,24\%$, დაზიანებული თესლი — $0,4\%$, თესლი პერანგით — $52,50\%$, გარსი — $12,80\%$, ლებანი — $6,32\%$. გარსის ფრაქციაში: გარსი — $97,71\%$, სუფთა თესლი — $1,35\%$.

მონაცემებიდან ჩანს, რომ უდიდესი პროცენტი თესლის ფრაქციაში უკავია პერანგიან თესლს ($52,50\%$), ხოლო მინიმუმამდე უნდა დაცვიყვანოთ გარსის ფრაქციაში თესლის მინაყოლი.

ჩაქვის თემის კალინინის სახელობის კოლმეურნეობიდან მანქანა გადავიტანეთ ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში. დაკვირვებათა შედეგად მიღებულია თესლის ფრაქციაში: სუფთა თესლი — 80% , თესლი პერანგით — $1,8\%$, პერანგი — $12,7\%$, გარსი — $5,9\%$. გარსის ფრაქციაში: გარსი — 70% , სუფთა თესლი — $16,9\%$, პერანგი — $11,3\%$, დაზიანებული — თესლი $1,1\%$.

მონაცემების მიხედვით სუფთა თესლი 80% -ია. კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში კი, ამავე მანქანით მხოლოდ $28-29\%$ -ია.

თესლი პერანგითურთ დაყვანილია 12,7%-მდე. აქ ცალკეულად გზებული ბით თესლის პერანგს 12,7%-ის რაოდენობით.

ამგვარად, აღმობული მასალის მიხედვით თესლის რაოდენობა გადანაწილდა. გაიზარდა სუფთა თესლის პროცენტი პერანგიანი თესლის ხარჯზე. გარსის ფრაქციის ხარისხი მიუღებელია. გარსის პროცენტი შემცირდა 27,71%-ით და მის ხარჯზე 15,35%,-ით გაიზარდა თესლის პროცენტი მინაყოლში.

ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში გამოვცადეთ ტუნგოს ნაყოფის გარსის გამცლელი მანქანის მეორე ვარიანტი. გამოცდის შედეგად მიღებულია თესლის ფრაქციაში 5,3%, სუფთა თესლი—77%, პერანგი—11,20%, თესლი პერანგითურთ—11,35, დაზიანებული თესლი — 0,45%. გარსის ფრაქციაში — 57%, გარსი-პერანგი—100%.

უკანასკნელი ცდით გარსის ფრაქციაში საბოლოოდ აღკვეთილია თესლის მინაყოლი ისე, როგორც თესლის ფრაქციაში გარსის მინაყოლი. ტუნგოს ნაყოფის გარსის გამცლელი მანქანის გამოცდის შედეგად მიღებული ციფრების მიხედვით ნაადრევია დადგენა მტკიცეკანონზომიერებისა და მაჩვენებლების, რომელთა საფუძველზედაც შეიძლებოდეს გარკეცული ტექნოლოგიური პროცესის შემუშავება. მიუხედავად ამისა, დაგროვილი მასალა საშუალებას გვაძლევს დავსახოთ გზები საკითხის შემდგომი ძიებისათვის.

დასასრულ, მიზანშეწონილად ჭიდვაჩნია მოვიყვანოთ შედარებითი ტაბულა.

ტაბულა 3

ფრაქციებისა და მისი ცდებულებები. დასახელება	ც დ ი ს ვ ა რ ი ა 5 ტ ე ბ ი							
	1	2	3	4	5	6	7	8
თესლის ფრაქცია								
1 სუფთა თესლი . . .	25,9	28,24	35,3	45,8	63,3	73,5	77,0	80,0
2 პერანგი	—	—	—	5,9	11,0	11,2	12,7	24,8
3 დაზიანებული თესლი	—	—	—	0,04	0,45	1,5	2,5	43,0
4 თესლი პერანგითურთ	1,7	1,7	1,8	3,90	11,35	38,4	45,9	52,50
5 გარსი	—	—	12,80	12,80	19,80	21,50	22,3	52,2
6 გარენაყოფი	—	—	—	—	—	—	—	6,32
გარსის ფრაქცია								
1 გარსი	63,0	70,0	86,5	91,5	97,3	97,71	58,4	100
2 სუფთა თესლი . . .	—	—	0,7	1,35	1,50	2,10	3,6	16,90
3 პერანგი	—	—	—	—	—	7,8	11,3	14,50
4 დაზიანებული თესლი	—	—	—	—	—	—	—	1,1

როგორც ტაბულიდან ჩანს, ჩატარებულში მუშაობამ ის შედეგი გამოიღო, რომ თესლის ფრაქციაში თესლის რაოდენობა 25,4%, დანართული ავიდა 80%-მდე, პერანგის რაოდენობა 24,8%-დან დავიდა 5,3%-მდე, პერანგიანი თესლის რაოდენობა 52,50%-დან დავიდა 1,7%-მდე, გარსი 52,0%-დან — 12,8%-მდე. გარსის ფრაქციაში 63% ავიდა 100%-მდე. გარსი სრულიად გაქრა. პერანგი სრულიად ამოლებულია. ასევე ამოლებულია დამტკრეული თესლი.

მანქანის მწარმოებლობა. ტუნგოს მანქანის პირველი ვარიანტი დამზადდა ლ. პ. ბერიას სახელობის საქ. სას.-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებულ მექანიზაციის საცდელ სადგურში 1940 წ. ნოემბერს. მანქანის ლაბორატორიული გამოცდა წარმოებდა ჩაქვის კალინინის სახელ. კოლმეურნეობაში 1940 წ. ნოემბერ-დეკემბერში.

ლაბორატორიულ სამუშაოთა დასრულებისას საქართველოს მიწათმოქმედებისა და საქ. კვებმრეწველობის კომისარიატების მიერ გამოყოფილმა კომისიამ ტუნგოს მანქანას მისცა შემდეგი შეფასება: „კომისია სთვლის მანქანის მუშაობის პრინციპს ორიგინალურად და იგი მარტივია კონსტრუქციული გაფორმებით“.

კომისიამ მიუთითა რომ პირველ ვარიანტში შეტანილი ყოფილიყო კონსტრუქციული ცვლილებები: 1. დოლის ლაფონთები დამზადებულიყო ფოლადის მავთულისაგან, 2. დამზადებულიყო მკვიდრი და სარეგულაციო დეკა, 3. ხეიმირს მიმატებოდა მკვებავი მექანიზმი, 4. შემსუბუქებულიყო მანქანის წონა. დამზადებულიყო საქართველოს ნიმუში აღნიშვნული დეველტების გამოსწორებით.

1941 წლის 14 იანვარს გამოიცადა მანქანის მეორე ვარიანტი ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში. მანქანის მუშაობას ეწეოდა კონსტროლი. ცალკე ფრაქციების მიხედვით განსაზღვრულია ელემენტების პროცენტული შემადგენლობა.

ქრონომეტრაჟი ჩატარდა მეურნეობის მეოთხე რაიონში. ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობაში მოსავლის აღება დაიწყო 1940 წლის ნოემბრიდან. ტუნგოს ნაყოფი გროვდებოდა ცალკე კალოებად დღიდან მოსავლის აღების დაწყებისა. ასეთი ნარევის გადამუშავება მოუხდა ტუნგოს მანქანას. საჭარმოო უბნის ბრიგადაში ჩატარებული მუშაობის შედეგები მოცემულია მე-4 ტაბულაში.

ქრონომეტრული მასალის დამუშავების შედეგად მოელი სამუშაო პერიოდისათვის მიღებულია შემდეგი სახის გაცდენები: 1. ტექ-მოცლაზე 2,5%, 2. მანქანის მიხეზით გაცდენილია 10.8%, 3. მანქანის გადატანით კალოდან კალოზე — 4%, 4. უამინდობის გამო 5%, სულ 22,4%, გამოვე პერიოდში უამინდობის გამო გაცდენილია სამუშაო

შაო დღეების 16%. ასეთ პირობებში მანქანის გამოყენების კოეფი-
ციენტი მეტად დაბალია.



	მუშაობა შე- სრულებულია 1941 წ.	შმინდა თეს- ლი კბ-ობით	ნაყოფი კბ-ობით	ცვლის ხანგრძლი- ობა სათვისტის მიხედვით
1	4 იანვარი	320	990	4
2	5	750	2170	8
3	6	540	1480	8
4	9	400	1950	8
5	12	600	1400	8
6	16	360	910	4
7	17	600	1400	8
8	18	750	2100	8
9	22	660	2400	2
10	23	660	2200	8
11	28	802	2200	8

მანქანის მიზნით 10,8% გაცდენა გამოწვეული იყო მით, რომ ცხავის ნაჩერეტებში ყვებოდა ტუნგოს თესლი. დანაკარგების აღსა-კვეთად საჭირო გახდა თესლის ხელით გამორჩევა გარსის ფრაქცი-იდან. დაშტამპული ცხავის დამზადებით, საღაც დაზუსტებულია ნა-ჩერეტების ფორმა და მისი გაადგილება ფართობზე, სრულიად აღი-კვეთა გაცდენები და თავიდან არის აცილებული თესლის დაკარგვა.

უამინდობით და მანქანის კალოდან კალოზე გადატანით მიღე-
ბულ გაცდენათა შემცირების მიზნით აუცილებელია უბნებში მოეწ-
ყოს სპეციალური ფარდულები. ასეთი ლონისძიება უზრუნველყოფს ტუნგოს მანქანის განუწყვეტელ მუშაობას ცვლაში და თესლის პირ-
ველადს შენახვას.

ჩატარებულ ექსპერიმენტთა მონაცემების მიხედვით საესებით გამართლებულია ტუნგოს ნაყოფისაგან ბალასტის გაცლა დრესევის პრინციპზე. მაგრამ დადებით თვისებებთან ერთად მას თან სდევს ნაკლიკ: ა) მომეტებული ტენიანობის პირობებში ცხავის ნაჩერეტები იქნედება და საჭირო ხდება მისი ხშირი გაწმენდა; ბ) დრესევის პრინ-
ციპი მიუღებელი შეიქმნა ტუნგოს კორდატას სახეობის ნაყოფის გადასამუშავებლად. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩინია მომავალ ცდებში შემოწმებულ იქნას გამოჩიჩენის პრინციპის გამო-
ყენება ტუნგოს ნაყოფის გასაწმენდად ბალასტისაგან.

ბარდის დაკონსერვება მიღებულია თესლის სახით, საღაც და-
მუშავების პირველი საფეხურია გამოჩიჩენა. გამოჩიჩენის პრინციპზე მომუშავე მანქანა წარმოადგენს პორიზონტალურად გამართულ ცხა-
ვისებრ დოლს. იგი ჩასმულია გარსამოსში და აქვს ნელი ბრუნვა თავისი ლერძის გარშემო. დოლის პირისპირ უფრო მეტი სიჩქარით


ბრუნავს ლილვი ლაფოთებით, რომლის მოქმედებით პარკისგან გამო-
ეცლება თესლი და ცვივა ცხავის ნაჩერეტებში, ხოლო ჩენჩელებში
ცხავის ბოლოდან. ეს პრინციპი სავსებით გამართლდება ტუნგოს ნა-
ყოფის ჩამოცვენიდან მე-6—10 დღეს, რომა ნაყოფი ოდნავ დაცერით
ადვილად იშლება თანანაყოფებად და თესლიც ადვილად ეცლება.

საკითხის გადასაჭრელად საჭიროა დამზადდეს ექსპერიმენტა-
ლური მანქანის ნიმუში და ტუნგოს ნაყოფის ფიზიკურ-მექანიკურ
თვისებათა მოთხოვნის მიხედვით დადგენილ იქნას ლილვის ბრუნ-
ვათა რიცხვი, ლაფოთების გასწრება და შორისეთი ცხავსა და ლა-
ფოთს შორის.

გამოცდების შედეგების მიხედვით გაირკვეს კორდატას სახეო-
ბის ტუნგოს ნაყოფის დამუშავების შესაძლებლობა და დრესვის პრინ-
ციპთან შედარებითი მაჩვენებლების დადგენა.

К. Б. ЛЕЖАВА.
стар. научн. сотр.

МЕХАНИЗАЦИЯ ОЧИСТКИ ТУНГОВЫХ ПЛОДОВЫХ ОТ БАЛЛАСТА

р е з у м э

Назначение машины — очистка тунговых плодов от балласта, с использованием принципа притирки.

Предназначенные для притирки тунговые плоды поступают в приемный бункер, изготовленный из листового железа. Из приемного бункера продукт проталкивается шнеком в первую полость машины, предварительно дробится и передвигается вдоль сетки. Материал встречается с быстро врачающимися проволочными билами укрепленными на общей планке стопорным винтом. Развиваемая быстро врачающимися билами центробежная сила отбрасывает дробленый продукт к периферии на сетчатый цилиндр, состоящий из 2-х половинок. Вследствие малого зазора между лопастями и сеткой и большой силы давления о сетку продукта, из последнего отщепляется окоплодник и проваливается в нижний кожух. Семена тунговых плодов, не прошедшие через сито, проталкиваются лопастями и сходят в конце сита.

Протирочная машина ручная. К рабочим органам машины относятся: а) механизм привода, б) барабан, состоящий из 2-х полуцилиндров, укрепленных в 2-х рамках. Рамы врачаются на шарнире, закрепляющимся замками с правой стороны. Габарит: длина — 2200 мм, ширина — 600 мм, высота — 2600 мм.

Инициатива постановки вопроса механизации очистки тунговых плодов от балласта принадлежит бывш. завка-федрой чая и субтропических культур ГрузСХИ, имени Л. П. Берия, покойному доц. Г. З. Хуцишвили.

Экспериментальные работы, проведенные в конце 1940 г. и в начале 1941 года, дают нам возможность вывести следующие выводы:

1. Очистку тунговых плодов фордии от балласта по принципу протирки считать приемлемой.

2. В целях получения продукции с высококачественными показателями в основу расчета отдельных частей машины принять отверстия сит прямоугольные, размеры отверстий — в передней части сетки — 13×25 мм, в задней — 11×25 мм; отверстия сит направить под углом к рабочему валу; число оборотов рабочего вала — 150—180 в минуту; просвет между лопастями и сеткой — 28 мм.

3. Полученный материал считать как первое приближение в части изучения технологического процесса очистки тунговых плодов от балласта.

4. Для окончательного разрешения вопроса механизированной очистки от балласта тунговых плодов фордии и кордата, считать необходимыми к предстоящему сезону изготовить экспериментальный образец машины, работающей по принципу протирки и лущения.

დოც. გ. ი. შევაცაპაია

კალიბრატორი ცილინდრული ზამბარების დასაყალიბებლად

ტექნიკაში საქმაოდ დიდი გამოყენება აქვს ცილინდრულ ხრახ-ნისებრ ზამბარებს როგორც მანქანებში, ისე საზომ-საკონტროლო იარაღებში. ზამბარა წინასწარ ითხოვს ყალიბის განსაზღვრა-შემოწმებას; ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა გაირკვეს მისი წინააღმდეგობა კგ-ობით მმ სიგრძეზე ზამბარის შეკუმშვის ან გაჭირვის დროს. ზამბარის ყალიბის განსასაზღვრელად ძირითადად ორი მეთოდი არსებობს: 1. ყალიბის გარკვევა სტატიკური დაწოლით და 2. ყალიბის განსაზღვრა ლინაშიკური მოქმედებით.

სტატიკური მეთოდით ზამბარის ყალიბის განსაზღვრა სხვადა-სხვა წნევით მიმდინარეობს. ეს ხერხი მეტად მარტივია. დინამიკური მეთოდი კი—სპეციალურ კალიბრატორს ითხოვს. ასეთი ერთ-ერთი ბერკეტოვანი კალიბრატორის კონსტრუქცია შემუშავებულია აკად. ვ. პ. გორეაჩინის მიერ. მისი საშუალებით ყალიბის განსაზღვრა ხდება დიაგრამის ჩაწერით ან ანალიზური გზით.


ზამბარების ყალიბის განმსაზღვრელი არსებული მეთოდები რთულია, ან არა და ითხოვს ძვირფას და სპეციალურ დანადგარებს, რომელთა შეძენა ძვირი ჯდება და ამიტომ ისინი მოიპოვება მხოლოდ სპეციალურ ლაბორატორიებში. ეს გარემოება აძნელებს ზამბარების ყალიბთა განსაზღვრას ჩვეულებრივ პირობებში და მომხმარებელი იძულებულია ისარგებლოს ზამბარების მოძეველებული ყალიბებით ან მიმართოს პრიმიტიულ ხერხს, რაც ყოვლად მიუღებელია.

როგორც ცნობილია, დინამიკური დატვირთვის გარემოცვაში მოქცეული ზამბარა დროთა განმავლობაში თავის ყალიბს კარგავს. ამის გარდა, ზამბარის ყალიბის შეცვლაზე გარკვეულ გავლენას ახდენს შენახვის პირობებიც; ამიტომ, დროთა განმავლობაში, საჭირო ხდება ცილინდრულ-ხრახნისებრი ზამბარების ტარიება. განსაკუთრებით ეს საჭიროა საზომ-საკონტროლო იარაღებში ცდების დაწყებისა და დამთავრების შემდეგ. წინამდებარე მოკლე ნარკვევში მოცემულია ავტორის მიერ შემუშავებული კონსტრუქციის კალიბრატორი (იხ. ნახაზი).

ქალიბრატორის შოკლე ტექნიკური აღწერა ჩვენი მდგრად და მარტივი აღწერის ათწილად სასწორზე (1) დაყენებულია დგარი (5), რომელიც მავრი მავრი ემაგრება სასწორის უძრავ ნაწილს.

დგარს ორი ქანჩით ემაგრება ჭია-ხრახნის კოლოფი (10), რომელშიაც გაყრილია მეორე ჭია-ხრახნი საჭით (9). დგარს ცალ მხარეს უერთდება საზომი სკალა (11) ნონიუსით. სასწორის ბაქანზე იდგმება ცილინდრული ფორმის ბრჯენი (2), რომლის ზედა ნაწილი ნახევრად სფერული ფორმის ჩაღრმავებით თავდება. ამ ჩაღრმავებაში ჩადგმულია უნაგირა (3) ზამბარის (4) დასაყენებლად. ზამბარის (4) ზემოდან ებურება ცილინდრული ხუფი (6), რომლის ზემოთ დაყენებულია საბრჯენი ბურთული საკისური (7).

კალიბრატორის მუშაობა. ზამბარის ტარირების მოსახლენად საჭიროა იგი მოვათავესოთ უნაგირასა (3) და ხუფს (6)



შორის. სასწორი მოყვანილ უნდა იქნას წონასწორობაში. საწყის მდგომარეობაში ზამბარის დატკირთვა უდრის ნულს, ე. ი. ზამბარის სიგრძე არის მაქსიმალური, რასაც უჩვენებს სკალა. იმის მიხედვით თუ როგორი სიმკერივის ზამბარასთან გვაქვს საქმე, ვადგენთ დატკირთვის სხვადასხვა სიდიდეს, მაგ., ხუთ-ხუთი, ათ-ათი კგ ან მეტი.

ცდები უნდა ჩავატაროთ შემდეგი თანმიმდევრობით: პირველად უნდა ჩავიწეროთ ზამბარის სიგრძე დაუტვირთავად, შემდეგ დავტვირთოთ სასწორი (5 ან 10 კგ-ის რაოდენობით). სასწორის წონასწორობა დაირღვა. ამის შემდეგ უნდა ვაბრუნოთ ჭია-ხრახნი და კუმშოთ ზამბარა მანამ, სანამ სასწორი არ მოვა წონასწორობაში; ზამბარის შეკუმშვის ავთვლით მასთან მდებარე სკალაზე და ჩავიწერთ. ზამბარის ასეთ თანდათანობით დატკირთვას ვაწარმოებთ მისი შესაძლებელი შეკუმშვის ნახევარ სიდიდემდე (დასაშვებია $\frac{1}{3}$ სიდიდემდეც).

ზამბარის ტარირების ზუსტად ჩატარებისათვის საჭიროა ცდა შექცევითაც ვაწარმოოთ, ე. ი. მოვახდინოთ ზამბარის თანდათანობით ვანტვირთვა. დატკირთვისა და ვანტვირთვის დროს მიღებული

ყველანი უნდა შევაჯამოთ და გატყოთ ზამბარის შეკუმშეის სისტემა /
დეებზე; მივიღებთ ზამბარის საშუალო ყალიბს, ე. ი. პროცესუალისტის
ამბობითი ციფრი.

$$K_1 = \frac{Q_1 + Q_2 + Q_3 + \dots + Q_n}{(S_1 - S_2) + (S_2 - S_3) + (S_3 - S_4) + \dots + (S_{n_1} - S_{n_2})} \quad (1)$$

სადაც Q_1, Q_2, \dots, Q_n არის დატვირთვა კვ-ობით, ხოლო S_1, S_2, \dots, S_n არის ზამბარის სიგრძე მმ-ობით.

ასეთივე საშუალო ყალიბი (K_1) გაანგარიშებულ უნდა იქნას ზამბარის განტვირთვის შემთხვევისათვის, რის შეჯამების შემდეგ მივიღებთ ზამბარის საშუალო ყალიბს ე. ი.

$$K = \frac{K_1 + K_2}{2} \quad (2)$$

კალიბრატორი დამზადებულ და გასინჯულ იქნა საქ. სას.-სა-
მურნეო ინსტიტუტში. ჩატარებულმა ცდებმა სავსებით დადებითი
შედეგები მოგვეა, რის საფუძველზედაც შეიძლება შემდეგი დასკვნე-
ბის გამოტანა: 1. ამ სისტემის კალიბრატორით ზამბარის ყალიბის
განსაზღვრა ზუსტია, რადგან ხელსაწყოს შიგა ხახუნის ძალები არ
გადაეცემა სასწორს; 2. კალიბრატორი საქმით მარტივია და იოლი
მოსახმარად; 3. თუ კალიბრატორის მისაღგმელ მოწყობილობას მოვ-
ხსნით, მეურნეობას სასწორი შეუძლია გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

Доц. Г. Я. Шхвაцабая

ПРЕС-КАЛИБРАТОР

РЕЗЮМЭ

Для статического калибрирования винтовых цилиндрических пружин, нами предложен простой по своей конструкции прибор, который монтируется на десятичных весах. Калибр пружины определяется следующим образом: испытуемая пружина ставится на подставке (3), с верху накладывается головка (6) и зажимается червяком (9). Затем нагружаются весы на 5—10 или больше килограммов в зависимости от жесткости испытуемой пружины и плавно подвинчивается червяк до уравновешивания весов.

Величина S —длина сжатия пружины при данной ^{загруженной} нагрузке Q , показываемая шкалою, нами записывается ^{для определения} среднего калибра (K) пружины.

Так постепенно и равномерно нагружаем весы до полного, или половины длины сжатия пружины. Полученные цифровые данные суммируются и выводится средний калибр (K) пружины. $K = \frac{Q_1 + Q_2 + Q_3 \dots + Q_n}{S'_1 + S'_2 + S'_3 \dots + S'_n}$ где

Q_1, Q_2, Q_3 —нагрузка в кг. S'_1, S'_2, S'_3 —величины сжатия пружины в мм.

Экспериментальный образец данной конструкции прибора был изготовлен в Тбилиси в 1941 г. в мастерских каф. машин с/х института имени Л. П. Берия и проведены испытания, результаты которого приводятся ниже:

1. Прибор весьма точно определяет калибр цилиндрических пружин.
 2. Работа прибора проста и легко доступна.
 3. Калибратор можно изготовить в любых мастерских при наличии десятичных весов.
 4. Предложенный калибратор может заменить дорогие и сложные пресса и специальные калибраторы.
-

0. 0. ჩხუბიანიველი

მასალები DANAË, RUSCUS და SMILAX
დარცვის შედარებითი ანაზომისათვის

მეტყველ სტუდენტები ერთლებნიან მცენარეთა ღეროს სტრუქტურას სიმინდის მაგალითზე სწავლობენ (ივანოვი — 1), იმ ღროს, როდესაც ჩვენს დენდროფლორაში მათი სპეციალობის მიხედვით უფრო შესაფერისი ობიექტი მოიპოვება. ამ შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად ამოცანად დავისახეთ *Danaë*, *Ruscus* და *Smilax* გვართა თითოეული სახეობის ღეროს სტრუქტურის შესწავლა და მის საფუძველზე შერჩევა შედარებით უფრო დამიხასიათებელი ტიპიური მაგალითისა, რომელიც მეტყველ სტუდენტთათვის, პედაგოგიური თვალსაზრისით, უფრო საყურადღებო იქნება¹.


კავკასიის ფლორის ერთლებნიანებიდან, რომელიც ეკუთვნიან ბუჩქებს, ცნობილია მხოლოდ 5 სახეობა (3). მათგან შესასწავლად ავირჩიეთ სამი სახეობა: 1. *Danaë racemosa* (L) Moench, 2. *Ruscus ponticus* Woron. — თავისარა; 3. *Smilax excelsa* L — ეკალლიჭა. აღნიშნულ სახეობათა დასახასიათებლად ანატომიური მასალა ავილეთ თბილისის ბოტანიკურ ბაღში. ეკალლიჭა, როგორც უფრო საყურადღებო სახეობა, დამატებით კახეთში, კოლხეთის ჭაობებში, ენგურისა და ტეხურის ხეობებში შევაგროვეთ.

ღეროს აგებულება. სამიერ სახეობის ღეროს გარშემო შემორტყმულია ეპიდერმისი. უკანასკნელი ადგილ-ადგილ ბაგეებს შეიცავს. ეკალლიჭის ეპიდერმისი განსაკუთრებულად სქელი კუტიკულით ხასიათდება.

პირველად ქერქის შედარება მკაფიო განმასხვავებელ სურათს იძლევა. ეკალლიჭაში პირველადი ქერქი მცირე სიდიდის სქელგარისანი პარენქიმული უჯრედებისაგან შედგება, ცენტრალური ცილინდრის შიგნით მდებარე იმავე ტიპის უჯრედებთან შედარებით. პარენქიმულ უჯრედებს თავისარას პირველადის ქერქში დიფერენციაცია ემჩნევა. აქ გვხვდება ძლიერ დიდი ზომის უჯრედები, რომელთაც თხე-

¹ ამ მხრივ საკითხის შესწავლისათვის იდგა მოყვარა ქ. ცხაკაიაშ, რისთვისაც მას დიდ მაღლობას უუცხადებთ.

ლი გარსი აქვთ და მათ ახლოს, შედარებით, მომცრო სახის უჯოკ-დებიც მოიპოვება. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეპიდემიას მიახლოებისას პარენქიმულ უჯრედთა ზომა მცირდება და გარსიც სქელდება. ასეთივე სურათია *Danae-*შიაც, თუმცა მისი უჯრედები, თავებისარასთან შედარებით, მცირეა, სქელგარსიანი და, ყოველ შემთხვევაში, აღემატება ეკალლიჭისას.



სურ. 1.

Smilax excelsa L.—ჭურჭელბოჭყოვანი კონა (თბილისის ბოტანიკური ბაღიდან).

ეკალლიჭის ღეროში ცენტრალურ ცილინდრსა და პირველადს ქრებს შორის არ არის მკვეთრი გადასვლა, რის მიხედვითაც იგი მყაფიოდ განსხვავდება ორი დანარჩენი სახეობისაგან, რომლებშიაც საზღვარი შედარებით კარგადაა გამოსახული. თავებისარასა და *Danae-*ში ცენტრალური ცილინდრის საზღვარზე მექანიკური ქსოვილის მთლიანი რეალი (პერიცილი) იქმნება, რაც ეკალლიჭის დაწყვეტილია პარენქიმული უჯრედებით.


თაგვისარასა და *Danae*-ს ცენტრალური ცილინდრის პერიფერიული რიისა და პირველი ქერქის თავისებური აგებულება ქმნის მოწყობით შორის მკვეთრ საზღვარს, რასაც ეკალიქაში ვერ ვამჩნევთ.

ეკალიქის, თაგვისარას და *Danae*-ს ღერო (ერთლებნიანი მცინარეების მსგავსად) ხასიათდებიან ძირითად ქსოვილში ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონების

გაფანტვით. ღეროს ცენტრალური ცილინდრის პერიფერიასთან განვითარებული ჭურჭელ-ბოჭკოვანი კონები, ცილინდრის შუა ადგილის კონებთან შედარებით, მცირე სიდიდისაა, განწყობილი არიან მჭიდროდ და მათი მექანიკური ქსოვილიც ძლიერ განვითარებულია.

ეკალიქის ღეროს ცენტრალური ცილინდრის განივ არეზე ჭურჭელბოჭკოვანი კონების რაოდენობა მეტად დიდია. ამ მდგომარეობას *Jeffery* (4) მცენარის მიერ საკედ ნივთიერებათა გამომუშავების მაქსიმალური უნარიანობით ხსნის, რის გადამოძრავებასაც, ცხადია, კონების საქმაო რიცხვი დასჭირდება. კონების რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი მთლიანად განწყობა მარტო პერიფერიაზე არ მოხერხდება. ამის გამო ფოთლის კვლის გადაადგილება ხდება ცილინდრის პერიფერიიდან შიგნით გულგულისაკენ. ჭურჭელბოჭკოვანი კონების რიცხვის გაზრდა, თვით კონების ორგანიზაციაზედაც ახდენს საგრძნობ გაფლენას.

ჭურჭელბოჭკოვანი კონა კოლატერალური ტიპისაა, რომელიც განივ განაკვეთზე მომრგვალო ფორმით ხასიათდება. 1-ლი სურათიდან ჩანს *Smilax excelsa* L.-ს, მე-2 სურ. *Ruscus ponticus* Woron.-ს და




სურ. 2.

Ruscus ponticus Woron. ჭურჭელბოჭკოვანი კონა.

განივ არეზე ჭურჭელბოჭკოვანი კონების რაოდენობა მეტად დიდია. ამ მდგომარეობას *Jeffery* (4) მცენარის მიერ საკედ ნივთიერებათა გამომუშავების მაქსიმალური უნარიანობით ხსნის, რის გადამოძრავებასაც, ცხადია, კონების საქმაო რიცხვი დასჭირდება. კონების რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი მთლიანად განწყობა მარტო პერიფერიაზე არ მოხერხდება. ამის გამო ფოთლის კვლის გადაადგილება ხდება ცილინდრის პერიფერიიდან შიგნით გულგულისაკენ. ჭურჭელბოჭკოვანი კონების რიცხვის გაზრდა, თვით კონების ორგანიზაციაზედაც ახდენს საგრძნობ გაფლენას.

ჭურჭელბოჭკოვანი კონა კოლატერალური ტიპისაა, რომელიც განივ განაკვეთზე მომრგვალო ფორმით ხასიათდება. 1-ლი სურათიდან ჩანს *Smilax excelsa* L.-ს, მე-2 სურ. *Ruscus ponticus* Woron.-ს და

მე-3 სურ. *Danae racemosa* (L) Moench. კონის საერთო ტომოვრცილობის განვითარებული კონია, თავის მხრივ, შედგება ქსილემის ფლოემისა და ანუ ჰადრომისა (hadrom) და ფლოემის (phloëm) ანუ ლეპტომისაგან (leptom). ქსილემა მიმართულია ცენტრისაკენ. იგი მხოლოდ ცალმხრივ ეკვრის ფლოემას. ეს უკანასკნელი კი, კონიში პერიფერიისაგნაა მოთავსებული.



სურ. 3.

Danae racemosa (L) Moench.
ჭურჭელბოჭყოვანი კონა.

(სურ. 1, 4). მეტაქსილემას *Danae*-შიც ვამჩნევთ, თუმცა ეკალლიქ-თან შედარებით ნაკლებადაა განვითარებული (სურ. 2). თაგვისარაში მეტაქსილემა სრულიად არ მოიპოვება (სურ. 3).


თითოეულ ჭურჭელბოჭყოვან კონაში პერიფერიისაკენ მდებარეობს ფლოემა, რაც თავის მხრივ შედგება პროტოფლოემისა და მეტაფლოემისაგან. დეუტროფლოემა არა აქვს. პროტოფლოემა ძლიერ შემჭიდროებულ მდგომარეობაში იმყოფება.

ფლოემაში ჩვეულებრივ ვამჩნევთ საცრიან მილებს და თანამგზავრებს. საცრიანი მილი გვერდითა კედლებზე არ შეიცავს საცრიანებრ ფირფიტას, განვით ფირფიტა კი, ჰორიზონტალურად მდებარეობს. ეკალლიქის ჭურჭელბოჭყოვან კონას გარშემო კარგად გამოსახული სკლერენჯიმული ქსოვილი (stereum) ერტყმის, რომელიც *Jeffrey*-ის აზრით, შედარებით პრიმიტიული ფორმის პერიციკლს შეესაბამება,

ეკალლიქის გამტარი კონის ქსილემაში ვამჩნევთ პროტოფლოემას და მეტაქსილემას. მასში არ მოიპოვება დეუტროფლოემა, რადგან კონა დაკეტილი ტიპისაა [ტერმინოლოგია ნახმარი გვაქვს ილინის მიხედვით (2)]. პროტოფლოემა, რომელიც ჩვეულებრივ ეითარდება ზრდის პერიოდში, შედგება სპირალური, რგოლური ჭურჭლებისა და პარენქიმისაგან. მეტაქსილემაში კი ორი დიდი ზომის კიბისებრ ბადენაირი ჭურჭელია

მექანიკური რეალი ლაფნისა (პროტოფლოემისა) და ქსილემის (პროტოქსილემის) მხარეზე სამ-ოთხ წყება უჯრედებისაგან შეტევით მხარეზე მხოლოდ ორი ან, იშვიათად, სამი წყება უჯრედით

არის წარმოდგენილი. საერთოდ ლაფნის მხარეზე მექანიკური უჯრედების რიგთა რიცხვი პროტოქსილემისას ქარბობს, პროტოქსილემისა კი — მეტაქსილემისას. ასეთივე თანმიმდევრობა არსებობს მექანიკურ რეალში შემავალ უჯრედთა გარსის სისქის მიხედვითაც (სურ. 5). გაცილებით სქელი გარსით ხასიათდება ლაფნისაკენ მდებარებოცემი (სურ. 5, ბ, გ.), ვიდრე პროტოქსილემისაკენ (სურ. 5, დ). ეს უკანასკნელი კი, აღმატება მეტაქსილემისას (სურ. 5—ა). ეს მდგომარეობა ნათლად არის გამოხატული 1-ელტაბულაში.




სურ. 4. ეკალდიტის ჭურჭელბოჭკოვანი კონის სიგრძივი განაკვეთი

ტაბულა 1

სახეობა და ადგილ- სამყოფელი	ფლოემის მხარე- ზე ბოჭკოს გარ- სის % / საერთო ფართობიდან	პროტოქსილემის მხარეზე ბოჭკოს გარსის %	მეტაქსილემი- საკენ მდებარე- ბოჭკოს გარსის %
<i>S. excelsa</i> L. თბილისის ბოტანიკური ბაღიდან	84,81	67,71	56,19

თაგვისარაში მექანიკური ქსოვილი მხოლოდ ფლოემისა და ქსილემისაკენ მდებარეობს (სურ. 2), სადაც ნათლად ემჩნევა ზემო-

აღნიშნული ბოჭკოების თავისებურება. ფლოემისაკენ ბოჭკოები პატარა ზომისაა და სქელგარსიანი, ქსილემის მხარეზე კი, შეკეტილი მის უჯრედები გაცილებით დიდი ზომისაა და თხელგარსიანი. *Danae*-ში, მართალია (სურ. 3), პურპელბოჭკოვან კონის გარშემო ერტყმის მექანიკური რეალი, მაგრამ იგი ეკალლიკთან შედარებით უფრო ნაკლებ არის 5 გამოსახული.




სურ. 5. *Smilax excelsa* L.

პურპელბოჭკოვანი კონის პერიციკლის თავისებურება მდებარეობს და მიხედვით (თბილისის ბოტანიკური ბალიდან)

ეკალლიკის მასალა. შედარებით მკვეთრი განსხვავება მივიღეთ თბილისისა და კოლხეთის მასალების შედარების დროს. მთავარი განსხვავება შეეძინიეთ მხოლოდ მექანიკური ქსოვილის განვითარებაში. მექანიკური ქსოვილი თბილისის მასალაში კონის სა-

კონებს შორის მოთავსებულია ძირითადი ქსოვილი, რაც იზოდიამეტრალური შედარებით დიდი ზომის პარენქიმული უჯრედებისაგან შედგება, თუმცა, მოგრძო კილინდრული ფორმისაც ხშირად გვხვდება. ეკალლიკის ძირითად ქსოვილში, გარდა პარენქიმისა, კიდევ ერთეულებად გაფანტული ბოჭკოებიც მოიპოვება, რაც თავისიარასა და *Danae*-ში ისე მკვეთრად არ შეგვიმჩნევია, როგორც ეკალლიკაში.

როგორც თავში აღვნიშნეთ, გასინჯული გვაქვს თბილისის ბოტანიკურ ბალიდან, კიხეთიდან, კოლხეთის ჭაობებიდან, ენგურისა და ტეხურის ხეობებიდან აღებული



სურ. 6. *Smilax excelsa* L.
კონის პერიციკლი, პროტოფლოებისაკენ მდებარე.

ერთო ფართობიდან 45,25%-ს შეადგენს, კოლხეთისაში კი 38,81% / 6 (ტაბულა 2). თვით მექანიკურ ქსოვილში შემავალ ბოჭკოვანობაზე მეტად სისქიც მეტად განსხვავებულია. კოლხეთისა თხელგარსიანია (სურ. 6).

ტაბულა 2

სახეობა და ადგილ- სამყოფელი	ქსილემის % კონაში საერთო ფართობიდან	ფლოემის % კონაში	მექანიკური ქსოვილის % კონაში
<i>S. excelsa L.</i>			
თბილისის ბოტ. ბაღიდან	45,72	9,73	45,25
კოლხეთის ჭაობებიდან	49,84	11,29	38,87

მე-6 სურათზე ლატნისაკენ მდებარე სკლერენჯიმული ქსოვილი გვაქვს გადმოცემული. აქ ბოჭკოს გარსის სისქე შეადგენს 50,65%-ს ბოჭკოს საერთო ფართობიდან, თბილისისა კი, ჩეველებრივ, სკელ-გარსიანია (სურ. 5—ბ, გ), სადაც ბოჭკოს გარსის სისქე, ოოგორუ 1-ელ ტაბულაში გვაქვს აღნიშნული, შეადგენს 84,81%-ს.

დ ა ს პ პ ე ბ ი

1. ეკალლიქა, ჭურჭელბოჭკოვანი კონის მეტაქსილემის განვითარების მიხედვით, ფილოვენიურ რიგში გაცილებით მაღლა შეიძლება დავაყენოთ, ვიდრე თაგვისარა და *Danaë*. ამ ორ უკანასკნელ სახეობაში კი, *Danaë* უფრო განვითარებულია თაგვისარასთან. შედარებით, თუმცა ენგლერის სისტემაში შებრუნებითაა, თაგვისარა მოსდევს *Danaë*-ს, ე. ი. *Danaë* უფრო პრიმიტიულია, ვიდრე თაგვისარა, რაც მეტაქსილემის განვითარების ფაქტს არ შეესაბამება.

2. ეკალლიქის ჭურჭელბოჭკოვანი კონის ლატნის მხარეზე მდებარე მექანიკური უჯრედების რიგთა რიცხვი ჭარბობს პროტოქსილემისას, პროტოქსილემისა კი — მეტაქსილემისას. ასეთივე თანმიმდევრობა არსებობს მექანიკურ რეალში შემავალ უჯრედთა გარსის სისქის შიხედვითაც.

3. კოლხეთის ჭაობებში მოზარდი ეკალლიქის ლეროს კონათა მექანიკური ქსოვილი თავისი განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩება თბილისის ბოტანიკური ბაღის პირობებში მოზარდს.

4. აღწერილ სახეობათა ეკალლიქის ლერო შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მეტყველე სტუდენტთათვის, ოოგორუ ტიპიური იმპეტი. ერთლებნიან მცენარეთა ლეროს სტრუქტურის შესასწავლად.

МАТЕРИАЛЫ К СРАВНИТЕЛЬНОЙ АНАТОМИИ СТЕБЛЯ КАВКАЗСКИХ *DANAË*, *RUSCUS* и *SMILAX*

р е з ю м э

Нами исследовано строение проводящих пучков некоторых представителей однодольных кустарников с точки зрения возможности их использования как учебного материала для студентов-лесоводов, все еще продолжающих знакомиться со строением однодольного растения на культурном, травянистом (обычно кукуруза) объекте. В настоящее время во флоре Кавказа из однодольных кустарникового типа известны 5 видов, из которых для изучения нами были взяты следующие три вида: *Danaë racemosa* (L.) Moench,—*Ruscus ponticus* Woron.—обыкновенная иглица; *Smilax excelsa* L сассапариль. Первые два собраны нами только в Тбилисском Ботаническом саду, а сассапариль, как более интересный вид, добавочно был взят в Кахетии, в болотах Колхиды, в ущельи Энгури, Текури и в других местах.

Стебель этих видов окружен эпидермисом с устьицами. У обыкновенной иглицы и *D. racemosa* (L.) Moench. на границе центрального цилиндра имеется сплошное кольцо механической ткани (перицикл), которое у сассапарилла прерывается клетками паренхимы. Сосудисто-волокнистые пучки, лежащие в периферии центрального цилиндра стебля сассапарилла небольших размеров и расположены густо; их механические ткани по сравнению со средней частью цилиндра сильно развиты. Количество сосудисто-волокнистых пучков в поперечном ареале, центрального цилиндра сассапарилла очень велико; это положение Джейфри (*Jeffrey*—4) объясняет максимальной способностью растения вырабатывать питательные вещества, для передвижения которых требуется соответственно большее количество проводящих пучков. Количество пучков настолько велико, что расположение их только по одной периферии было бы невозможно, вследствие чего происходит перемещение листового слепа от периферии цилиндра к сердцевине. Увеличение количества проводящих пучков существенно влияет и на самую организацию пучков.

В проводящем пучке ксилемы сассапарилла замечается протоксилема и метаксилема, но не встречается деутрокси-

лема, так как пучок закрытого типа (терминология по Ильну—2). Протоксилема, которая обычно развивается одновременно с метаксилемой, состоит из спиральных, кольчатых сосудов и паренхимы. В метаксилеме же имеется два большого размера лестнично-сетчатых сосудов (рис. 1 и 4). Метаксилема и в *D. racemosa* (*L.* Moench.) заметна, хотя она не так развита как у сассапариля (рис. 3). У обыкновенной иглицы метаксилемы вовсе нет (рис. 2). В периферии каждого сосудисто-волокнистого пучка расположена флоэма, которая со своей стороны состоит из протофлоэмы и метафлоэмы; дейтрофлоэмы не имеется. Протофлоэма находится в сильно сжатом состоянии. В флоэме обычно замечаются ситовидные трубки и спутники. Ситовидные трубки на боковой стенке не имеют ситовидной пластинки.

Вокруг сосудисто-волокнистого пучка сассапариля находится ясно выраженная склеренхимная ткань, которая, по мнению Джекфири, соответствует сравнительно низшей форме перицикла. Механическое кольцо со стороны флоэмы (протофлоэмы) и ксилемы (протоксилемы) состоит из трех-четырех слоев клеток, в то время как со стороны метаксилемы находится два, редко три, слоя клеток. Обычно на стороне флоэмы количество слоев механических клеток больше, чем над протоксилемой, а над протоксилемой—больше, чем над метаксилемой. Такая же последовательность существует в отношении толщины стенок клеток механического кольца (рис. 5). Значительно более толстой оболочки характеризуются волокна, лежащие со стороны флоэмы (рис. 5—б, в), чем со стороны протоксилемы (рис. 5—г), возле которой волокна в свою очередь толстостеннее, чем около метоксилемы (рис. 5—а). Механическая ткань обыкновенной иглицы лежит только со стороны флоэмы и ксилемы (рис. 2). Со стороны флоэмы волокна небольшого размера и толстостенные, а со стороны ксилемы они значительно большего размера и тонкостенное. В *D. racemosa* (*L.* Moench.) (рис. 3), хотя механическое кольцо окружает сосудисто-волокнистые пучки, но оно значительно слабее выражено, чем у сассапариля. В основной ткани сассапариля кроме паренхимы встречаются разбросанные единич-

ные волокна, что у обыкновенной иглицы и *D. racemosa* (L.) Moench., не так ясно заметно. Как отмечалось в начале статьи, изученный нами материал сассапариля был взят в Тбилисском Ботаническом саду, в Кахетии, в болотах Колхиды, в ущельях рек Энгури, Техури и в других местах. Сравнительно резкие отличия наблюдались между материалами Тбилиси и Колхиды. Основное различие замечается только в развитии механической ткани. В Тбилисском материале — 45,25% общей площади пучка приходится на механическую ткань, в Колхидском же материале 38,87%. Толщина стенок волокон, входящих в состав механической ткани, также значительно различается. У Колхидского сассапариля толщина стенок волокна лежащая со стороны луба, составляет 59,65% от общей площади волокна. В Тбилисском же волокна обычно более толстостенные (рис. 5—б, в), здесь толщина стенок волокна, как отмечено в табл. 1, равняется 84,81%. Таким образом, механическая ткань сассапариля растущего в болотах, по своему развитию значительно отстает от тбилисского. Описание строения сосудисто-волокнистого пучка сассапариля, обыкн. иглицы и *Danaë* говорит нам следующее:

1. По развитию метаксилемы сосудисто-волокнистого пучка *S. excelsa* L. в филогенетическом ряде можно поставить значительно выше, чем *Ruscus* и *Danaë*: из этих двух видов *Danaë*, по сравнению с *Ruscus*, более развит, хотя по системе Энглера получается обратное: *Ruscus* идет после *Danaë*.
2. Количество слоев механических клеток на стороне флоэмы больше, чем над протоксилемой, а над протоксилемой больше, чем над метаксилемой. Такая же последовательность существует в отношении толщины стенок клетки механического кольца.
3. Механическая ткань сосудисто-волокнистого пучка *S. excelsa* L., растущего в болотах, по своему развитию значительно отстает от тбилисского.
4. Из исследованных растений *S. excelsa* L. вполне может быть использован для ознакомления учащихся лесоводов со структурой, проводящих пучков однодольного растения.

Л И Т Е Р А Т У Р А

1. ლ. ა. ივანეს მცენარეთა განვითარების, მდიდარის, 1937.
2. В. С. Ильин—Анатомия и физиология растений, 1924.
3. Флора СССР, IV.
4. Jeffrey—The anatomy of woody plants, Chicago, 1917.

აკად. ნ. პეტრიშვილი

მცენარეული საფარი ვახუშტი ბატონიშვილის ნაშროვი

1.

1745 წელს სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტი ბატონიშვილმა დაამთავრა თავისი შესანიშნავი შრომა: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“¹, რომელიც დიდხანს დარჩება, როგორც გეოგრაფიულ ნაშრომთა კლასიკური ნიმუში.

ეს შრომა მკვლევარის ყურადღებას პირველ რიგში იქცევს თავისი მეთოდით, საკითხის და მისი მასალის ღრმა ცოდნით, სიზუსტით, სიმდიდრით და ლაკონიურობით. ბუნებრივ პირობათა არც ერთი ელემენტი არ არის მისი ყურადღების გარეშე დარჩენილი, რომელიც მისთვის ჩვეული დახვეწილი სტილით არ აღწერა. ხშირად ამა თუ იმ მხარის აღწერა გეოგრაფ ვახუშტის რამდენიმე სტრიქონში აქვს მოკცეული, მაგრამ ამ რამდენიმე სტრიქონშიაც სავსებით სწორად და ზუსტად იძლევა მხარის სრულ აღწერილობას, მდებარეობას, საზღვრებს, ოროგრაფიას, ჰავას, ფაუნას, მცენარეულ საფარს, პიღინოგრაფიას, ხალხის საქმიანობას და სხვ.

ამის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ოდიშის, გურიისა და სევა კუთხეთა აღწერილობა:

„ხოლო სიგრძე თდიშისა არს კავკასიის თხემიდამ ზღვამ-
დე, და ცხენის-წყლიდამ ზღვადმდევე, და მეორე ეგრისის-წყლი-

¹ მარი ბროსე მ 1842 წელს გამოსცა იგი ს.-პეტერბურგში შემდეგი სახელწოდებით: „დეილრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტისაგან“.

1892 წელს მოსკოვი ანგლიურ გამოსცა: ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, I წიგნი „სამცხე“.

1895 წ. მანვე გამოსცა ამავე სათაურით მეორე წიგნი „ქართლი“.

1904 წ. მოსკოვი ანგლიურ გამოსცა: ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნიდან, რედაქცია მოსკოვი ანგლიურის, ქ. ტელიოლისი, 1904 წ.

ვახუშტი ტ. ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია) თ. ღოვანიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ. აქ აღდგენილია დედნისეული სათაური.

დამ ანაკოფიამდე. და განი მისი რიონის მდინარიდამ ეგრესის
 მდინარემდე, და მეორე—ზღვიდამ კავკასის თხემამდეურდას-შეს
 პატითა ოდიში ეს მშვენი. ზაფხულს ზღვის პირნი და ვაკენი
 ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილი, აგარაკო-
 ვანი, კეთილნი; ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულცა სველი,
 და ნამიანი და ნოტიო, გარნა უწყინარ-უკნო, უქარო და უყივ-
 ნო, დიდ-თოვლიანი: მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფი-
 ერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფერებს ურწყავად: ნა-
 რინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი, ბროწეული, აღილ-აღგილს, და
 სხვანი ხილნი მრავალნი: ენაჯნი მაღლარნი, ლვინო მსუბუქი
 და კარგი: აქა არს ლვინო ზარდავი, ფერისა-თვის ეგრეთ წო-
 დებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა:
 აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისა-გან: პირ-
 უტყვნი, ცხოვარნი მცირედ, და სხვანი მრავლად. რამეთუ უვისთ
 ჯოგად, მროწლედ და ოხა, ცხოვარი და ლორი ერთ-არვედ.
 რამეთუ არა უვისთ მწყემსი, და მძვიარ არიან ზაფ-
 ხულს ჩალახთა, ფრინველნი მრავალნი, ფუტკართა-გან თაფლი
 და ცვილნი მრავალნი, ვინათ-გან ტყეთა შინა მრავლად არიან:
 ნადირნი წერილნი და დიდი ურიცხვნი, თვინიერ ქურციკისა,
 და სანადირო მრავალნი და კეთილნი: თევზნი მთის კერძოდ,
 კალმახნი მრავლად: ხოლო ვაკეთა სხვანი თევზნი და კირჩ-
 ხიბნი ურიცხვნი: ზღვასა შინა იპყრობის ანდაკია და სხვანი
 ზღვის თევზნი¹... (გვ. 402).

აქ ისე სრულად არის მოცემული ზღვისპირა სამეგრელოს ალ-
 წერილობა, რომ ძნელად თუ რაიმე დაემატოს, მაგრამ გამოკლები-
 თაც არა გამოაკლდება რა. სტილის ეს ლაკონიურობა უკვე ამჟღავ-
 ნებს მის ლრმა ცოდნას და განათლებას.

იმ მცირე ბიოგრაფიული ცნობებიდანაც კი, რომლებიც დღე-
 ვანდღლამდეა შემონახული, ირკვევა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს,
 მისი დროის მიხედვით, ლრმა განათლება მიუღია. ვახუშტი ბატო-
 ნიშვილი, ვახტანგ მეფის ძე, 1676 წელს უნდა დაბადებულიყო².
 ვახუშტი ბატონიშვილის პირველი მასწავლებები და აღმზრდელები

¹ ამონაწერები მოყვანილია მ. ბროსეს გამოცემიდან. მაღლობას მოვახსე-
 ნებ ასისტ. ბ. ახვლედიანს, რომელმაც ჩემის მითითებით ამოწერა შესაფერისი
 აღვიდები. ნ. კ.

² ვახუშტის ბიოგრაფიისათვის ესარგებლობ პროფ. ნ. ბერძნიშვილის
 შრომით—ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ვახუშტის ბიოგრაფი-
 ისათვის“, შესავალი, 1941 წ.

ყოფილან კარისა და ოქონის ხატის დეკანოზი იქ გარსევანიშვილი /
და მისი ძმა გიორგი. 15—16 წლის ვახუშტი ტფილიში მუხლებით
თოლიკე მისიონერებთან სწავლობდა.

„1717 წლიდან ეიდრე 1724 წლამდის ვახუშტი აქტიუ-
რად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეში. 1717 წელს
ბაქარ ქართლის მეფემ თავის ძმას ვახუშტის აჯანყებული
დათუნა ქსნის ერისთავის დამორჩილება მიანდო. ვახუშტი
ლაშქრით შევიდა საერისთოში. ამ დროს დათუნა ერის-
თავი გარდაიცვალა, ხოლო ერისთვის-შეიღები კახეთს გაიქ-
ცნენ... 1719 წელს ვახტანგ მეფის ბრძანებით ვახუშტი და ბა-
ქარ ისევ ქსნის საერისთოში ლაშქრობენ უკუმდგარი შანშე
ერისთავის წინააღმდეგ. ბაქარმა ქსნის ხეობა დაიკირა,
ვახუშტიმ—ლიახვის ხეობა. შემდეგ წელში ვახტანგ მეფემ ვა-
ხუშტი იმერეთს წარავლინა ლაშქრით. მას უნდა ხელი შეეწყო
ვახტანგის დის-შეიღლის ალექსანდრე გიორგის ძის გამე-
ფებისათვის. 1721 წელს ვახუშტი უკვე საბარათიანოს სარდა-
ლი იყო და თრიალეთის ახალქალაქში იჯდა (აწინდელი ტა-
შბაში). მეფის ბრძანებით და ვახუშტის უშუალო
მონაწილეობა-ხელმძღვანელობით მოხდა ამ დროს
მოწინავე სადროოშოს აღწერა¹. მოწინავე დროშის
სარდლად იყო ვახუშტი 1722 წელსაც. ამავე წლის აგვისტო-
ნოემბერში კი ის სამეფოს განაგებდა, როცა ვახტანგი და ბა-
ქარი პეტრე ხელმწიფის შირვანს გამოსვლის მოლოდინში
ქართველთა ჯარით განჯის მიღამოებში იდგნენ“².

1723 წ. ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. დამარცხებული ვახ-
ტანგი რუსეთს გადაიხვეშა — მას თან გაპყვა დიდი ამალა და მათ
შორის ვახუშტიც. ეამთა სიავის გამო პოლიტიკური მოქმედების არეს
მოკლებული ვახუშტი მეცნიერულ კვლევა-ძიებას იწყებს და სხვა
შრომათა შორის იგი 1745 წელს ამთავრებს თავის შესანიშნავს სა-
ქართველოს გეოგრაფიას. გარდაიცვალა სამშობლოს მოწყვეტილი,
ლრმიდ მოხუცებული, 95 წელს მიღწეული.

როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, ვახუშტი კარგი განათ-
ლების მქონე, უკვე სამშობლოშივე მცოდნე ბერძნულისა, ლათინუ-
რისა, იტალიურისა და მეზობელ ხალხთა ენებისა, უშუალოდ ეცნო-
ბოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. მეწინავე სადროშოს აღწე-

¹ ხაზი ჩემია, ნ. ქ.

² ნ. ბერძენიშვილი, „ვახუშტის ბიოგრაფიისათვის“.

რაც მისი მონაწილეობით მოხდა. ირკვევა რომ, გარდა პირადი და კვირკვებისა, ვახუშტი ბატონიშვილს ხელთა ჰქონია მდიდარი სამართლებულების მიერ მასალა, რომელიც მას ზუსტად გამოუყენებია.

„არამედ ესე ვითართა ვამცნებთ მოქმედნი, რათა გონიერად ისმინოს თქმული ჩვენი, რამეთუ ვინაოგან დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირეთ და არა ჯეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინა დავდევით“¹.

მაგრამ იგი არ კმაყოფილდება მარტოოდენ რუკების შემოწმებით.

— გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინღა წელი სამნი მარადის წერითა, გამოძიებითა, მატიანებთა და ცხორებათა ძიებითა, რამეთუ არა დაუტევეთ ხონოლრაფნი ბერძნისა, არა თუ ერთისა ვირწმუნებით, არამედ სხვადასხვათა შემოწმებითა. ეგრეთვე განყრილობისა შემდგომად რომაულთა კეისართაგან, მეფეთა ევროპელთა, აწინდელთა სულტნებთა სტანბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიხთათა გამო ვიპოვეთ და შემოწმებულათ ვქმნით, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა. ამისთვის სარწმუნო ვართ, რომელმან იხილოს შრომანი ჩვენნი, არა საგმობელ გვყოს, არამედ მადრიელ იქმნეს და მისცეს ლოცვა მიზდისა მოქმედსა. დალათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმინდისა დამასკელის თქმულისა და პლინი სტოიკის სიტყვისა, რათა არა განვლოთ უამი უქმნობით, რომელ არა მოცილოთ ნაყოფი სარგონი მის მიერნი“².

უკვე ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ვახუშტი ლრმად განსწავლულია, კრიტიკულად უდგება მთელს მემკვიდრეობას და ყოველივეს გამოიძიებს. გარდა ყოველივე ამისა, ვახუშტის ხელთ ჰქონია აღწერილობანი საქართველოს სხვადასხვა ნაწილისა. აღწერის წესი „დასტურლამალის“ მიხედვით მტკიცედ გასაზღვრული ყოფილა.

„როდესაც ქართლი აღწერილია და ან აღწერების, ამ წესით უნდა აღწერებოდეს: ყაიულს, სომხითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთის და საბარათაშვილოს ასაწერად წავა საბარათაშვილოს სარდარი და ერთი მდივანი. აღპწერს და დავთარს დაიჭერს. ზემო ქართლის ხეობას აქეთ, ნეძვი და კორ-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი — აღწერა სამეფოსა საქართველოსა, მკითხველთათვის სიტყვა რაისათვის არს შრომა ესე, გვ. 4, 1941 წ.

² ვახუშტი — 1941 წ., გვ. 9.

ტანეთი და ტაშის კარიც დავთარში ჩაეთარდების. და ამის მუზეუმში თაც საამილახერომდინ. ამილახორის მამულსაც ზემო მატერიალურა ლის სარდარი წავა და ერთი მდივანი წავა. მდივანი აღწერს და დავთარს დაიპერს; დედოფლის მდივანი სწერდეს.—საცი-ციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვი-საც ბატონი უბრაძნებს, წავა და მდივანი წარპყება. მდივანი აღსწერს, და დავთარს დაიპერს მეფის მდივანი.—მუხნარის და ორსავე ერისთავის (ქსნისა და არაგის) მამულს, რომელიც კვლავ დავთარში ჩაეთარდნილა, იმაზედ მუხნარის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ. მდივანი აღსწერს და დავთარს დაი-პერს“¹.

როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, ძელს საქართველოში, მე-ფის კარზე საქმიოდ დაწვრილებითი აღწერანი ყოფილა საქართვე-ლოს სხვადასხვა კუთხისა და მას ხელთ უნდა ჰქონოდა სწორედ ეს მდიდარი და ფრიად სარწმუნო ოფიციალური ხასიათის მასალა. გარდა ამისა, მას უნდა ჰყოლოდა თავისი ებური კორესპონდენტები, ცნობათა მიმწოდებელი, რომელთა დახმარებით ის აგროვებდა საჭი-რო მასალას და რომელიც თვით მოჰყავდა სისტემაში.

ტექსტის დაკვირვებიდან ირკვევა, რომ მან კარგად იცოდა უცხო ენები და მაშინდელი ევროპული მეცნიერების განვითარების კურსში იყო. არც გასაკვირველია, მოსკოვს 1724 წელს ის უკვე დამდგარი და გარკვეული მეცნიერი ჩავიდა, კარგად განსწავლული, უკვე დარბაი-სელი მოღვაწე. ხსნებული შრომა 1745 წელს დაამთავრა. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში, ე. ი. 20 წლის მანძილზე, მას დიდი მოსამ-ზადებელი მუშაობა უნდა ჩაეტარებია. როგორც ვახუშტი აღნიშნავს, თავისი შრომა მას სამ წელში დაუმთავრებია. აკად. ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ აღნიშნავდა:

„მისი შრომა იმდენად ღიდადა და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამი წლის განმავლობაში მოეს-წრო მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უცველია, მას თავისი თხზულებისათვის მასალები და საბუთები ღიდი ხნიდან მოყოლებული უნდა ეგროვებინა, იქნებ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო“², რასაც სავსებით უნდა დავეთანხმოთ.

¹ ვაბუშტი ბატონიშვილი — საქართველოს გეოგრაფია, წიგნი I, სამცხე, ვახუშტის საზოგადო შესავლითურთ, გამოცემა მოსკე ჯანაშეილისა, ტფი-ლისი, 1892, მ. ჯანაშეილის წინასიტყვაობა, გვ. 4.

² ი.ვ. ჯავახიშვილი — ძელი ქართული საისტორიო მუzeiumi.



გამოშტრის საქართველო დაყოფილი აქვს დრდ გეოგრაფიული ერთეულებად: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ, კავკასიონად, სამხრეთ საქართველოდ; შემდეგ ყოველი მათგანი დაყოფილია ქვერაიონებად: ქართლი, კახეთი და სხვა, მაგრამ არა აღმინისტრაციული გაგებით, არამედ ბუნებრივი პირობების მიხედვით. ყოველი ქვერაიონი გამოყოფილი აქვს შედარებით მცირე ერთეულებად, სადაც პრინციპიად მდინარეთა ხეობებია აღებული. ამავე დროს იგი აღმინისტრაციულ დაყოფათაც არ უგულებელქოფს და ეს ხეობანი სწორედ ამ აღმინისტრაციული ერთეულების მიხედვით აქვს განხილული (პირველი საპასპეტო, მეორე საპასპეტო, მესამე საპასპეტო და სხვ.). მას სავსებით ნათლად აქვს გათვალისწინებული, რომ გეოგრაფიულ აღწერისას მთავარი მნიშველობა ბუნებრივ ერთეულთა გამოყოფას აქვს და აღმინისტრაციული დაყოფა კი შედარებით დროებითი მოვლენაა (ივ. ჯავახიშვილი). სწორედ ამიტომაა, რომ მთელს მის ნაწარმოებში ეს ხაზი უცვლელადაა გატარებული თავიდან ბოლომდე.

ყოველი ხეობა ჩვენი მდინარისა, დიდისა თუ პატარისა, მას დაწერილებით აქვს განხილული, მდინარის მიმართულება, მისი ცვალებადობა, ნაპირის და ყოველთვის აღნიშნავს რანაირი კლდენი და „ღრანტონი“ არიან მის ნაპირებზე; რა მცენარეები და სოფლის მეურნეობის კულტურები რომელ წერტილამდე აღწევდა და სხვ.

სწორედ ეს სისუსტე ცნობებისა, გარდა ზემოთქმულისა, გვაფიქრებინებს, რომ მრავალი ხეობა პირადად ჰქონდა დავლილი. დედნის კელევა ადასტურებს იმასაც, რომ ცნობებს კორესპონდენტებისაგან სისტემატურად ღებულობდა და წიგნის დამთავრების შემდეგაც კი შესაფერი შესწორებანი შექმნდა¹.

მასალის შესწავლა ადასტურებს ერთ მომენტსაც, სახელდობრი იმას, რომ პირადად, უშუალოდ, უფრო კარგად აქვს შესწავლილი ქართლი, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველო და ცენტრალური კავკასიონი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილს, და კახეთს, ნანახი და დავლილი აქვს, მაგრამ არა ისე დაწვრილებით შესწავლილი, როგორც ზემოდასახელებული მხარენი. ამ მხარეთა აღწერილობისათვის გამოყენებული აქვს ფართო და დიდი წერტილობითი მასალა. სხვაგვარად ვერ ავხსნით ზოგიერთი. ისეთი ცნობის გამოტოვებას დასავლეთ საქართველოს

¹ ნ. ბერენიშვილი—ხელნაწერის აღწერილობა და შენიშვნები.

შუნებრივი ელემენტების აღწერის დროს, რაც საჭიროდ მიაჩინდა. ამას
ნიშნა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის.

ასე, მაგალითად, საციციანოს აღწერის დროს ხევდურეთიდან
დამჩერალომდე ამბობს:

„ხოლო დამჩერალოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო
მთამდე, არს ნაყოფიერი ... ტყიანი, ნაძოვან-ფიკოვანი
და ნადირიანი... არს მთა ერჯევნისა, მაღალი და თხემთა
უტყუო, ჭვარების კერძოსა-კენ ტყიანი“ (გვ. 204).

შემდეგ:

„არამედ არს ესე მტკვრის კეობა ვენახიანი, ხილიანი.
ვიწრო და მწირი ... მთანი ნადირიანი, ნაძოვან-ფიკოვანნი.
ირემი, თეთ, არჩევი, და სხვა ნადირი მრავალნი“ (გვ. 276).

ტაბისყურის ნაპირებსაც აღწერს: „ნაპირნი ნაძოვანნი, ტყიან-
ნიო“ და სხვ. „ნაძოვან-ფიკოვანები“ დასავლეთ საქართვე-
ლოს ხეობებისათვის აღნიშნული არ აქვს, იხსენიებს მხოლოდ ტყია-
ნობით. ცხადია, მას ეს ხეობანი რომ ჰქონოდა პირადად ნახული,
უეჭველად მოიხსენიებდა, მცნარეული საფარის აღნიშნისას, „ნაძო-
ვან-ფიკოვანებსაც“ და „ნაძოვანებსაც“.

თუ რა დიდი სილრმით აქვს შესწავლილი ვახუშტის საქართ-
ველოს ბუნების ყოველი ელემენტი, ეს ფრიად თვალნათლივ დაადა-
სტურა თავის კაპიტალურ შრომაში ივ. ჯავახიშვილმა¹. უკანასკ-
ნელმა განიხილა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ დადგენილი კულტუ-
რულ მცნარეთა ზონები და პირველად მოგვცა ლიტერატურაში ვა-
ხუშტი ბატონიშვილის მიერ გამოყოფილი ზონების ანალიზი. ამ ანა-
ლიზის მიხედვით ვახუშტი ბატონიშვილს, კულტურულ მცნარეთა
ზონალობის დასადგენად, ხუთი განსხვავებული ბოტანიკურ-აგრონო-
მიული არის არსებობა აქვს ნაგულისხმევი. ზონის დადგენის საფუ-
ძლოად მოსავლიანობა-ნაყოფიერების პრინციპი აქვს ნაგულისხმევი.
უაღრესად ნაყოფიერად სთვლის ნარინჯ-თურინჯის ზონას და მწი-
რად კი სახავს უენაბ-ხილო ზონას. ამის შედეგად ივ. ჯავახიშვილს,
ვახუშტის შრომის მიხედვით, თავის შრომაში მოხსენებული აქვს
შემდეგი ზონები: 1. ნარინჯ-თურინჯის ზონა, 2. ბრინჯ-ბამბის ზო-
ნა, 3. ვენაბ-ხილიანი, 4. უენაბ-ხილო, 5. ბალაბ-ყვავილოვანი. მან
(ივ. ჯავახიშვილმა) ამის საფუძველზე ბოტანიკურ-აგრონომიული

¹ ვახუშტისეულ ტექსტში ხაზი ყველგან ჩემია, 6. კ.

² ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბი-
ლისი, 1930 წ.

არეების რუკაც შეადგინა. ჩვენი მცხოვანი მკვლევარი მოხსენებული შრომის 296-ე და 297-ე გვერდებზე ეხება, აგრეთვე, ბოტანიკური არეებსაც. მაგრამ, ვინაიდან განხილული საკითხი მის შრომასთან დიდ კაუშირში არ იყო, მარტო რამდენიმე ადგილის აღნიშვნით და-კმაყოფილდა. ამიტომ ამ წერილში დასმულ საკითხს მინდა უფრო ფართოდ შევეხო.

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიაში მცენარეულ საფარს ძა-ლიან დიდი ოლობი აქვს მიკუთვნილი. იგი ყოველი ხეობისათვის აღ-ნიშნავს ზუსტად მცენარეულობის ამა თუ იმ ტიპს იმ განსაზღვრული ტერმინით, რომელიც განსაკუთრებული მცენარეული ცენოზის ამსა-ხველია. მაგალითად: „შამბ-ბალაბ-შროშნიანი“, „შამბ-ბალაბ-ყვავი-ლოვანი“, „ბალაბ-ყვავილოვანი“, „ნაძოვან-ტიჭოვანი“, „ნაძოვანი“, „ქალა-ბალაბ-ჩალიანი“, „ქალა-ქანკრობ-ტალახიანი“, „ბალაბ-ჩალი-ან-ლერწმოვანი“, „ქალანი ჯღარდლოვანი, ეკლიანი“ და სხვ. თუ ხშირად ამაზე შორს არ მიღიოდა, ეს იმიტომ, რომ ის სწერდა გეოგრაფიას და არა საქართველოს მცენა-რეულობას. ეს ტიპები, ხეობათა მიხედვით, ისეთი სიზუსტით აქვს განხილული, რომ შესაძლებელია რუკაზე საესებით ზუსტად გამოი-ხატოს ვახუშტის დროინდელი საქართველოს მცენარეული საფარი.

როგორც აღვნიშნეთ, მცენარეულობის აღწერისას ვახუშტის გარკვეული სისტემა აქვს მიღებული და ერთსა და იმავე ტიპს ყო-ველ მხარეში, სადაც უნდა იყოს იგი, მტკვრის ქვედა თუ ზედა ხეო-ბაში, იორსა თუ ალაზანზე, ერთი და იმავე ტერიტორიით ისხენიებს. ამის მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი ტერმინის განხილვა, სახელ-დობრ ვახუშტის „შამბ-ბალაბ-შროშნიანისა“.

დადგენილია, რომ საქართველოს მცენარეულობაში, მთების შუასარტყელისა ანდა სუბალპური ტყეების დამთავრების ზღვარზე, დამახასიათებელია ე. წ. კოლხეთის სუბალპების მაღალი ბა-ლახეულობა¹, რომელიც დასავლეთ საქართველოს სუბალპური ზონისათვისაა ტიპიური და დამახასიათებელი, ამავე დროს, ორიგი-ნალურიც. ეს ტიპი ხასიათდება მაღალი, ლერონხეშეშიანი მცენარეე-ბით, ისეთით, როგორიც არის დიი (Heracleum mantegazzianum Som. et Lev.), შროშანი (Lilium monodelphum MB), მთის მაჩიტა (Campanula latifolia L.). დეზურა (Aconitum orientale Mill.), კატაბალახა (Valeriana alliariaefolia Mill.), წყალიკრეფია (Aquilegia olympica

¹ ა. ა. გროს სპეიმი, დ. ი. სასნოვსკი, ნ. ა. ტროიცკი—საქართ-ველოს მცენარეულობა, თბილისი, 1927 წ.

ნ. კეტოველი — საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935 წ.

Boiss). Cephalaria procera Fisch. et Lal., კოლხური გვირილა (*Phyt-thrum macrophyllum* Fisch.) და სხვ. მეგარნი.

მცენარეულობის ეს თავისებური ტიპი, კოლხეთის პლატინუმურა ისათვის დამახასიათებელი, გავრცელებულია სუბალპურ ზონაში, უშუალოდ სუბალპური ტყის არეში და მის ზევით, ეკოლოგიურად დაკავშირებულია ნესტიან და ჰუმუსით მდიდარ აღვილსამყოფელთან. რამდენადაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მოვიწევთ, იმდენად იგი ღარიბდება ტიპიური კოლხური მაღალი ბალახეულობის ელემენტებით და ბოლოს, კავკასიონის მთანი ამ ტიპს ან სრულიად ჰერაკლიან ან თუ მაღალი ბალახეულობა გვხვდება, იგი კოლხურ ელემენტებს მოკლებულია იერითაც და სახეობრივი შემადგენლობითაც.

მაღალი ბალახეულობა ჩვენი მცენარეული საფარისათვის ერთ-ერთი ისეთი გეობორტანიკური ხასიათის დეტალია, რომელიც მხარის გეოგრაფიაში შეიძლებოდა არც კი ყოფილიყო მოხსენებული. მაგრამ ვა ხუ შტის ეს დეტალიც კი არ აქვს გამოტოვებული და მას ყოველთვის იხსენიებს, თუ კი იგი დამახასიათებელია საქართველოს ამათუ იმ მხარისათვის.

ამ ტერმინის, სუბალპური მაღალი ბალახეულობის, შესატყვისად ვახუშტი ხმარობს ფრიად მარჯვე ტერმინს „ბალახ-შამბ-შრო შნიანს“. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რა ელემენტები აქვთ ამ ცენოზს, ტერმინიც შესაფერ ცვალებადობას განიცდის.

....და არს ისპირის მთის კერძოთ თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, და მას ზეით სულიად უტყეო, წყაროიან-მდინარიანი ბალახ-შამბ-შრო შნიანი“ (გვ. 126).

შამბ-ბალახ-შრო შნიანით აქვს დახასიათებული სხვა შესაფერისი იდგილი. ამავე დროს არ არის დავიწყებული ამ ტიპის ეკოლოგიური გარემოცვის ერთ-ერთი ფრიად დამახასიათებელი მომენტი — „წყაროიან-მდინარიანობა“.

თუ შესაფერი ზონა აღმოსავლეთშია, მისთვის იხსენიებს უკვე შედარებით გალარიბებულ ტიპს.

...მთა ნიალის-ყურისა... და არს მთა ესე სრულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყვავილიანი და წყაროიანი. ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროს-თავის კერძო მტკვრამდე, ტყიანი, ნადირიან-ფრინველიანი“ (გვ. 102).

„...უოველთა ამათ ალაგებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მესხნი, იგივე ძეელი სახელი სამცხეთოსი... ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროოან-მთიანი, კლდიანი, კუკიანი, ლრატოიანი, ტყიანი შამბ-შრო შნიანი, მდინარიან-

წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ /
ადგილ-ადგილ ცივი და ღიღ-თოვლიანი (გვ. 76).

„და მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი, და
კევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანი, შამბნარი-
ანნი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი“ (გვ. 150).

აქ უკვე შროშნიანობა, როგორც დამახასიათებელი ელემენტი, გა-
მოტოვებულია. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში კი,
ამავე ზონისათვის მითითებული აქვს მხოლოდ „ბალახ-ყვავილოვანი“.
თუ კი, რომელიმე ადგილსამყოფელისათვის დამახასიათებელია მაღალი
ბალახეულობა, მას იხსენიებს მხოლოდ „ბალახ-შამბიანობით“, გამო-
ტოვებულია „შროშნიანობაც“ და „შამბიან-ყვავილოვნიანობაც“.

ამ ტერმინთა ანალიზი და მათი მოხსენება საქართველოს სხვა-
დასხვა ცენტრისათვის გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ თუ რო-
მელ თანამედროვე გეობორტანიურ ტერმინებს შეეთანაბრებიან ვახუ-
შტის მიერ ხმარებული ტერმინები.

შამბ-ბალახ-შროშნიანი — ტიპიური სუბალპების მაღალი ბა-
ლახეულობა.

შამბ-შროშნიანი — გაღარიბებული სუბალპების მაღალი ბალა-
ხეულობა.

შამბ-ბალახიანი — მეორადი მაღალი ბალახეულობა და სრუ-
ლიად გაღარიბებული.

ბალახ-ყვავილოვანი — სუბალპური ტიპის ბალახეულობა.

ყვავილოვანი — ალპური ტიპის ბალახეულობა.

ასევე გარკვევით არის აღნიშნული ტიპები ჭალის ტყისაც. ყო-
ვლთვისაა აღნიშნული თვით ტიპი ჭალის ტყისა, ლერწმოვანია იყი,
ბალახიანი, ჭანვრობიანი, ჩალიანი თუ რანირი.

„და დასღევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-
ჩალიანი, და არიან ნაღირნი და ფრინველნი მრავალნი, და
უშეტეს ჭოჭობნი“ (გვ. 290).

„...არამედ ესე მუხრანი ფრიად შემქული არს, ზამთარ
სითბოთი და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმო-
ვანი, ზაფხულს მშვენი, კეთილ-აგარაქოვანი, ცივნი წყარონი,
ჰავით მშვენი. მოსავალი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-
მარცვალთა, მრავლად ნაყოფიერებს“ (გვ. 218).

„ხოლო მუხრან-მან მოიგო სახელი ესე მუხათა-გან,
სადაც არს ადგილთა ამათ შინა ტყე უშეტეს მუ-
ხანი: განა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის წყლიდამ დიღ-
მის იწრომდე“ (გვ. 208).

არაგვის... ამიერ და იმიერ ჭალანი ჯღარდლოვანი,
ეკლოვანი, ნადირითა, ეშვითა და კონტითა საესე” (გვ. 288). ამის
ოდიშისა-თვეს:

„კეალად ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი მთით ბარა-
მდე, და მცირე-ველოვანი: მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და
წაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭან ჭრო-
ბიანი, და ფრიად წვიმიანი. ამის-გან არს ფრიადი ნოტიობა,
გარნა უვნებელი” (გვ. 404).

და როდესაც ადარებ ჭალის ტყის ტიპებს ამ ტერმინების ში-
ნაარსობრიობას, მართლადაც ზედმიწევნითია.—ვახუშტის ჭალა,—
თანამედროვე გაეგბით, შეეთანაბრება ჩვეულებრივ ჭალის ტიპის
ტყეს, „ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი”—მარცვლოვან ჭალიან ჭალის
ტყეს, „ჭალიან ჯღარდლოვანი და ყვლოვანი”—ეკალლიქიან ჭალის
ტყეს, „ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი”—კოლხეთის ვაკეთა ლიანე-
ბიან ჭალის ტყეებს და სხვ.

ტერმინს ერთხელ რომ განმარტავს, რასაც ის იშვიათად მი-
მართავს, შემდეგ მას ალარ უბრუნდება.

„და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე
რომელი დავსწერეთ, თვინიერ ბრინჯისა. პირ-ტყევნი მძო-
გარ არიან ზამთარ ზაფხულს... ვენაჯნი დაბლარნი არიან მრავ-
ლად, ხილნი მრავალნი, ტყეთა შინაცა: ტყენი აყრილნი,
და უწოდებენ ეწერს, და ეწერნი არიან არგვეთს, საჩხეი-
ძოს და საჩიჯავაძოსა შინაცა (გვ. 390).

შემდეგში უკვე, სადაც ამ ტყის ტიპი მხედება, აღნიშნული
აქვს ტყე—„ეწერით“.

მცენარეულ საფარს, როგორც ბუნებრივ საწარმოო ძალას, .
უყურადლებოდ არა სტოვებს და ყოველთვის აღნიშნავს მის მნიშვ-
ნელობას. ამისი მაგალითი მრავალი გვაქვს. ველების აღწერის დროს
უეპელად იტყვის ზამთრის საძოვარია იგი თუ ზაფხულისა. ნასპარ-
სევის მინდორი „არს უწყლობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალა-
ხიანი და იზრდებიან ცხოვართა და ჯოვთა სიმრავლე“ (გვ. 216).

„მინდორი აღაინისა, უწყლო, უნაყოფო, განა ბალახიანი, და
ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოვთა“ (გვ. 216).

გარეჯის უდაბნოს შესახებ ვკითხულობთ: „განა არს ბალახიანი
ზამთარს, და გამოისრდებიან სიმრავლე არვეთა, მრაწლეთა, ჯოვ-
თა, რემათა, იმიერ და ამიერ“ (გვ. 288). თუ მაინცადამაინც სა-
ძოვრად არ გამოიყენება, სხვა გამოყენებითი მხარე მაინც არ არის
უგულებელყოფილი.

„ალაზნის ველი... და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალა-
ხიანი, მცირე-თოველიანი, ნადირ-ფრინველიანი, პავით უკავშირებული
ხოლო ზაფხულის ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი“ (გვ. 290).

„იალლუჯის მთა უტყეო და უწყლო, და საღაცა სდის
წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლაშე: არამედ არს ფრიად ბა-
ლაბოეანი, ზამთარ-ზაფხულს სულ მოუკლებელი, რომელსა ზედა
იზრდებიან არვენი, მროშლენი, ჯოგნი და აქლემნი (გვ. 174).

არც მთის საძოვარნია დატოვებული უყურადლებოდ. ხალხის
საქმიანობასაც ბევრჯერ ბუნებრივი პირობებითაც განსაზღვრავს.

„არამედ კახეთის თუში ინახავენ ცხოვარია სიმრავლესა,
ვინათ-გან აქტო ზაფხულს თვისეთა მთათა შინა საძოვარი და
ზამთარს ჩამოვლენ გალმა-მქარსა შინა“ (გვ. 328).

ტყეები დანაწილებულია გამოყენების შესაძლებლობის მიხედ-
ვით რამდენიმე ტიპად: უხილო-უნადირო, ხილიანი, ნადირიანი, ხი-
ლიან-ნადირიანი. ამავე დროს ეს ტერმინები განკუთვნილი აქვს გან-
საზღვრული ხეობებისათვის.

„არგვეთი ფრიად ჩაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა,
არამედ ბრინჯეს არა სთესენ. ხილი ტყეთა შინაცა მრა-
ვალნი“ (გვ. 386).

„ხოლო პანკისის წეობის სამჯრით ვიღრე ქისიყის სამ-
ზღვრამდე უწოდებენ შიგნით-კახეთს... და არს ადგილი
ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, განა ტყე უმეტეს
ხილიანი, მცირე-წყლიან-მდინარიანი, ვენახოვანი, ხილი-
ანი, ლვინო კეთილი და კარგი“ (გვ. 322).

„ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩდილოდან სამხრით
კავკასიიდამ ლადომდე: და არს ტყიან-ნადირიან - ფრინველი-
ანი“ (გვ. 338).

„ხოლო სარკინეთი არს მცხეთის დასავლით... არამედ მთა
ესე არს ტყიანი, ლელე-ლრატოიანი, უწყლო, ნადირიანი,
თვინიერ ირმისა ყოველზი“ (გვ. 212).

„ამას ზეით, ბოეთანს, ერთვის ალაზანს ბელაქნის წყა-
ლი. ამ წყალსა და გიშის წყალს შორისი, ალაზანმდე და კა-
კასამდე, არს ელისენი, არამედ აშ ქურმუხს აქეთი, და არს
ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-
ხილითა, რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა: ნა-
დირნი, პირუტყვნი, ფრინველი მრავეალი. აბრეშუმი, ბრინჯი,
ბამბა მრავლად. განა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს. არა-
მედ მთის კურძნი კეთილ-აგარაკოვანნი და მშვენი: ხოლო ზამ-
თარს კეთილ-ჰავვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო “(გვ. 306).

გამოქვეთს რა მცენარეულ ზონებს, არავითარ შემთხვევაში კო-
ივიწყებს საქართველოს ბუნებრივ პირობათა თავისებურებაში უზარდა
მთა და ბარი საქართველოში „ახლორებს ფრიგლი მართა
საღაც ეს მოვლენა მკეთრია, უძველეს აღნიშნავს:

„და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორ-
ჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი... და კლდოვან-ლრატო-ლრილოვა-
ნებისა მიერ, და მაღალთა მთათა-გან. რამეთუ მთა-ბარი ახ-
ლორებს ესრეთ, ფამისა ანუ ნახევარ ჭამისა სავალ-
თა არს თოვლი, და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი და ყოველნი ნაყოფნი“ (გვ. 72).

„არამედ არს ქობა ესე ვენაჯოვან-ჯილიანი, ვიწრო და კლდიანი, და მოსავლიანი, რა-ოდენიცა მიწანი იქვნიან, პირ-
უტყვიან-ნაღირიანი. მთა-ბარნი ახლორებენ ფრიად“ (ფორ-
ჩხის ხეობისათვს, გვ. 110).

3.

განიხილავს რა საქართველოს ბუნებრივ პირობებს და, მასთან
დაკავშირებით, მცენარეულ საფარს, დიდ ყურადღებას აქვევს ამ
მცენარეულობის ზონალურ განაწილებას. ხშირად შეიძლება ამოვი-
კითხოთ მის შრომაში: „კალთა ტყიანი, თხემნი უტყეო ბალახიანი,
მწვერვალი ყინვარით შეკვერცხილინი“. ამ შრომის ყურადღებით გა-
დაითვალიერების შედეგად ნათლად ისახება გარევეული ზონები, რო-
მელნიც ქვემოთ მოყვანილ სქემაში თავისუფლად მაცევიან. აქვე უნ-
და აღინიშნოს, რომ „ვაკენი და დაბლობნი აღმოსავლეთ და დასაე-
ლეთ საქართველოსი, ამ შრომის მიხედვით, ურთიერთისაგან მკეთ-
რად განსხვავდებიან. აი ეს სქემაც:

I. დასავლეთ საქართველოს ვაკეთათვის

1. ჭაობიანი—ჭაობნი
2. მდინარის პირის ჭაობიანი ტყები — ჭალანი ბარდოვან-ტალახ-
კანჭრობიანი
3. ვაკეთა ლიანებიანი ტყე—ტყე ბარდოვანი
4. ვაკეთა ტყები, ჭაობის მარცვლოვანი
· მცენარეებით—ჭალანი ჩალიან-ლერწმოვანი
5. ვაკეთა ტყები—ეწერი.

II. აღმოსავლეთ საქართველოს ვაკეთათვის

1. მარცვლოვანი ველები—ველი ბალახოვანი
2. მლაშნართა მცენარეულობა—ველი მლაშე წყაროიანი



3. ჯაგ-ექლიანი ეელი—ძეძვიანი
 4. ნათელი ტყის ნაშთი—ძეძვიან-თუთუბოიანი
 5. ტუგაის ტყე, ჭალის ტყე—ჭალა
 6. ლიანებიანი ჭალის ტყე—ჭალანი ჯლარდლოვანი, ექლოვანი
 7. ვაკეთა ტყეები—ვაკეთა ტყეები
 8. ვაკეთა მუხნარები—მუხნარები.

III. მთიანი მხარისათვის

როგორც ამ სქემიდან ირკვევა, ვახუშტი თავის აღწერაში იხსენიებს მცენარეული ცენოზების 5 ძირითად ტიპს, რაც ასეთი შრომისათვის მეტისმეტად დიდ რაოდენობას წარმოადგენს და შე-დეგია მცენარეული საფარის ლრმა ცოდნისა. თუ ზონების მიხედ-ვით გადავავლებთ თვალს, მაშინაც დავინახავთ რომ ეს რიცხვი საქართვისად დიდია. ეს ზონებია: 1. დაბლობთა ტყეები, 2. ვაკეთა ტყეები, 3. ჭალის ტყეები, 4. ველები, 5. ძეგვიანები, 6. კალთათა ტყეები, 7. სუბალპების ტყეები, 8. ალპების ბალახეულობა, 9. თოვ-ლისა და ყინვარის ზონა. ყოველ ამ ზონაში კიდევ შეიძლება დაისა-ხოს ქვეზონებიც კი, თუნდაც, მაგალითად, ატენის ხეობისათვის მო-ხსენებული ტკე „ტყენი კოწახურიანი“. იგი მოების შეისარტყლის ტყეებს შეეთანაბრება, მაგრამ მათგან განსხვავდება კოწახურიანო-

ბით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ხეობა არის „ფიტჩო და ზავარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ“ (გვ. 2005 წლის გენერაციული 4.

განვიხილოთ რამდენიმე ტიპი უფრო დაწვრილებით. როგორც უკვე იყო ოღნიშნული, სანამ ცალკეულ ადგილთა დახასიათებაზე გადავიდოდეს, იგი ჩვეულებრივად მთელი მხარის დახასიათებას იძლევა. ამ დახასიათებაში ეხება ბუნებრივ პირობათა მთელს კომპლექსს, რომლის კლასიკურ ნიმუშს უკვე ჩვენთვის ცნობილი ოდიშის აღწერა წარმოადგენს.

გარდა ამისა, არა ნაკლები ყურადღების ლირსნი არიან აღწერანი გურიისა, იმერეთისა და სხვა ადგილთა:

„ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვამდე, და განი ჭოროხილამ რიონამდე: ჰავით არს კეთილი და მშვენი, ზაფხულის ცხელი, წვიმიანი, სოველი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდ-თოვლიანი ვითარ ცა იმერეთი, და უყივნო. მთა-გორიანი, ტყიანი, აგარაკიანი და მცირეველვანი: ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. კვალად აბრეშუმი, ბანბა არ ეგდენ: ცხოვარნი მცირედ. სხვა პირ-უტყვნი, თვანიერ აქლემისა, ჯოვალ, მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოთ: ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი: და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის-ხილი, ბროწეული მრავალი, და ზღვის კიდე-საცა. ვენავნი მალლარნი, ლვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად“ (გვ. 418).

არა ნაკლებ სრულია აღწერა იმერეთისა:

„და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი. რამეთუ იშვით არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ საკვნელთაგან: არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიანი, ვენახიანი, ჰავითა კეთილ-მშვენი: განა ტყის გამო, ზაფხულს, იმყოფის სიცხე... თვალთა ქვეშე შევნიერება ეგოდენ არა სჩენარობს ტყის-გამო თვინიერ ადგილ-ადგილთა... რამეთუ უკათუ დახედო მალლის მთიდამ იხილავ სულიადს იმერეთს ტყედ, და არა-სადა შენობასა“ (გვ. 338).

ამ აღწერილობაში მოჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ვაკე მთლიანი ტყით ყოფილი დატარული. ამ მთლიანი ლანდშაფტის აღწერის შემდგომ იძლევა ცალკეულ ადგილთა აღწერას და აღნიშნული აქვს ტყეთა ოთხი ძირითადი ტიპი: „ბარდოვან-ტალახ-კანჭრობიანი“, „ბარდოვანი ტყები“, „კალანი ჩალიან-ლერწმოვანი“ და „ეწერი“.



„ქვალად ქვეყანა ესე (ოდიში) არს ფრიად ტუკიანი მთით
ბარამდე, და მცირე-ველოვანი: მდინარეთა კიდენი ქალაქების
და ვაკეთა აყრილი ეწერნი, ბარლოვან-ტალახ-ჭან ჭრო-
ბიანი, და ფრიად წვიმიანი. ამის-გან არს ფრიადი ნოტიობა
გარნა უვნებელი“ (გვ. 404).

ამ აღწერილობის მიხედვით ნათლად ისახება თვალწინ მე-17
საუკუნის დასასრულისა და მე-18 საუკუნის დასაწყისის როონის ხეო-
ბის საერთო ლანდშაფტი; დიდი დაკვირვება არაა საქირო იმისათ-
ვის, რომ დავინახოთ იმ დროის შემდგომ მომხდარი ცვალებადობა.

ასევე იქცევა ოლმოსავლეთ საქართველოს ვაკეთა მიმართ. ჯერ
აღწერს რა მთლიან მხარეს, შემდეგ აღწერილობას აზუსტებს ყო-
ველი კონკრეტული რაიონის შესახებ და უძველელად ალნიშნავს მისთ-
ვის დამახასიათებელი მცენარეულობის ტიპებს.

ოლმოსავლეთ საქართველოს ვაკეთა აღწერილობის დროს დიდ
ყურადღებას აქცევს ველთა ტიპებს. ველებს შორის გარჩეული აქვს
რამდენიმე ტიპი, სახელდობრ: ველი ბალახოვანი, ველი მლაშნარი,
ველი ძეგვიანი, ველი ბუჩქოვან-თუთუბოვანი და სხვ. გარდა ამისა,
ჰავის მიხედვით უძველელად ალნიშნავს სამი ტიპის ველს:

„ზამთარი მცირე თოვლიანი, თბილი, ზაფხული ცხელი, ხაშ-
მიანი გაუძლისი“.

„ზამთარი თბილი, ზაფხული ცხელი“.

„ზამთარი ცივი, ზაფხული ცხელი“.

„ზამთარი თბილი, მცირე თოვლიანი ზაფხული ცხელი, ხაშმი-
ანი, გაუძლისი“ მიკუთხნებული აქვს ელდარ-შირაქისათვის, უდაბ-
ნოსა და მის მიღება ველთათვის, ე. ი. ისე აქვს დახასიათებული,
რომ ზაფხულს მუშაობა ძნელია და სახიფათო.

„ზამთარი თბილი და ზაფხული ცხელი“, მაგრამ არა ხაშმიანი—
მტკვრის მარჯვენა მხარისათვის, თბილის ქვეებით.

ცივზამთრიანობით კი, მისი აღწერილობით, ხასიათდებიან ველ-
ნი ქართლისა, თბილის ზევით. მიკრორელიეფის მიხედვით სხვადა-
სხვა ადგილისათვის იხსნიებს თბილ ზამთარსაც. ამ დაყოფაში შე-
სწორებას ვერც ახლა შევიტანთ.

ამ დებულებათა დასტურად მოვიყვანთ შემდეგ ადგილებს:

„საყალტუნის დასავლით არს იალლუჯის მთა, უტ-
ყეო და უწყლო, და საღაცა სდის წყარო მცირე, იგი-
ცა მწარე და მლაშე: არამედ არს ფრიად ბალახოვა-
ნი, ზამთარ-ზაფხულს სულ მოუკლებელი, რომელსა-
ზედა იზრდებიან არვენი, მროწლენი, ჯოგნი და



აქლემნი: იპოვების მგზავრის იამანის ქვისა და მუხრანის
და მცირე, მრავალ-ფერნი: აქა არს ბალ-ჭიჭიკე-კუნი
ლია, რომლის ძირს დასწევენ, და ნაცრითა მისი-
თა აღულებენ საპონს უმჯობესსა, კვალად ხმა-
რობენ სხევა-ფერცა: ამის მთის დასაელით, ხოშაგერმას
იქით, არს ობის-ციხე, ველსა ზედა, და შემუსრეილი... ამ ტბის
დასავლით არს კუმისი დაბა დიღი, ვენახოვანი, ლევიანი,
ბროწეულიანი, ხილიანი: ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველ-
ნი თესლნი, ბრინჯ-ბანბას გარდა კანაფი უმუშაკოთ სცენდე-
ბის... მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა და აწ სონლა-
ლული წოდვილი, ნაყოფიერი ყოვლითავე (გვ. 174—176). ხო-
ლო იორს არა რა ვითარი მდინარე ერთვის, ანუ ჟევი საგა-
რეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი, და არს
ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე
თოვლიანი, ნაღირ-ფრინვლიანი, ჰავითა მშვენი, ხო-
ლო ზაფხულის ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი": (გვ. 290).

ერთგვარად ასხვავებს, და სამართლიანადაც, ველებს, რომელ-
ნიც ქართლს მდებარეობენ. ამ ველებისათვის „ზამთარი
თბილი“ უკვე აღარ აქვს მოხსენებული. მაგრამ მიკრორელიეფის
მიხედვით, სადაც შედარებით თბილი ზამთარი იცის, მას მაინც
აღნიშნავს გავრით.

„კვალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და
კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლოობით უნა-
ყოფო, უფლის-ციხემდე, არამედ ზამთარს ბალა-
ხიანი, და იზრდების ცხოვართა რემათა და მროწლეთა სიმ-
რავლე, და თბილი ზამთარ“ (გვ. 244).

სხვა ადგილთათვის კი აღნიშნავს მხოლოდ:

„...მინდორი აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო,
განა ბალახიანი, და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და
ჯოვთა“ (გვ. 216).

„არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი, და მას ზეით
მთებრი: სამჯრით არს ველი დიდი დილმისა, უნაყო-
ფო არამედ ბალახოვანი და ზამთარს იზრდების
ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი“ (გვ. 194).

რასაკვირველია უყურადღებოდ არ არის დატოვებული ძეძვია-
ნებისა, ველის ბუჩქნართა და ნათელი ტყეების ზონა და მათი და-
ხასიათება.



„ნაგების აღმოსავლით და სამხრით არს კელი ჭურჭულება
ყარაიისა, სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირშემტენაზეავა
ფენი წლითი-წლად: ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი,
სავსე ეშვითა, შშელითა, დათვითა, მელითა და წერილის ნა-
დირითა. ირემი იმყოფის უამად და კოჯობნი მრავალნი: გარე-
ჯის მთას არს მონასტერინი კლდესა შინა გამოკვეთილნი, სე-
ნაუნი, ტრაპეზნი, პალატნი. ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი
(გვირაბნი, ნ. კ.)... არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ
წვიმისა-გან, კლდის ჭათა შინა, და სმენ მას. არა არს ტყე;
არამედ ძეძვი, მით ხარშვენ და აცხობენ... ყარაიის
ჭალას ქვეით მტკვრის კიდეს, ესახლნენ ელნი დემურჩი-ახალ-
ნუ, სავსენი პირ-უტყვითა: რამეთუ ზამთარ სითბოთი, და ტყი-
თა და ბალახითა მოუკლებელი არს ადგილი ესე, და პირ-უტყ-
ვენი მათი დეგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა: რამეთუ რა-ოდენნე
წყარონი სდიან მთასა-მას მლაშენი არიან და პირ-უტყვ-
თა ზემრგონი: არს მთასა ამას ზედა თუთუბო, კაპარი,
მრავალი: ხოლო რა-ოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს
ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა, და ზაფხულს აღვლენან
ყაიყულისა და პალაკაციის მთასა ზედა“ (გვ. 180—182).

„...კუხეთის მთას: მდებარებს მთა ესე ვითარცა მდინარე
იორისა და არს უტყეო, თვინიერ ძეძუთა, და თუ-
თუბოთა და ეგეთთა სხევათა მრავალთა: არა სდის
მდინარე, და იმეით წყარო-ტბანი. არამედ თუ საღმე, არს
მლაშენი და მწარენი. განა არს ბალახიანი ზამთარს, და გა-
მოიხრდებიან სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოვთა, რემათა,
იმიერ და ამიერ. განა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები: ხო-
ლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნა-
ყოფიერი, ყინათ-გან აღმოვლენან რუნი და ირწყებიან კელნი,
და სცენდებიან ყოველნი მარცეალნი. და დასდევს იორის მცი-
რე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნა-
დირნი და ფრინველნი მრავალნი, და უმეტეს კოჯობნი
(გვ. 288—290).

ამ აღწერაში მთლიანი სურათია მოცემული ჩეენი მდინარის:
პირის მიღვმა ვაკეთა და ზეგანთა კელებისა.

უგულებელყოფილი არ არის ვაკეთა ტყეები. აღწერილია მუხ-
რანისა და მდ. ქსნის პირის მუხნარები და სხვანი. ამ აღწერილო-
ბიდან ჩანს, რომ ვაკეთა ტყეებს საქმაოდ დიდი ადგილი ეჭირათ,

მაგრამ შენელ-მთესველთა ზეგავლენით მრავალი მათგანი მოიხსოვდა ნატყევარნი გამოყენებულია ან სახნავად ან საძოვრად უკორესებით

„ხოლო კვალად გორის დასავლით არის მთა რუისისა, ტინის-ხიდით, თედო-წმიდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილს ტყიანი, საჯნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად. უწყლო, და ადგილ-ადგილ დის წყარონი. მცირენი. მტკვრის პირად ლრატოიან-ქლიანი“ (გვ. 258).

„და ეწოდების მთა წლევისა, მერმე კვერნაქი; არს ამ მთისა ჩრდილოთ კერძო ტყიანი ვიდრე ზეგანამდე. მას ზეით კვერნაქი, უტყეო გორიამდე, და სამჯრით კერძი სულიად უტყეო განა ბალახიანი ზამთარცა, და თბილი“ (გვ. 240).

აღმოსავლეთ საქართველოს ჭალის ტყეებში გარჩეული აქვს მრავალი ტიპიური ასოციაცია: „ჭალა“, „ჭალა ბალახიანი“, „ჭალა ჩალიანი“, „ჭალა ჩალიან-ლერწმოვანი“, „ჭალა ჯღარდლოვან-ეკლოვანი“, „ჭაობნი ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი“ (გვ. 218).

„არაგვი... გამოსდის მაღრან-დევალეთის ქოლოს კავკასიის მთიდამ და ციკარიდამ დის აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა ვიდრე გუდამყრის კვეამდე და მუნიდამ სამხრით და მტკვრამდე. ამიერ და იმიერ ჭალანი ჯღარდლოვანი, ეკლოვანი, ნადირითა, ეშეითა და კოჯბითა სავსე (გვ. 214).

„და დასდევს იორს მცირე ჭალა ცა და ლერწმოვან-ჩალიანი და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი, უმეტეს კონკრეტული“ (გვ. 290).

„მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა და აწ სონღალული წოდვილი“ (გვ. 176).

„ნაგების აღმოსავლით... მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი (გვ. 180).

მთის შუა სარტყლის ტყეებისათვის ნახმარი აქვს ჩვეულებრივად „ჭალთა ტყიანიო“. ეს აუცილებლად აქვს აღნიშნული ყოველი მთისათვის, სადაც კი ტყე არის და არავითარ შემთხვევაში არ იყო ტყეებს მას. კალთის ტყეები ისე არ აქვს დაშსტებული, როგორც სხვა ტიპები და მასში მხოლოდ „ნაძოვან-ფიტვიანებს“ და „ნაძოვანებს“ ასახელებს, ხოლო თვით კალთათა ტყეებში ჩვეულებრივად სამ ტიპს გამომჰყოფს:

- ა) უწყლოსა და მშრალს, რომლებიც წყაროთი ლარიბნი არიან
- ბ) ჩვეულებრივს, სადაც ტყე, ასე ვთქვათ, მეზოფილურ პირობებში იმყოფება და
- გ) წყლითა და წყაროებით მღიდარს ტყეებს.

როგორც ჩანს, ამ ეკოლოგიურ პირობებს იგი დიდ ყურადღებას აქცივდა, რადგან ამ მომენტთა აღნიშენას არაოდეს რეგულირებულ და მართლადაც, ჩვენს ტყეთა დასახასიათებლად ყველა ესენი ფრიად მნიშვნელოვანი არიან. ჩვენი მცენარეები საფარის შესწავლის დღევანდელი დონე სავსებით ემთხვევა ამ დაყოფასაც.

„არამედ მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ლრატოიანი, უწყლო, ნადირიანი, თვინიერ ირმისა ყოველზ“ (გვ. 212).

„ხოლო ზედაძნის მთას უძეს სამჯრით გრდანი, და ჩდილოთ ხერქი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი, მცირე წყლიან მდინარიანი“ (გვ. 300).

„უძეს იორის-კენ სახენელნი ველნი, და უკან მთა ტყიანი, უწყლო... ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისა-თვის შემჭირნობს, თვინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინათ-ვან არა აქტუს მთას მდინარე, ვერა რით რწყვენ ველთა“ (გვ. 290).

ჩვეულებრივ ტყეებს აღნიშნავს ამგვარად:

„აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყების ჩდილოთ-კენ მშელებამდე“ (გვ. 252).

„კვალად სერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩდილოთ“... „ხოლო პატარა-ჯავასა და ხწვეს შეა არს მთა ტყიანი დვალთ გორიდამ ფაწამდე სამჯრით მდებარე“ (გვ. 256).

წყლიან-წყაროიანი ტყეები კი მისი აღწერილობით ასეთი ტიპისაა:

„ხოლო მის აღმოსავლით არს გაღმა-მხარი... და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა, და უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყაროთი მდინარითა, ტყითა, ველითა“ (გვ. 322).

როგორც აღნიშნეთ, კალთათა ტყეები მას ეკოლოგიურ პირობათა მიხედვით აქვს გამოყოფილი და ჯიშობრივ დაყოფას იშვიათად იძლევა:

„ხოლო მუხრან-მან მოიგო სახელი ესე მუხათა-ვან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი“ (გვ. 208).

„ხოლო დამჩხერალოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი... ტყიანი, ნაძოვან-ფიჭოვანი და ნადირიანი: ...არს მთა ერჯევნისა, მაღალი და თხემთა უტყეო, კვარების კერძოსა-კენ ტყიანი“ (გვ. 204).

„არამედ არს ესე მტკვრის კეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწოდა მწირი... მთანი ნადირიანნი, ნაძოვან-ფიჭურის ირემი, თქა, არჩევ და სხვა ნადირი მრავალნი (გვ. 276).

„ტბა ტბისყურისა არს წყალი ანჯარი, სასმელად ტკბილი და შემრგვ, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვევილიანი, წყაროიანი და კალმაბითა სავსე დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა“ (გვ. 162).

შეიძლებოდა ამ მთის ტყეთა დაყოფა ხილიანობით და ნადირ-ფრინველიანობითაც, რომელსაც ის ფრიად დიდ ყურადღებას აქცევს.

მთიანი ქვეყნების მიმართაც ისევე იქცევა, როგორც საერთოდ ყველა მხრისადმი. ჯერ საერთო დახასიათებას იძლევა, ხოლო შემდეგ — ცალკე ხეობებისათვის ცალკე ტიპთა აღწერილობასაც. აი ერთ-ერთი ნიმუში:

„ოვეთში მარცვალნი ნაყოფიერებენ თეინიერ ხორბლისა, ქრთილისა, და შერივისა, სიცივისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოღვომისა-თვის. განა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკეთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყვდებიან ძლიერად: კვალად არა-რაი მოვალს, და უწყვიან მტილისანი ანუ წალკოტნი განა ხილნი და ვიეთთამე ადგილთა იპოების კოწახური, კლდის მერსენი, უელი და ასკილი (გვ. 430).

ამავე დროს ამ ტიპთა გამოყენებასაც არ სტოებს უყურადღებოდ და საკმაოდ ვრცლად ეხება ჰყელგან, სადაც ამას მნიშვნელობა აქვს.

„ხოლო ტბა ფანაერისა არს დიდი და თევზით საესე, არამედ არა გემოიანი. რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისისა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდნარისა-გან თოვლისა შესდის ტბასა-მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა (გვ. 162).

ამა თუ იმ მხარის აღწერის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ზურტაკეტის აღწერა, რომელიც ვრცლად უნდა მოვიყვანოთ. აქ მთლიანად და ზუსტად არის დახასიათებული მთელი მხარის მცენარეული საფარი:

„არამედ ლეკუნის მთის ჩდილოთ კერძს არს მდინარე ზურტაკეტისა. გამოსდის შანბიანის მთას, და მიერთვის ქციის მდინარეს: ხოლო განჭყოფს კეობასა ამას. აღმოსავლით, ქციის

ხრაში. სამხრით, მთა ლუკუნისა. ჩდილოთ, მთა კვირი ჭირის, და დასავლით მთა შანბიანისა: არამედ მთასა ამჟაჲ შენიანა ბიანი ეწოდების, შამბ-ბალახ სიმაღლისა-გან. რა-მეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების: არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი. ჩდილოდამ სამხრით მდებარებს, მარადის არს თოვლი, განა ყვავილებითა მრავალ-ფერ-შევენერითა და მფშვენითა და წყა-როთა შემჯული არს. უტყეო, განა წევთა არყნალნი: აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისა-გან აღშენებული ზამთარ მოგზაურთა-თვის: ხოლო სხვა არს წევი ფუნდუკისა, სხვა შანბიანისა, სხვა არყნალისა: არყნალ-შანბიან-წევს შუა არს წყარო შევნიერი, რომელი მარმარილოთი ალაშენა 94 მეფე-მან ვახტანგ: ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე, ჯოგ-ჯოგად და ხროთ, და სხვა-თა ნადირთაც: მოინადირა 94 მეფე-მან ვახტანგ, და მოკლეს დღესა ერთსა ას ოთხ-მოცი: ხოლო არს დაბა ველსა ზე-და ყარაბულახი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინა-რენი სავსე კალმახითა. არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი, და ჩდილოსი თეთრი. და უკეთუ ჩასვა ჩდილოსი სამხრით, გაშვედების, და სამხრეთისა ჩდილოთ ჩასხმული განსპერტაკდე-ბის. და ამის სამხრით არს ციხე მაღალი, კლდის ზლუდით მოზღვილი, წოდებული მუსის-ყალა ციხე. შიგან სდის წყა-რო, და ზურტაკეტა ამას ქვეით დის ჩდილოთ აღმოსავლეთს შუა: ხოლო ამას ეწოდა რაღაბრავანი: და ყარაბულახს ქვეით ზურდაკეტას ერთვის საფიქლის-წევი. გამოსდის ქარვასლის-წევსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას: შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის-წევი: აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცი-რე ქალაქი: ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი თვინიერ კალ-მახისა, და იგი მრავალი: კვირიკეტის მთას უწოდებენ ეკლესი-ისა-თვის რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმინდის კურიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არა არს კურიკესა ამას შინა ვენახნი, ხილნი, თვინიერ მთის ხილთა-გან კიდე, და ნაყოფითაცა ეგრეთვე ვითარცა სხვანი შირია ადგილნი”... (გვ. 154—156).

როგორც აღვნიშნეთ, მაღალ მთებშიაც აქვს გამოყოფილი მცე-ნარეულობის რამდენიმე ტიპი და სარტყელი.

არყნალები:

„ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი,



მოსაელით კითარუა ჯავახები, და მთანიცა უტყეონჭარმული რე არყნალთა-გან კიდე“ (გვ. 106).

„ხოლო ქვეყანა ეს არს... არა არს აქა ტყე მცირეთა-გან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი: განა მდინარეთა კიდეთა და ლელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე სიცივისა და კლდოვანობის გამო, ვერ იზრდების“ (გვ. 430).

თუ მთის ტყეებში გამოერია ისეთი მცენარე, რომელიც ჩვეულებრივ მასში არ გვხვდება, არც ეს მომენტი რჩება აღუნიშვნელი:

....რაზმითის მთისა, და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო... ბობნავს ზეით ერთვის ტანას ლუის-ერვი... პეობა ეს არს ეენახოვანი, ხილიანი, მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ“ (გვ. 200).

აქ ძალიან საინტერესო მომენტია აღნიშნული—ტყე ქსეროფი-ტული ტიპის მცენარეებით გამდიდრებული. ამას ადასტურებს არა მარტო ამ ტიპის მცენარის აღნიშვნით, არამედ კლიმატის ელემენტ-საც იხსენიებს „ხეობა... ცხელიო“.

ბალახოვან ალპებში, როგორც აღვნიშეთ, იგი არჩევს მაღალ ბალახეულობას, რომელსაც „შამბ-ბალახ-შროშნიანს“ უწოდებს და ასხვავებს მას „შამბ-ბალახიანებისაგან“ და „ბალახ-ყვავილოვანი-სა-გან“.

„შამბ-ბალახ-შროშნიანები გავრცელებულია დასაელეთ საქართველოს მთიან მხარეში და იგი შეეთანაბრება ე. წ. კოლხეთის სუბალპების მაღალბალახეულობას.

....და არს ისპირის მთის კერძოთ, თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, და მას ზეით სულიად უტყეო, წყაროიან-მდინარიანი, ბალახ-შამბ-შროშნიანი“ (გვ. 126).

საინტერესო დეტალია ვახუშტის მიერ აღნიშნული კოლას მხარის აღწერის დროს. როდესაც ყარსის მთას აღწერს, აღნიშნავს:

„...და არს მთა ეს მცირე ტყიანი და არს ბალახ-შამბ-ყვავილოვანი, წყაროიან-ნადირიანი“ (გვ. 106).

და მართლაც ასეა, მთა ყარსისა შედარებით სამხრეთით მდებარეობს და მოკლებულია მაღალ ბალახეულობას, მაგრამ არსიანის მთა, რომელიც ყარსის მთასთან შედარებით უფრო ჩრდილო-დასაფლეთითაა და ამიტომ მეტად განიცდის შევი ზღვის ანაორთქლის, კოლხეთის ელემენტების გავლენას, კოლხური სუბალპების მაღალ

ბალახეულობას მოკლებული არ არის და ეს არც ჩვენს მეცნიერებას აქვს შეუნიშვნელი.

„დასავლით მზღვის კოლას არსიანის მთა... და არს მთა ესე მაღალი და მცირე-ტყიანი, წყაროიან-ბალახ-შემბ-შრო შნიანი, და ზაფხულის ფრიად შვენიერი“ (გვ. 106).

სამაგიეროდ, რამდენადაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოეიწევთ, იმდენად ეს მაღალი ბალახეულობა ღარიბდება, „შროშ-ნიანობა“ ეკარგება, რასაც სინამდევილეშიაც აქვს ადგილი; სუბალ-პების ბალახეულობა თუ გვაქვს აღმოსავლეთსა ან სამხრეთში, კოლ-ხურ იერსა და ელემენტებს მოკლებულია.

„და მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი, და კევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვან-ნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი: აქა არს ყვავილი სუბტული, ფერით სპეტაკი, მგზავი ნარისა და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი ვითარცა ამბარი და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი: 94 მეფე-მან ვახტანგ მოილო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“ (გვ. 150).

„...და დასავლით არტანუჯი და ფანასკეტი. და არს მთა ესე, არსიანსა-ეით, არამედ უმეტესად უტყეო: ხოლო და-სავლით მზღვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა ...და არს ესეცა თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი წყარო-მდინა-რიანი, შამბ-ყვავილიანი, ნალირ-ფრინვლიანი“ (გვ. 94-96).

ალბური და სუბალბური ზონა მას აღწერილი აქვს თავისებუ-რი ლაქონიურობით: „კალთა ტყიანი, თხემთა უტყეო“. სუბალბური ბალახეული ზონისათვის უფრო ხშირად ხმარობს „ყვავილოვანი“ და „ბალახოვანი“, ან მთანი შემკვბილნი „ყვავილითა და ბალახითა“.

„და არს მაღრან-დვალეთი სამ კეობა, მოსავლის ვითარცა ამ მჯრის მთის ადგილი დავსწერეთ: მსახლობელი არიან ოს-ნი. ხოლო კსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მა-გარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემქობილნი ყვავილითა და ბალახითა“ (გვ. 238).

„ამას ქვეით მთა გომბორი იწოდა უმაღლესობისა-თვის, და ამას ქვეით მთა ციიისა კარდანების კევამდე არს: ეინათ-გან აქტეს აქათ და იქათ ცხელნი ადგილი. და მთა ესე არს მაღალი, აგარაკოვანი, ბალახოვან-ყვავილიანი, და წყა-რიანი გრილი ფრიად“ (გვ. 316—318).

„განა სახელი იწოდა თიანეთს... არამედ არიან ორნივე მთანი უკენახონი, უხილონი, განა ნაყოფიერი, პირ-უტყვიანი,

ნადირიანი, ბალახოვან-ყვავილოვანი, წყაროიანი, ვი-
თარცა თრიალეთი” (გვ. 296).

დასასრულ, უკანასკნელ ზონასაც, თოვლყინულიანსაც ენება და .
მასში გარკვევით ორი ქვეზონა აქვს გარჩეული: თოვლიანი და ყი-
ნულიანი. ამავე დროს ყველგან, სადაც კი თოვლ-ყინულიანი ზონაა,
უიპელად აღნიშნავს:

„ხოლო ქვეი ბანბაკისა არს მთებრი და შშვენიერი, ნა-
ყოფიერი. ნაყოფიერებს ხეარბალნი, ქრთილნი, სელი, შერივა,
სხვა არა-რაი: ...სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი
არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და
კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლით
არტანამდე (გვ. 140).

„არამედ ქართლიდამ ესე კავკასნი უმეტეს ყოველთა კავ-
კასთა-გან უმაღლესად და მჩენარებენ დიდათ, და ამის-თვის
უწოდესცა სპარსთა იალბუზი, და მარადის მყინვარედ
იხილვებიან. რამეთუ ზაფხულს გზებთა ამათ ზედა
ვლენენ ცხენით, გარნა ჭირითა“... (გვ. 450).

„ხოლო ქურთაულის დასავლით არს ქორბა ვალაგირისა
და ფაიქომისა... არამედ სამთა ამათ ქორბათა მზღვრის. ალ-
მოსაელით, მთა რომელი დიასწერეთ კვესა და თაგაურს შო-
რისი, ჩერქეზის მთამდე. სამჯრით, მთა ხოხის კავკასი, ფრი-
ად მაღალი და მყინვარი, და უმაღლესი ბრუცაბზელ-ზე-
კარისა“ (გვ. 442—444).

ხევის აღწერისათვის მოყვანილი აქვს რამდენიმე მომენტი:

„...კევი... ზაფხულ არს ბალახ-ყვავილოვანი“ (გვ. 224).

„და არს ქორბა ესე მოზღუდული კავკასითა. რამეთუ და-
სავლით აქტეს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასითა და მარა-
დის ყინულით შეკვერცხილი და განპყოფს მთა ესე თა-
გაურს, ჩიმსა და კვესა. აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი,
იგიცა მარადის თოვლიანი“ (გვ. 226).

თავის შრომაში ვახუშტი ბატონიშვილმა გარკვევით დაგვიხა-
სიათა ველური მცენარეულობის ზონებიც.

5.

შესაძლებელია მცხოვან მეცნიერს უსაყვედუროს ვინმემ, რომ ამ
აღწერილობებში დაწვრილებით არ არის ჩამოთვლილი ყოველი ზო-
ნისათვის დამახასიათებელ მცენარეთა ჯგუფი, შინი ფლორისტული
შემადგენლობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მან დასწერა გეოგრაფიადა
არა საქართველოს მცენარეული საფარი და ეს საკითხი მან იძლენად

გააშუქა, რამდენადაც ეს გეოგრაფიას ეხებოდა. ის აღნიშნავს შეკრ-
რეულობის გარკეეულ ტიპებს—„ველს“, მდელოს „ბალახ-ყურეებისა-
ვანს“, „შამბ-ბალახ-შროშნიანს“, „ჭალას“, „ტყეს“, „ბარდიმ-ტრდას-
ჭანჭრობიან ჭალას“, „ეწერს“ და სხვა ამგვართ. ეს ტერმინები უც-
ლელი რჩება სათანადო ტიპისათვის ყოველი ახალი გეოგრაფიული
ადგილის მიმართ, რაც იმას მოასწავებს, რომ ამ ტერმინებში ის გარ-
ძვიულ შინაარსს სდებდა და, მაშასადამე, ყოველი ტიპი გარკევით
ჰქონდა შარმოდგენილი. მას უეჭველად უნდა ჰქონოდა ყოველი მხა-
რისათვის გარკევით დამუშავებული მცენარეულობის სიებიც. ამის
გარეშე შეუძლებელი იყო დაედგინა ისეთი ზონები, ან უფრო სწო-
რად, მცენარეულობის ისეთი ტიპები, როგორიც არის „შამბ-ბალახ-
შროშნიანი“ და „შამბ-ბალახიანი“, რომელთა დადგენას თანამედ-
როვენიც კი უვლიან ზოგჯერ გვერდს სიძნელისა გამო. ამავე დროს
მან გეოგრაფიულადაც საესტილ სწორად და ზედმიწევნით განალაგა
ეს ტიპები.

შესაძლებელია ჩვენი ძველი ლიტერატურის შესწავლამ კიდევ
მოგვცეს ვახუშტი გეოგრაფის ჯერ უცნობი და მეცნიერებისათვის
ხელუხლებელი ნაწერები, რომელიც კიდევ უფრო მეტ ნათელს მო-
ჰქონენ მის ისედაც ნათელ მოღვაწეობას.

ვახუშტი ბატონიშვილის ამ დიდი და უებრო მეცნიერული ნა-
შრომის შემწეობით, რომელიც თავისი სტრილით და მეოთხით
200 წლის შემდეგაც ეხმაურება თანამედროვე მეცნიერებას, შეგვიძ-
ლია დავადგინოთ, თუ რა ცვალებადობა განიცადა საქართველოში
მცენარეულმა საფარმა და არა მარტო ამ უკანასკნელშია, არამედ სა-
ერთოდ ბუნებრივმა პირობებმა.

ამ წერილის დასაწყისში უკვე მოვიყვანეთ საქმაოდ ვრცელი
ამონაწერი რიონის დაბლობის შესახებ:

„...და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ
არს ველი თუ არ აღგილ-აღგილს მცირენი, თვინიერ სახვ-
ნელთა-გან... რამეთუ უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ მხილავ
სრულიადს იმერეთს ტყედ და არა-სადა შენობასაა.“

ეს ლანდშაფტი დღეს საგრძნობლად არის შეცვლილი. უპირ-
ველს ყოვლისა, მაღლიდან რომ გაღმოხვედოთ, „მრავალ შენობა-
საც“ ვიხილავთ, რომელთა შორის სოციალისტური ინდუსტრიის
პირმშონი უკვე ასობით იმშენებენ დღევანდელი იმერეთის ლანდ-
შაფტს. ვაკენი და თავისუფალი აღგილნი მრავლად არიან და ახლა
რომ ენახა ზემომოყვანილი სტრიქონების ავტორს, „ფრიად ტყია-
ნად“ ველარ დასახავდა.

ეს ცვალებადობა განსაკუთრებით მკვეთრია იღმოსავლეთ სა-

ქართველოში და მრავალი ჭალისა და ვაკის ტყეთა ნაცვლად ველნი
და ტრამალები-ლა შეგვრჩა ხელში.

„ხოლო მუხრანის თხოითის მთიდამ მოსდევს შთა დასაე-
ლეთად მტკვრის კიდესა, გორის ქალაქამდე და ეწოდების მთა
წლევისა, მერმე კვერნაქი, არა ამ მთისა ჩდილო კერძო ტყია-
ნი ვიღრე ზეგანამდე, მას ზეით კვერნაჟი უტყეო გორამდე“...

ჩრდილოეთის ფერდობებმაც ამ ხნის მანძილზე იგივე პროცე-
სები განიცადეს, რაც სამხრეთის ფერდობებმა განიცადეს ვახუშტის
ხანამდე და დღესაც ითქმის მათ შესახებ „უტყეო“-ო, რადგან ტყის
თითო-ოროლა ნაშთი და კორომი დაჯაგებულია შევე და ჯაგ-ელი-
ანი ველის შექმნის ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს.

გარდა ამისა ეს ამნაწერი საინტერესოა იმითაც, რომ ვახუშტი
ბატონიშვილი სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდოს ურთიერთს
უპირისპირებს და მას ასეთი დაპირისპირებანი არა ერთხელ და
ორჯერ აქვს.

„ხოლო კვალად ალის წყლის დასაელით არს წყალი სუ-
რამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის სამხრიდამ მტკვარს,
ოსიაურის ზეით. აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის
კიდესა და ღალალულიდამ შოლამდე, არამედ განპეკაფა
94 მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები“ (გვ. 266).

დღეს ამ ადგილს უკვე ტიპიური ჯაგ-ელიანი ველია. ასეთივე
სურათი გვაქვს დიდი და პატარა ლიახვების, მტკვრისა და სხვა მდინა-
რეთა ხეობებზე, რომელთა მიმართ ვახუშტი მოგვითხრობს კალებზე
„ტურფა სანადიროებზე“ და სადაც დღეს ამის მაგვარი აღარაფერია.
ამ მხრივ საგულისხმოა, აგრეთვე, ტაბისყურის ალწერილობაც:

„ტბა ტბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბი-
ლი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი ბალაბ
ყვავილიანი წყაროიანი და კალმახითა სავსე დიდ-წვრილითა
და ფრისად გემრიელითა“... (გვ. 162).

დღეს „გარემო ნაძოვანი და ტყიანი“ მოგონების ამბავილაა.
მისი ნაპირი მხოლოდ ბალახვეანია, რომელთა შორის მთის ველის
ელემენტები საკმაო რაოდენობით მოიძებნება. ამ მხრივ ყველაზე
საგულისხმოა შამბიანის მთის ალწერილობა.

„არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების, შამბ-ბალის სი-
მალისა-გან. რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა
გამოჩნდების: არამედ არს მთა ესე შალალი და ვრცელი. ჩდი-
ლოდამ სამხრით მდებარებს, მარადის არს თოვლი, განა
ყვავილებითა მრავალ-ფერ-შვერნეარითა და მფშვენითა და წყა-
როთა შემკული არს“ (გვ. 154—156).

ეს ამონაშერი, როგორც რამდენიმეჯერ წინათაც აღვნიშნეთ,
მრავლის მთქმელია. ამ ორასი წლის მანძილზე შამბიანის მუშაქარდით
სიერთოდ მთების ამ სისტემაზე არა მარტო მცენარეულობაა შეც-
ლილი, არამედ კლიმატიც. როგორც უკვე აღნიშნული იყო, „შამბ-ბა-
ლახი“ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში აღნიშნული აქვს გალარიბე-
ბულ „სუბალპურ მაღალი ბალახულობის“ შემნაცვლელად. ეს ტიპი
კი დამახასიათებელია კოლხეთის მინავარი მთებისათვის, ნესტიანი
ადგილსამყოფელისათვის, და ველის ელემენტებზე ამ დაჯგუფებაში,
რასაკირველია, ვერც კი ვიფიქრებთ. დღეს შამბიანზე არავითარი
ასეთი „შამბ-ბალახიანი“ ცენოზები აღარ გვაქვს. წინააღმდეგ, ველის
ელემენტები, გამდიდრებული მაღალი მთის მცენარეებით, ჰუარავს
ამ მთას, ე. ი. სრულიად საწინააღმდეგო დაჯვუფება.

„მარადის არს თოვლიო“, რომ აღნიშნავს, ეს უკვე იმის მო-
მასწავებელია, რომ იმ დროს ეს მხარე დანალექებით მდიდარი ყო-
ფილა, თოვლს დიდი რაოდენობით დებდა და ზაფხულიც შედარე-
ბით ზომიერი ყოფილა; დღეს კი „მარადი თოვლი“ აქ აღარ არის.
ივლისის ბოლოსათვის თოვლის ნატამალი იღარც ერთ ამ მთაზე
აღარ ჩანს, სწრაფად დნება ცხელი და თითქმის ნახევრად ველი-
სებრ სიცხეთა გამო.

ცხადია, რომ თუნდაც ამ 200 წლის მანძილზე, ფრიად დიდ
კლიმატურ ცვალებადობასთან გვქონია საქმე, რასაც შედეგად მო-
ჰკოლია მუნების სხვა ელემენტების, მცენარეული საფარის, წყარო-
თა დებეტის და სხვათა ცვალებადობა-გაუარესება. ასეთი მაგალითე-
ბის მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ აქ ესეც კმარა.

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია ფრიად დიდი მასალის
შემცველია მათვისაც, ვისაც საქართველოს მცენარეულობის გენე-
ზისი ინტერესებს და არა მარტო მათვის, მრავალი სხვა დარგის
მეცნიერიც მრავალ შესანიშნავ ცნობას მოიძევებს მასში.

6.

დასასრულ, საჭიროა ერთი ორი სიტყვით აღინიშნოს, ჰყავდა
თუ არა წინამორბედინი ვახუშტი ბატონიშვილს, რომელთაც, თუნდაც
მსოფლიო ლიტერატურაში, მოგვცეს ასეთი ჩამოყალიბებული და
გარკვეული სისტემა მცენარეთა გავრცელების დარგში. უნდა აღინიშ-
ნოს, რომ ამ მხრივ მას არ ჰყოლია წინამორბედინი. მხოლოდ ამ აღა-
მიანის დიდ ერუდიციის და ღრმა განათლებას შეეძლო დაეძლია ის
სიძნელენი, რომელნიც მაშინდელი დროის მკელევარის წინაშე იღვა.

¹ ნ. კ ე ც ხ თ ვ ე ლ ი—საქართველოს მცენარეულობის ტიპები, 1935 წ.

კულტურულ მცენარეთა ზონალობის საკითხს განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი უკვე შექმნა¹ და აღნიშნა, მარტინ დარგში პირველი მცენიერი ვახუშტი ბატონიშვილი იყო, რომელმაც კულტურულ მცენარეთა ზონალობა მოგვცა *De-Candolle*-ზე ასი წლით აღრე და დღეს თუ მცენიერების ამ დარგში პრიორიტეტი ვახუშტის არ ეკუთვნის, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნაწარმოები, დაწერილი 1745 წელს, გამოიკა მხოლოდ ასი წლის შემდეგ, 1842 წელს².

თუმცა ვახუშტის ზოგიერთი შრომა უკვე 1737 წელს იყო ცნობილი ეკროპაში.

„ჯერ კიდევ 1737 წელს ვახუშტისული რუკები ბაქარს ჰქონდა პეტერბურგში. ამ რუკების ასლები ბაქარის ნებართვით და ერთი ქართველის დახმარებით გადაიღო და ფრანგულად სთარგმნა ასტრონომმა და გეოგრაფმა დელილმა³. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ვახუშტის ხელით შესრულებული რუკების წარწერებიდანაც ცხადი ხდება, რომ მცენიერ ბატონიშვილს საქართველოს ისტორიაშე სამეცნიერო მუშაობა 1735 წელზე დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდა დაწყებული. ივტორის მოწმობით ეს რუკები „აწ ახლა დახაზულა“ 1735 წლის დასაწყისში, იანვრის 7-ს (ქართლი), 20-ს (სამცხე-საათაბაგო), 22-ს (მთლიანი საქართველო), 24-ს (კახეთი), 29-ს (შირვანი)⁴.

მიუხედავად ამისა, იგი დიდხანს იყო ჩრდილში მისი შრომის გამოუცემლობის გამო. არც 1842 წ. შემდეგ მიექცა მას დიდი ყურადღება. მცირე იყო გულშემატკიცარი ქართული მეცნიერების ძიებისა.

იგი პირველ ივტორად უნდა იქნას მიჩნეული მცენარეთა განაწილების და გეოგრაფია-გეობორტანიკაში ჩამოყალიბებული ზონების სისტემისა.

პირველად გარკვეულად მცენარეთა კანონზომიერ გავრცელებაზე გამოსთქვა მოსაზრებანი ვილდენოვმა (*Widenow*) თავის ერთ-ერთ შრომაში «Grundris der Kräuterkunden», რომელიც 1792 წელს გამოვიდა⁵. მის შემდეგ მცენარეთა გავრცელების კანონზომიერება-

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი შეკვეთი — საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1930

² მ. ბრისეს გამოცემა, 1842.

³ *Avertissement sur la carte générale de Géorgie, Arménie etc.* (ნ. ბერძნენიშვილის მიხედვით).

⁴ ნ. ბერძნიშვილი — ვახუშტის ბიოგრაფიისათვის, 1941 წ.

⁵ C. Willdenow — *Grundriss Kräuterkunde* 1792.



ზე სწერდა, აგრეთვე, შტრომეიერი 1800 წელს¹. მაგრამ ეს ნაწერი უმთავრესად ისტორიულ თვალსაზრისხე იდგნენ. ხოლო აღმოჩენის ნარეთა გეოგრაფიის მამამთავრიად სთვლიან ალექსანდრე ჰუმბოლტს, რომელმაც 1807 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი ნაშრომი «Ideen zu einer Geographie der Pflanzen»² (იგივე კოტა ადრე, 1805 წ., ფრანგულად გამოსცა)³. ჰუმბოლტი ფართოდ და ლრმად ეხება საკითხს, სწავლობს რა მცენარეულ საფარს ერთი კონტინენტისას, გამოაქვს დასკვნები თუ რანაირად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ეს მცენარეულობა წარსულ გეოლოგიურ ეპოქებში მეორე კონტინენტის მცენარეულობასთან. ის, მაგალითად, ასეთი შესწავლის შედეგად ამტკიცებს, რომ ამერიკა ნაწილი უნდა იყოს აფრიკისა, რომელიც მოსწყდა ამ მხარესთ. 1820 წელს კი De-Candolle-მ⁴ გამოაქვენა შრომა *Geographie botanique*, რომელშიაც გარკვევით აღნიშნა მცენარეთა განსახლება დედამიწის ზურგზე. შემდგომ De-Candolle შეეხო კულტურულ მცენარეთა გავრცელებასაც და ზონალობასაც.

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია სტოკებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ეს მის შემდგომ გამოსული შრომები მას კარგად ჰქონდა შესწავლილი. ყოველ შემთხვევაში ასეთი გარკვეული სისტემა მცენარეთა განლაგებისა, განსაკუთრებით ზონების მიხედვით, გეხედება მხოლოდ ვილდენოვის, ჰუმბოლტის, დე-კანდოლისა და სხვათა ნაწერებში, რომელთაც თავისი შრომები გამოაქვეყნეს ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ 50—100 წლით გვიან. უკვე ეს ადასტურებს იმ დიდ ერთგულისა და ლრმა განათლებას, რომელიც ახასიათებდა საქართველოს ბედის უკულმართი ტრიალის გამო სამშობლოდან განდევნილს მეფისწულს.

გულის ტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ მისი შრომა 100 წლის მანძილზე გამოქვეყნდებოდი იყო და მხოლოდ 1842 წელს გამოიტანა დღის სინათლეზე მარი ბროსემ არქივთა ბნელი სარდაფებიდან და გამოსცა კიდეც მაშინ, როდესაც ვილდენოვის, ჰუმბოლტის, დე-კანდოლისა და სხვ. ნაწერები უკვე რამდენიმე ევროპულ ენაზე იყო გამოცემული. ყოველ შემთხვევაში, ამ მეცნიერების ისტორიაში ვახუშტის ეს ღვაწლი საპატიო ადგილს მაინც უნდა იყოს მოხსენებული.

¹ F. Stromeyer—Commentatio inauguralis sistens historiae vegetabilium, geographicae specimen, Gottingae, 1800.

² A. Humboldt—Ideen zu einer Geographie der Pflanzen, 1807.

³ A. Humboldt—Essais de geographie botanique, 1805.

⁴ A. De-Candolle—Geographie botanique, 1820. Paris, Geographie botanique raisonnée, 1855.

РАСТИТЕЛЬНЫЙ ПОКРОВ В ТРУДЕ ВАХУШТИ – „ГЕОГРАФИЯ ГРУЗИИ“

Р е з у м э

Сын грузинского царя Вахтанга Вахушти родился в 1676 году. До 1724 года он работал в Грузии и принимал активное участие в ее политической жизни. В 1722 году он правил государством (август-ноябрь) в то время, когда царь Вахтанг, во главе своей армии, ждал Петра I в Ширвани.

В 1724 году он эмигрировал в Москву вместе со своим отцом, где и скончался в глубокой старости.

Вахушти всю свою жизнь в эмиграции посвятил науке. Образование он получил при дворе отца и, судя по его научным трудам и некоторым биографическим сведениям, хорошо владел языками соседних стран (персидским, арабским, армянским и др.), а также западноевропейскими (латинским, итальянским, греческим и др.).

Вдали от своей родины, лишенный политической арены деятельности, он всей душой отдался науке и написал несколько капитальных трудов, среди которых выгодно отличаются обстоятельные исследования „История Грузии“ и „География Грузии“. „Географию Грузии“ он закончил в 1745 году. До 1842 года эта книга не издавалась, но распространялась в рукописи и широко была известна среди тогдашнего грузинского ученого мира, и не только грузинского. Свой труд он снабдил подробными картами. К книге приложены общая карта Грузии и карты отдельных районов и областей. Эти карты широко были известны. В 1737 г. французский ученый, астроном и географ де-Лиль скопировал и перевел эти карты. Штаб Кавказской армии долго руководствовался исключительно картами Вахушти.

Впервые книга Вахушти была издана на французском и грузинском языках в 1842 г.

В 1908 г. она переведена и издана на русском языке историком М. Джанашвили; но, к сожалению, по вине последнего перевод пестрит многими неточностями.

Несмотря на то, что Вахушти задумал написать историческую географию, которую выполнил блестяще, он удивительно точно, глубоко и обширно дал также и физико-географическое описание страны.



Впервые в ботанической литературе он в этой обширной книге дает зональность как культурных, так и дикорастущих растений и растительного покрова.

Для характеристики каждой зоны он дает список наиболее требовательных культурных растений, после чего разъясняет: „а другие, менее требовательные, растут хорошо и обильно“ или же—„из-за недостатка культурных почв другие произрастают не в таком большом количестве“.

Обычно, при описании какой-либо большой административно-географической единицы Грузии он дает полный список культурных, а также дикорастущих, пищевых растений.

Так, например, описывая Карталинию в прежних границах, он дает полный список главнейших растений:

„В садах произрастают плодовые деревья, обильно—цитроны, апельсины, лимоны, маслина, гранат, виноград, персик,nectарин, абрикосы, сладкие абрикосы, курага, алыча, ткемали, миндаль, унаби, шелковица, шелковица черная, фисташка, сливы многих сортов, инжир, вишня, черешня, груши и яблоки многих сортов, айва, грецкий орех, фундук, мушмула, лох, дыня, арбуз, душистая дыня, огурцы; в лесах же произрастают: орехи, ткемали, мушмула, лох, хурма, каштан, дикий виноград, вишня, лесная черешня, черемуха, дикая яблоня, дикая груша, боярышница, калина, рябина обыкновенная, рябина круглолистая, глобовина, медвежий орех, барбарис, ежевика многих сортов, грецкий орех и другие, а в горных районах смородина, крыжовник, брусника, черника, голубика и другие в большом количестве“.

„В цветниках цветов много—розы красные, желтые, белые, гвоздика, гиацинты, нарцисы, ирисы, маки многих сортов и еще много цветов разных, разнообразных и многих цветов, в диком виде же фиалка, альпийская фиалка, тюльпан, гвоздика, лилия и других много до ста цветов и до ста родов“.

Также подробно перечисляет огородные и дикорастущие пищевые растения.

После этого уже для каждого ущелья или же микрорайона он дает список растений, присущих этому району.

„Лиганское ущелье очень урожайное, произрастают цитроны, апельсины, лимоны, маслина, гранат, инжир, ви-

ноград, сады украшены и другими плодами и плоды эти восхваляются везде. Зерновые произрастают всякий раз как мало земель, не сеют риса и хлопчатника. По климату—лето жаркое, зима теплая. Близки горы снежные и дачные места полные великолепием, до них дорога на день или на полдня, много родников“.

„Ущелье Тао место с виноградниками, плодами, урожайное всякими зерновыми, горные районы такие же, как Джавахетии“.

„Басианское ущелье—без виноградников и без плодовых садов, зерновые произрастают также, как в Джавахетии“.

Из его подробных описаний каждого района и ущелья выделяются агроботанические зоны. Таких зон пять: 1) зона лимона и апельсина, 2) зона хлопка и риса, 3) зона винограда и др. плодовых, 4) зона пшеницы и других хлебных злаков и 5) зона летних пастбищ.

При характеристике же зон растительного покрова он пользуется геоботаническим методом. Для каждого района он указывает ассоциации, или же формации, так, например, для Рионской долины он указывает на следующие типы растительных группировок: болотный, болотные леса, лиановые леса с подлеском, равнинные леса без лиан и т. д. Флористический метод используется редко. Иногда, если формация чем-либо отличается от обыкновенной формации, непременно отмечает, чем именно эта формация отличается от обыкновенной. Так, например, говоря о горных лесах Атенского ущелья, добавляет: „в лесах этих встречается барбарис“, тут-же разъясняя: „ущелье это жаркое“.

Растительные формации по Вахушти распределены следующим образом.

I. Равнины и низины Зап. Грузии: 1) болотная травянистая растительность, 2) болотные леса, 3) равнинные лиановые леса, 4) равнинные лиановые леса с подлеском, 5) равнинные леса с подлеском, 6) равнинные леса без подлеска.

II. Равнины Вост. Грузии: 1) злаковые степи, 2) растительность солонцов и солончаков, 3) колюче-кустарниковая степь, 4) остатки светлых лесов, 5) тугайные леса, 6) тугайные болотные леса, 7) тугайные лиановые леса.

са, 8) лиановые равнинные леса, 9) равнинные леса без лиан, 10) дубняки равнин.

III. Горные районы: 1) горные лиственые леса, 2) горные еловые леса, 3) пихтово-еловые леса, 4) елово-сосновые леса, 5) горные сосновые леса, 6) субальпийские березняки, 7) субальпийские лиственные леса, 8) колхидское субальпийское высокотравие, 9) субальпийское обедненное высокотравие, 10) субальпийское высокотравие в Восточ. Грузии, 11) субальпийская луговая растительность, 12) альпийская растительность, 13) зона вечных снегов.

Таким образом, для Грузии он выделяет более 30 основных типов и для каждого района он всегда упоминает о тех типах, которые распространены в районе.

При детальном изучении труда эти типы можно распределить также по поясам. Таких поясов по книге Вахушти 11, а именно: 1) пояс низинных лесов, 2) пояс равнинных лесов, 3) пояс тугайных лесов, 4) пояс степей, 5) пояс колюче-кустарниковых степей, 6) пояс горных лесов, 7) пояс субальпийских лесов, 8) пояс субальпийского высокотравия, 9) пояс субальпийской растительности, 10) пояс альпийской растительности, 11) пояс вечных снегов.

Эти типы растительного покрова описаны географом Вахушти с достаточной подробностью, необходимой для общего физико-географического труда. Детального описания ценозов, за некоторым исключением, он не дает, но где это нужно, он в ценозах различает детали. Так, например, ему очень хорошо известно, что субальпийское высокотравие колхидского района к востоку оскудевает и теряет много характерных элементов.

Вахушти в первой половине XVIII века (1730—42 г.) на несколько десятков лет раньше европейских ботаников (*Wildenow* — 1792, *Stromeyer* 1800, *Humboldt* — 1805, *De-Candolle* — 1820 и т. д.) писал о закономерностях растительного покрова, выделяя зоны и пояса как культурных, так и дикорастущих растений. Он создал и классификацию ценозов растительного покрова Грузии. Но так как книга имела другую целеустремленность (главным образом, историческая география), все это в своей книге он не возвел на принципиальную высоту и если она „игнорировалась“ европейскими учеными, то только потому, что была издана через 100 лет после того, как Вахушти ее закончил.*

ალ. ს. ჯაფარიძე

ლობიოს თესვის ვადები და ქვების პრე

თესვის ვადები.—ლობიოს თესვის საუკეთესო დროის განსასაზღვრავად მცირე მასალა მოვალეპოვება, განსაკუთრებით, ლობიოს სიმინდში შეთესვის ვადებზე. ამ საკითხის შესახებ არსებობს მხოლოდ აჯამეთის საცდელი სადგურის მასალები, ქუთაისის საცდელი მინდვრის ცდების შედეგები და საკმაოდ მდიდარი მასალა მიღებული კოლმეურნეობათა და ცალკეულ მოწინავე სოფლის მეურნეთა დაკვირვება გამოცდილებიდან.

აჯამეთის საცდელი სადგური ლობიოს კულტურის თესვის მტკიცე ვადების დასადგენად აწარმოებდა ცდებს 1928—1930 წლებში. ცდები დაყენებული იყო თესლბრუნვის გარეშე, ნოკიერ დანალექ ნიადაგზე. ნიადაგი მუშავდებოდა თებერვალში მაშინ მიღებულ სრულ სიღრმეშე (15 სმ-ზე). საკის გუთნით დ 6 M მოხნული ნაკვეთი მაშინვე იფარცხებოდა თეფშებიანი ფარცხით და ზიგზაგით ერთი მიმართულებით. პირველიდან ხუთ აპრილამდე ნაკვეთი ფხვიერდებოდა 8 სმ-ის სიღრმეშე ორფრთიანი ცხნის გუთნით და თანმიმოლებით იფარცხებოდა კბილებიანი ფარცხით. ამ თანმიმდევრობით მომზადებულ ნაკვეთშე ითესებოდა ლობიო ბუღნობრივად ამერიკული ხელით სათესი მანქანით „აქმეთი“. ამ მანქანით დატესილ ლობიოს გამეჩხერება მხოლოდ ბუღნებში სჭირდებოდა. თითო ბუღნაში იტოვებოდა თითო მცენარე. ლობიოს აღმოცენებიდან ათი დღის შემდეგ ნათესი იმარგლებოდა კულტივატორით მწერივებს შორის და მწერივში ითოხნებოდა თოხით. მეორე გათოხნა მიმდინარეობდა ორი კვირის შემდეგ.

სავეგეტაციო პერიოდში მწერივთა შორის იმარგლებოდა ოთხეურ და მცენარეებს შორის ითოხნებოდა სამჯერ. მეჩხერდებოდა ორჯერ—პირველი და მეორე გათოხნის დროს. მწერივებს შორის იყო 70 სმ და მცენარეებს შორის—20 სმ მანძილი. ცდა დაყენებული იყო ოთხ განმეორებად. საალრიცხვო დანაყოფის სიდიდე უდრიდა 100 მ²-ს, დამცველი ზოლის სიდიდე დანაყოფებს შორის—0,8 მ-ს, დანაყოფის თავსა და ბოლოში—2 მეტრს.

მოსავლის აღება წარმოებდა ხელით (სეკატორით). ალფუნთი ლობით გადმოტანისთანავე იღებოდა ზემონებად ფარდული გახმობის შემდეგ კეტით იცეხვებოდა ბრეზენტზე. მოსავლის აღრიცხვა ხდებოდა მთელი სააღრიცხვო დანაყოფებიდან.

აჯამეთის საცდელი სადგურისა და ქუთაისის საცდელი მინდვრის მასალები ლობით თესვის შესახებ ნაჩვენებია 1-ელსა და მე-2 ტაბულაში.

თესვის ვადების გავლენა ლობითს მოსავალზე

(აჯამეთის საცდ. სადგ. 1928—30 წ.წ.)

ტაბულა 1

თესვის ვადები	მარცვლის მოსავალი გ/ჸა				
	კვების არე	1928 წ.	1929 წ.	1930 წ.	3 წლის საშუალო
პირველი აპრილი	80×20	11,2	8,3	10,3	9,9
15 აპრილი	"	19,8	15,5	18,2	17,8
25 აპრილი	"	17,5	16,4	18,4	17,4
10 მაისი	"	13,4	10,0	14,1	12,5
25 მაისი	"	14,5	10,8	14,6	13,3

აქედან მოგვყავს ქუთაისის საცდელი მინდვრის მიერ სამტრედის რაიონის სოფ. კულაშში ლობითი წმინდად თესვისა და სიმინდში შეთესვის ვადებზე ჩატარებული ცდებიდან მიღებული შედეგები.

თესვის ვადების გავლენა ლობითს მოსავალიანობაზე

(ქუთაისის საცდ. მინდორი)

ტაბულა 2

	კვების არე	მარცვლის მოსავ. გ/ჸა
წმინდად ნათესი 18/IV	80×15	15,6
" " 25/V	"	12,3
სიმინდში შეთესილი 18/IV	"	5,5
" " 25/V	—	1,5

1-ლ ტაბულაში მოყვანილი მასალის მიხედვით კუტი ლობითს მაღალი მოსავალი მიღებულია აპრილის მეორე ნახევარში ნათესი-

დან. ასე, მაგალითად, თხუთმეტ აპრილს ნათესიდან მიღებულია 17,8 ც, ოცდახუთ აპრილს ნათესიდან—17,4 ც შშრალი შედარებით, უფრო ადრე ნათესიდან საგრძნობლად მცირე მოსავალია მიღებული. სახელდობრ, პირველ აპრილს ნათესიდან მიღებულია 9,9 ც ანუ თხუთმეტ აპრილს ნათესიდან მიღებულ მოსავალთან შედარებით 7,9 ც-ით ნაკლები და ოცდახუთ აპრილს ნათესთან შედარებით 7,5 ც-ით ნაკლები. აპრილის მეორე ნახევარში დათესილ ლობიოს მოსავალს, აგრეთვე, ბევრად ჩამორჩება მაისში ნათესი, მაგრამ ათ მაისამდე ნათესს მაინც სჯობია. ათ მაისს დათესილიდან მიღებულია 12,5 ც შშრალი მარცვლის მოსავალი ანუ თხუთმეტ აპრილს ნათესთან შედარებით 5,3 ც-ით ნაკლები. ოცდახუთ მაისს ნათესიდან მიღებულია 13,3 ც, ანუ თხუთმეტ აპრილს ნათესთან შედარებით 4,5 ც-ით ნაკლები.

ასეთსავე სურათს ეხედავთ ქუთაისის საცდელი მინდვრის მასალიდანაც. სახელდობრ, თვრამეტ აპრილს დათესილიდან მიღებულია 15,6 ც, ხოლო ოცდახუთ აპრილს დათესილიდან 12,3 ც, ანუ თვრამეტ აპრილს დათესილთან შედარებით 3,3 ც-ით ნაკლები. ქუთი ლობიოს თესვის ვადების დასადგენად თუ ვისარგებლებთ, აგრეთვე, წარმოების პირობებში დაგროვილ დაკვირვება-გამოცდილებითაც, შეიძლება ვთქვათ, რომ როგორი წესითაც არ უნდა იქნას ლობიო დათესილი (სიმინდში შეთესვით თუ წმინდად ნათესის სახით), მარტში და, ზოგიერთ რაიონში კი, ათ აპრილამდეც თესვა ნაადრევი იქნება. სიმინდის ადრე დათესვა თუ შესაძლოა ან საჭირო რაიმე პირობების გამო, მაშინ ლობიო სიმინდის აღმოცენების შემდგომ უნდა დაითესოს და არა სიმინდთან ერთად. ცხადია, ეს წესად არ უნდა იქნას მიღებული, ვინაიდან ამას სკირდება ზედმეტი მუშახელის და გამწევი ან მექანიკური ძალის დახარჯვა.

საერთოდ, ზედმეტად ადრე თესვა იქრძალულია მთავრობის დადგენილებით, როგორც წესი. მით უფრო ლობიოს თესვა სიმინდივით ადრე 20 მარტიდან გაუმართლებელი და დაუშვებელია. რაიონებში, ჩვეულებრივ, სადირექტოებო ორგანოების მიერ დადგენილ თესვის კალენდარულ ვადებს ადგილობრივი პირობების—ვერტიკალური ზონების, ნიადაგის ტიპისა და სხვ. მიხედვით აკონკრეტებენ. ასეთი ნაბიჯი მოსაწონია, მიზანშეწონილი და აუცილებელიც, მაგრამ ამ ვადების დაკავნერეტებასთან დაკავშირებით ხშირად აწესებენ უფრო ადრეულ ვადებს არა იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ადგილობრივი სპეციფიკური პირობები, არამედ გეგმის ადრე შესრულების მიზნით. ზედმეტად ნაადრევი თესვის შედეგებიც

უმეტეს შემთხვევაში არა დამაკაცოფილებელია. ლობიოს დაბატონი მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ. პირზე იმით რომ მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

ლობიო, როგორც წესი, უნდა ითესებოდეს აპრილში, როდესაც ამ სითბოსმოყვარული კულტურისათვის საქმარისად არის ნიადაგი გამოხარისხისათვის საქმარისად არის ნიადაგი გამოხარისხი. თესვის დაწყება სასურველია თხუთმეტი აპრილიდან. ცალკეული წლების, რაიონებისა და ნაკვეთების მიხედვით შეიძლება უფრო ადრე თესვაც, ზოგან კი, პირიქით, გვინ. დასახელებული ვადები, ცხადია, არ გამოდგება ჩვენი რესპუბლიკის ყველა მრავალფეროვანი რაიონისათვის, მაგრამ ადგილზე საჭირო ცვლილებების შეტანის შემდეგ საბოლოოდ დაწესდება თესვის საუკეთესო ვადები.

კვების არე. ლობიოს მაღალი მოსავლის მიღების საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს კვების არის დადგენას. ნაკვეთის არა-სრული გამოყენება ლობიოს კულტურისათვის ერთ-ერთი მიზეზია მცირე მოსავლიანობისა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სულ სხვადასხვა კვების არე არსებობს ლობიოსათვის. ბევრგან იგი თითო მცირავის სახით არის გაბნეული სიმინდის ნათესში, ბევრგან ბუდნებში სტოკებენ ორ, სამს და ხშირად ოთხ მცირავეს, მაგრამ ბუდნებს შორის მანძილი უდრის 20—40 სმ-ს. ხშირად უწყვეტი მწკრივის სახით არის ნათესი და შიგ მცირავებს შორის არ არის დაცული საერთოდ გარკვეული მანძილი. სიმინდში შეთესილ ლობიოს ძირებს შორის ხშირად 50—100 სმ-მდე მანძილი გვხვდება. ასეთი სიმეჩერის აუცილებლობას ადგილზე მომუშავენი ასაბუთებენ ლობიოს უარყოფითი გავლენით სიმინდის მოსავალზე. ერთი სიტყვით ლობიოს კულტურის კვების არე არ არის გარკვეული და დადგენილი. სამწუხაროდ მცირეა საცდელ დაწესებულებათა გამოცდილებაც ამ საკითხის გადასაჭრელად. საქართველოში ლობიოს კვების არეთა მნიშვნელობის შესახებ მცირეოდენი მასალა მოგვეპოვება მხოლოდ აჯამეთის საცდელი სადგურის მუშაობიდან. აღნიშნულ მასალებს ზოგიერთი გარკვეულობა მაინც შეაქვს ამ საკითხში (ტაბ. 3).

აჯამეთის საცდელი სადგური საუკეთესო კვების არების დასადგენად ცდებს აწარმოებდა 1928—30 წლებში. ცდები დაყენებული იყო ალუვიურ ნიადაგებზე სამშინდვრიან თესლბრუნვაში (სიმინდი, ლობიო, სოია).

ნიადაგი მუშავდებოდა შემოდგომიდანვე (ნოემბერში) 15 სმ-ის სილრმეზე საკის გუთნით დ 6 M. მოხნული ნაკვეთი ხელუხლებელი რჩებოდა გაზაფხულამდე. ადრე გაზაფხულზე ტარდებოდა ფარცვა თეთშებიანი ფარცხით ორი მიმართულებით. დათესვის წინ

ათი დღით ადრე ხნული ფხვიერდებოდა ორტანიანი ფრთხობოდა /
ლებული ცხენის საოში გუთით და შემდეგ თანმიყოლებით და უფრო უფრო
ცხებოდა კბილებიანი ფარცხით.

ლობიო ითესებოდა ამერიკული ხელით სათესი მანქანით „აკმე-
თი“ დაჭიმულ ზონარზე. აღმოცენებიდან ათი დღის შემდეგ იმარგ-
ლებოდა და თანმიყოლებით ითოხნებოდა მცენარეებს შორის. მეო-
რედ იმარგლებოდა და ითოხნებოდა თხუთმეტი დღის შემდეგ. სულ
სამჯერ გაითოხნა ხელით და ჩატარდა ოთხი კულტივაცია. მწერი-
ვებს შორის მანძილი უდრიდა 70 სმ²-ს.

ცდა დაყენებული იყო ოთხ განმეორებად. სააღრიცხვო დანა-
ყოფის ზომა უდრიდა 200 მ²-ს, დამცველი ზოლისა კი — 0,8 მ-ს,
დანაყოფის თავსა და ბოლოში — ორ-ორ მეტრს. მოსავლის აღება
წარმოებდა ხელით (სეკატორით). აღებული ლობიო იდგმებოდა
ფარდულში პატარა ზვინებად და გახმობის შემდეგ კეტით იცესვე-
ბოდა ბრეზენტზე. მოსავლის აღრიცხვა ხდებოდა მთელი სააღრიც-
ხვო დანაყოფებიდან.

კვების არის გავლენა ლობიოს მოსავლიანობაზე

(აჯამეთის საცდ. სადგური)

ტაბულა 3

	კვების არე	მშრალი მარცვლის მოსავ. ც/ჸა				
		1928 წ.	1929 წ.	1930 წ.	3 წლის საშუალო	
1	გურული ლობიო (ბუჩქობრ. ფორმა)	80×10	14,4	11,5	13,8	13,2
		80×20	14,9	12,7	14,3	13,9
		80×30	9,3	8,0	9,1	8,8
		80×35	7,1	5,3	6,8	6,4
2	კახური წითელ-ჭრელი (ბუჩ- ქობრ. ფორმა)	80×10	17,6	13,9	15,9	15,8
		80×20	17,1	12,7	16,8	15,5
		80×30	10,5	8,3	11,5	10,1
		80×35	8,3	6,5	8,6	7,8

ამ ციფრობრივი მასალის მიხედვით დასახელებულ კვების არე-
თა შორის ლობიოს მაღალი მოსავალი მიღებულია თითქმის უმცი-
რესი კვების არიდან. სახელდობრ, წითელ-ჭრელი კახურის უდიდესი
მოსავალი 15,8 ც მიღებულია 80×10 სმ (800 სმ²) კვების არეზე,
ხოლო 80×20 (1600 სმ²), ე. ი. ოჯგურ უფრო მეტ კვების არეზე

ლობიოს მოსავალი უდრიტდა 15,5 ც-ს. კვების არის გადიდებული ერთად (80×30 და 80×35) მოსავალი საგრძნობლად მცირდებოდა გურული ლობიოს მაღალი მოსავალი 13,9 ც მიღებულია 80×20 (1600 სმ²) კვების არეზე, 80×10 (800 სმ²) კვების არის დროს კი—13,2 ც. დასახელებული კვების არებიდან გურულ ლობიოს მოსავალში განსხვავდა იმდენად მცირეა, რომ 80×10 კვების არესთან შედარებით 80×20 კვების არეს უპირატესობა გადაჭრით არ მიექუთვნება. დანარჩენ კვების არებზე კი, როგორიც არის 80×30 (2400 სმ²) და 80×35 (2800 სმ²), ლობიოს მოსავალი გაცილებით უფრო მცირეა..

ამგვარად, ორივე ჯიშის ლობიო კარგად ვითარდება და მალალ მოსავალს იძლევა 80×10 და 80×20 სმ-ის არეზე. ამავე დროს, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ლობიოს მწყრიცხვი მცენარებს შორის ნიადაგის დამუშავების ხარისხობრივად ჩატარება უფრო მოხერხებულია 15—10 სმ-ის მანძილის არსებობის დროს, შესაძლოა უპირატესობა 10 სმ-თან შედარებით 15 და 20 სმ-ს მიეცეთ. მით უფრო, რომ ასეთი კვების არის დროს თუ მეტი არა, ნაკლები მოსავალი არ ყოფილა მიღებული.

ზევით უკეთ აღვნიშნეთ, რომ ჩემულებრივ სამეურნეო სინამდვილეში ლობიო ძალიან მეჩხერად ითესება. ლობიოს ნათესების უფრო მეტად შემჭიდროება აუცილებელია მოსავლის გასადიდებლად. მოყვანილი მასალების მიხედვით კუტი ლობიოსათვის მცენარებს შორის მანძილი უნდა იყოს თხუთმეტი—ოცი სმ და თითო მცენარის ნაცელად ბუდნაში უნდა დაიტოვოს რამდენიმე მცენარე. ასეთივე დგომა-კვების არე უნდა იქნას დაცული სიმინდში შეთესილი ლობიოს მიმართაც.

აღნიშნული კვების არე, ცხადია, შეიძლება შეიცვალოს ნიადაგის ნაყოფიერების, ჰავის ხასიათისა (გვალვიანი, ტენიანი) და სხვა პირობათა მიხედვით.

კარგად დაყენებული სათესი მანქანით დათესილი ლობიო სულაც არ საჭიროებს გამეჩხერებას. ლობიოს გამეჩხერება არ არის აუცილებელი, მით უფრო იმიტომ, რომ რამდენიმე მცენარე ერთად კარგად ვითარდება და კარგი მსხმიარობაც აქვს. აღნიშნული კვების არის დაცვა და მასზე შესაბამისი რაოდენობით ლობიოს თესვა მნიშვნელოვნად გაადიდებს მის მოსავალს.

სასურველია რათა სიმინდის ძირებს შორის თითო ბუდნაში დაიტოვოს ორი და სამი მცენარეც კი.



აღნიშნული ცდების შედეგებისა და წარმოების პირობების შეზღუდვების დაკვირვება-გამოცდილების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ლობიოს (კუტი ფორმების) თესვის ვადებისა და კვების არის შესახებ შესაძლოა შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. დასავლეთ საქართველოს პირობებში, კუტი ლობიოს ყველაზე დიდი მოსავალი მიღებულია თხუთმეტიდან ოცდასუთ აპრილამდე დათესილი ლობიოდან. უფრო ადრე და გვიან (მაისის) ნათესი იძლევა გაცილებით უფრო ნაკლებ მოსავალს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ნათესი ლობიოს მოსავლის ალება, უმეტეს შემთხვევაში, არ ემთხვევა წვიმებს.

2. ლობიოს (ბუჩქობრივი ფორმების) ჯიშები—„გურული“ და „კახური წითელ-ჭრელი“ დასავლეთ საქართველოს პირობებში, აჯამეთის საცდელ სადგურზე ჩატარებული ცდებისა და წარმოების გამოცდილების მიხედვით, ყველაზე დიდ მოსავალს იძლევა 80×10 (800 სმ²) და 80×20 (1600 სმ²) მანძილზე თესვის შემთხვევაში.

ა. ს. ჯანარიძე

СРОКИ ПОСЕВА И ПЛОЩАДЬ ПИТАНИЯ ФАСОЛИ В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

р е з ю м а

На основе результатов указанных опытов и наблюдений в производственных условиях Западной Грузии, по вопросам срока сева и площади питания кустовой формы фасоли, можно вывести следующие выводы:

1. По данным Аджаметской опытной станции, самый высокий урожай фасоли получен при посеве во второй половине апреля 15/IV—25/IV. Более ранние апрельские и поздние (майские) посевы значительно снижают урожайность.

Одновременно нужно отметить, что уборка фасоли посева 15/IV—25/IV не совпадает с дождливым периодом.

2. В условиях Западной Грузии, сорта фасоли „Гурийская“ и „Кахетинская краснопестрая“, как видно из

данных Аджаметской опытной станции, самый ^{высокий} урожай дали при площади питания 80×10 (800 см^2) и 80×20 (1600 см^2). Увеличение площади питания 80×30 (2400 см^2) и 80×35 (2800 см^2) резко снижает урожай фасоли.

A. DJAPARIDZE

FIME OF SOWING AND FEEDING AREA OF BEANS IN THE WESTERN GEORGIA

Summary

On the basis of our experiments and observations over the time of sowing and feeding area of beans in the field conditions of the Western Georgia the following conclusions can be drawn:

1. According to the data of Adjameti Experimental Station the highest yield of beans was obtained from those sown in the second half of April (Apr. 15—25). The yield of beans which had been sown earlier (in April or in March) was considerably reduced.

It should be also noted that harvesting of beans sown in the second half of April does not coincide with the period of rains.

2. In the conditions of the Western Georgia the highest yield was obtained from the varieties „Gurian“ and „Kakhetian red-motley“ on the feeding area of 80×10 (800 sq. cm.) and 80×20 (1600 sq. cm.), as it was proved by the data from Adjameiti Experimental Station. With the extension of the feeding area to 80×30 (2400 sq. cm.) and 80×35 (2800 sq. cm.) the yield was greatly reduced.

დოც. ი. ლ. აგაშიძე

მეურნეობის ჯარმოების საკითხებისათვის ბზივის ხეობის
ბზის კონკრეტული

საქართველოში როგორც ვილურად, ისე ხელოვნურად გავრცე-
ლებულ ტყის მრავალ ჯიშში, ყველაზე ძვირფასს ჯიშს წარმოად-
გენს ბზა უაღრესად კარგი ღირსების მერქნის გამო. ბზის მერქანს
ტექნიკური და მექანიკური თვისებებით ვერ შედეგება საბჭოთა
კავშირში გავრცელებული ვერც ერთი ტყის ჯიში.

ბზის მერქნის მეტად მრავალმხრივი და მრავალნაირი გამოყე-
ნება ცნობილია უხსოვარი დროიდან. საქართველოში, ისევე რო-
გორც სხვა ქვეყნებში, ბზის ძვირფასი კორომები თითქმის მოსპობი-
ლია წარსულში ვერაგული ექსპლოატაციის შედეგად. ა. ს. გამრეცე-
ლოვის მონაცემებით ცნობილია, რომ მხოლოდ აფხაზეთიდან გა-
დიოდა ყოველწლიურად 220.000 ფუთი ბზის მერქანი. ასეთი დიდი
ექსპლოატაცია და ბზის მეტად ნელი ზრდა თავიდანვე უწყობდა
ხელს მისი კორომების შემცირებას. ამის შედეგად, საქ. საბჭოთა
სოციალისტურმა რესპუბლიკამ წინათ არსებული ძვირფასი კორო-
მების ნაცვლად მიიღო ალაგ გატიტვლებული ადგილები, ილაგ კი—
დაშლილი, გამეჩერებული და გაჩანაგებული კორომები. ამეამად,
ბზის ხელუხლებელი კორომები შერჩენილია ძალიან მცირე ფართო-
ბებზე, მიუდგომელ ადგილებში, სადაც გაძნელებული იყო ექსპლოა-
ტაცია. ამრიგად, წარსულში უსისტემო ჭრისა და არა სწორი ექს-
პლოატაციის შედეგად ძლიერ შემცირდა ბზის ტყები საქართვე-
ლოში, კერძოდ, აფხაზეთში, სადაც ყველაზე მეტი და უკეთესი კო-
რომები მოიპოვებოდა. ამეამად, აქ ბზას უკავია სულ 2609,4 ჰა.
აღნიშნული ფართობი ძალიან მცირება თუ მივიღებთ მხედველობაში,
ერთი მხრივ, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ბზის კორომების
უფრო ნაკლებად არსებობას და, მეორე მხრივ, იმ გარემოებას, რომ
აღნიშნული ფართობები სუფთა ბზის კორომებით კი არ არის წარ-
მოდგენილი, არამედ შერეულით, რომელშიაც ბზას სულ მცირე
ადგილი უჭირავს. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ
ბზა საბჭოთა კავშირში გავრცელებულია მხოლოდ საქართველოში

და ამ კორომებშია უნდა უზრუნველყონ როგორც ექსპორტურას ჩვენი მზარდი მოთხოვნილებანი ბზის მერქანზე. გვიპარები

საქართველოს სატყეო მეურნეობისა და მრეწველობის სხვა ძირითად საკითხებთან ერთად შესწავლილი და გადაწყვეტილი უნდა იქნეს ბზის პრობლემაც. ერთ-ერთ მთავარ საკითხად უნდა ჩაითვალოს ბზის კორომების მიმართ ისეთ სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა გამომუშავება, რომელიც უზრუნველყოფენ მომავალში სწორი მეურნეობის წარმოებას. მარგვრაფის, გამრეცელოვის, კუჭნეცოვის, სოკოლოვის, პოვარნიცინისა და ბუდიანსკის შრომები ვერ აქმაყოფილებენ ბზის ტყეებში მეურნეობის სწორად წარმართვის საკითხს, ვინაიდან აღნიშნული ავტორები სწავლობენ ბზას, უმთავრესად, ბოტანიკური, ქოლოგიური და მერქნის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და დადგენილი ბზის კორომებისათვის ჭრის სათანადო სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც მერქნის მაქსიმალური გამოსავალი, ისე მათი განახლება. არ არის დამუშავებული აოც მოელითი ჭრის საკითხები და არც ბუნებრივი განახლებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებანი.

ამრიგად, საჭიროა ახლო მომავალში შესწავლილ და გადაწყვეტილ იქნას ყველა აღნიშნული საკითხი, რათა გავაფართოოთ არსებული ბზის კორომები, ამით გავთავისუფლდეთ მისი მერქნის იმპორტისაგან და ამავე დროს შევინარჩუნოთ საქართველოს ტყეებში მესამეული პერიოდის რელიეფური ჯიში.

ბზის ეკოლოგიური თვისებები. ბზა, როგორც დღევანდელი ბუნებრივი გავრცელების არეალიდან ჩანს, რბილი და ტენიანი ჰაერის დამახასიათებელ ჯიშს წარმოადგენს. ა. ს. გამრეცელოვი აღნიშნავს, რომ მისი სრული განვითარებისათვის საჭიროა წლიური საშუალო ტემპერატურა $+ 12^{\circ}$. ო. მარგვრაფის მიერ კი აღნიშნულია, რომ ბზა იტანს -20° ყინვებს. ეს დასტურდება, ერთი მხრივ, მის დიდ სიმაღლემდე (ზღვ. დონიდან) ასელით და, მეორე მხრივ, ხელოვნური გავრცელების არეალის მრავალი მაგალითით. ასეთია თუნდაც აღმოსავლეთ საქართველოს კონტინენტალური ჰაერის პირობები. ბზის ყინვა-გამძლეობა, სითბოსადმი მოთხოვნილებასთან ერთად, უნდა მიეწეროს მის დიდი შეგუების უნარიანობას (პლასტიკურობას). ასეთსავე თავისებურებას იჩენს ბზა სხვა კლიმატური ფაქტორების მიმართაც.

ბზის ვერტიკალური გავრცელების უკანასკნელი საზღვრის შესახებ ლიტერატურაში მეტად სხვადასხვაგვარი მონაცემი მოვალეობა. აღსანიშნავია, რომ ეკროპაში ბზა გაცილებით მაღლა არის გავრცელებული მთებში, ვიდრე საქართველოში, ასე, მაგალითად,

საფრანგეთში, ვ. ა. პოდარნიცინის მონაცემებით, ბზა აღის 1670,
ესპანეთში—1900 და საბერძნეთში—2000 მეტრამდე ზღვის ჩრდილოეთ
დან, იმ დროს, როდესაც საქართველოში ი. ს. მედვედევის შონა-
ცემების მიხედვით, იგი არ სცილდება 1500 მ-ს. ამავე დროს, მთელ
კავკასიაში ვამწინევთ სიჭრელეს ბზის ვერტიკალურ გავრცელებაში.
კავკასიისათვის ზოგი ავტორი (ს. გოლიცინი, ს. ი. სოკოლოვი,
ო. მარგვარაფი) აღნიშნავს, რომ ბზა აღის 500—600—750 მ-ის სი-
მაღლემდე ზღვის დონიდან, ზოგი კი (ა. ს. გამრეკელოვი, ნ. ბუში,
ი. მედვედევი) მისი ვერტიკალური გავრცელების უკანასკნელ საზ-
ღვრად თველის 1200—1300—1500 მეტრს. ჩენ ფასანაურის ხეო-
ბაში გვინახავს ხელოვნურად გავრცელებული ბზა 1700 მეტრის სი-
მაღლეზე. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ასეთ სიმაღლეზე იძლევა
მომწიფებულ თესლებს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ბზის ვერტიკალური გავრ-
ცელების უკიდურესი საზღვარი შავი ზღვის განაპირო რაიონების
სხვადასხვა ადგილზე ერთნაირი არ არის და მეტყობს 500-დან
1500 მ-მდე. აღნიშნული საესებით დასაშვებია თუ მივიღებთ მხედ-
ველობაში მთაგორიანი პირობების სირთულეს და მასთან დაკავში-
რებული ცალკეული რაიონების რელიეფის დიდ სიჭრელეს. ამავე
დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ ბზა აფხაზეთის პირობებში საუკუ-
თესოდ იზრდება ტევების ქვედა სარტყელში ზღვის დონიდან
300—500 მ-მდე მდინარე გეგასა და რიცას აუზებში. სწორედ ამ
სიმაღლეებზე გვხვდება ბზის ისეთი კორომები, რომელთა ბადალს
ვერ ვიპოვით არამც თუ საქართველოში, არამედ, შეიძლება ითქვას,
მის ბუნებრივად გავრცელების ქვეყნებშიც.

ბზის ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა თბილი ჰავა, ამასთა-
ნავე, ჰაერისა და ნიადაგის დიდი ტენიანობა. იგი ბზიტის ხეობაში
და ბუნებრივი გავრცელების სხვა ადგილებში გვხვდება, უმთავრე-
სად, შეკრულ და ღრმა ხეობებში, რომელთა ნიადაგი ტენიანობით
ხასიათდება. ეს აღნიშნული აქვთ, აგრეთვე, ნ. მ. ალბოვს, ო. მარგ-
ვრაფის, ა. ს. გამრეკელოვს, ს. ი. სოკოლოვს და ასოსკოვს. საყუ-
რადლებოა, რომ ბზა, ამავე დროს, სიმშრალის მიმართაც მეტად
დიდი შეგუების უნარს იჩენს.

ბზის აღნიშნულ თვისებას ცხადყოფს მისი ხელოვნური გავრცე-
ლება აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი ჰავის პირობებში. საგუ-
რამოს ქედზე არსებული ბზის გავრცელებული ბუჩქნარები, რომლე-
ბიც აწერილი აქვს ნ. ა. ტროიცკის, ხასიათდება კარგი ბუნე-
ბრივი განახლებით, ისევე ითქმის დავით გარეჯელის მონასტრის

ეწოში (უდაბნო) არსებულ ბზის ხეზე (სიმაღლე 6 მეტრი), რომელიც
იზრდება უტყველ, მშრალ, ცხელსა და ნალექებს მოკლებულ-უდინეს
ნოს პირობებში. ბზის ასეთივე კარგი ზრდა ემჩნევა აღმოსავლეთ
საქართველოში არსებულ, ე. წ. ხატის ტკიებში, საღაც იგი თითქმის
ყველგან ხელოვნურად არის შეტანილი. ზოგ ასეთ აღვილას იგი
მშვენიერი ბუნებრივი განახლებით ხასიათდება. მრავალი ასეთი მა-
გალითით დასტურდება, რომ ბზა დიდ მოთხოვნილებას აყენებს რა
ტენიანობის მიმართ, ამავე დროს კარგად გვუძნა სიმშრალესაც. მაგ-
რამ ასეთ პირობებში იგი არ იჩენს მისთვის დამახასიათებელი ზრდის
უნარს. მიუხედავად ა. ს. მარგვარაფის, ი. ს. მედვედევისა და ბუდი-
ანსკის მონაცემებისა, რომ თითქმის ბზის ზრდისათვის აუცილებელ
საჭიროებას წარმოადგენდეს შავმიწა ნიადაგი, აფხაზეთში იგი გვხვდე-
ბა თითქმის ყოველგვარ ნიადაგზე. ასეთსავე სამართლიან დასკვნამდე
მიღიან ნ. ი. კუზნეცოვი, ს. ი. სოკოლოვი და სხვები. როგორც
დაკვირვებიდან ჩანს, ბზა დიდ მოთხოვნილებას არ აყენებს ნიადაგის
მიმართ. იგი ბზითის ხეობაში გვხვდება ქვიშარ, თიხნარ, უხეშ ჩონ-
ჩხიან, ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებზე და ხევის ნაპირებზე—კლდებ-
ზედაც კი. მაგრამ ბზა საუკეთესოდ მაინც ჰუმუსით მდიდარ (გადა-
მპალ-კარბონატულ) ნიადაგებზე იზრდება. ამ ნიადაგებს მუქი ფერი
აქვთ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენს შავმიწა ნიადაგებს, როგორც
ეს წინათ ეკონათ, (მაგ., გ. ი. ტანტილიევს).

ბზა უნდა ჩაითვალოს კალციუმილად, რაღვან მისი გავრცელე-
ბის არეალთან, თითქმის ყოველთვის, დაკავშირებულია ნიადაგში
კირის არსებობა. არის შემთხვევები, როდესაც იგი უკირო ნიადა-
გებზედაც გვხვდება. ბზა გავრცელებულია ტუტე და ნეიტრალურ,
ძალიან იშვიათად, სუსტ მეავე ნიადაგებზე. ნიადაგის სილრმის მი-
მართაც არ იჩენს იგი დიდ მოთხოვნას, ვინაიდან უმთავრესად ივი-
თარებს გვერდითს, ხოლო ნაკლებად მთავარ ფესვებს. საერთოდ
უნდა ითქვას, რომ ბზის მძლავრი ფესვთა სისტემა უფრო ღრმა
ნიადაგებზე ახასიათებს.

ბზა სინათლისადმი მოთხოვნილების მხრივ მეტად საყურად-
ლებო ჯიშს წარმოადგენს. მას ჩრდილის ამტანობასთან ერთად ახა-
სიათებს სინათლისადმი დიდი მოთხოვნილებაც. ნ. ი. კუზნეცოვი ალ-
ნიშნავს, რომ სწორედ ამ თვისებამ მისცა ბზის საშუალება, რათა მესა-
მული პერიოდიდან დღემდე მოეხწია. ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ
ზედა საბურვლის შეთხელებით მეორე იარუშში ბზა დიდად მატუ-
ლობს ზრდაში. ბზა თავისი ზრდის ფაზების მიხედვით მოითხოვს

სხვადასხეაგვარ განათებას: ახალგაზრდობაში ზომიერს, პიმენები
კი—დიდს.

ბზიფის ხეობის ბზის ტუები და მათი ბუნებრივი განახლება.
ამჟამად აფხაზეთში ბზის კორომებს უკავია 2609,4 ჰა. აქედან ბზიფის
რაონიში მოიპოვება 1204 ჰა, ე. ი. თითქმის 50%. აღნიშნული ტყეები
მდებარეობს მდინარე ბზიფის გაყოლებით, დაწყებული სოფელ კალ-
დახვარიდან ამ მდინარის შენაკადების აუზებში. ვერტიკალური მი-
მართულებით ბზა ამ ხეობაში არ სცილდება 950 მეტრს ზღვის დო-
ნიდან. იგი ყველგან სხვა ჯიშებთან არის შერეული და ახასიათებს
არათანაბარი ჯგუფური გავრცელება ფართობზე. ზოგ კორომში
იგი სრულიად არ მოიპოვება. სხვა ჯიშებთან შერეულია სხვადასხვა
რაოდენობით 10 % -მდე. უფრო მეტად შერეულია ფოთლიან ჯი-
შებთან, ნაკლებად კი—წიწვიანებთან. ყველა გამოკვლეულ კორომში
ბზის უფრო ხშირად მეორე და მესამე სართული უჭირავს. ამ ჯიშის
ასეთი არათანაბარი გავრცელება, კორომებში მონაწილეობა სხვადა-
სხვა რაოდენობით და მეორე-მესამე სართულებში არსებობა შედეგი
უნდა იყოს, ერთი მხრივ, მისი ეკოლოგიური თავისებურებისა,
ხოლო, მეორე მხრივ, ბზიფის ხეობაში ოროგრაფიის სირთულით
შექმნილი ეკოლოგიური ფაქტორების ხშირი ცვალებადობისა. ბზი-
ფის ხეობაში ბზის ზრდა-განვითარებისათვის ჩამოყალიბებულია მე-
ტად სხვადასხვაგვარი გარემო პირობები, რის გამოც ცხადია იგი
ერთნაირი ზრდით და ბუნებრივი განახლებით არ უნდა ხასიათდე-
ბოდეს. გარემო პირობების მიხედვით აქ ბზის კორომები შეიძლება
დაჯგუფდეს შექმდევნაირად:

1. ბზია ალუვიალურ ნიადაგებზე (კუზნეცოვი),

უკავია 164,1 ჸა = 13, 4%

2. ბზია ღორლიან ქაოსზე (კუზნეცოვი), უკავია 10,1 ჸა = 1,0%

3. ბზია ხევების ნაპირა ციცაბო კლდეებზე (კუზნეცოვი),

უკავია 39,7 ჸა = 4,9%

4. ბზია შედარებით მშრალ აღგილმდებარეობაში,

უკავია 204,0 ჸა = 16,5%

5. ბზია შედარებით ტენიან აღგილმდებარეობაში

უკავია 786,1 ჸა = 64,2%

სულ 1204 ჸექტარი = 100%.

პირველი სამი ჯგუფი გამოყოფილი აქვს კუზნეცოვს თავის
შრომაში და აღგილზე ჩატარებული ჩვენი დაკვირვებით შეეფერება
სინამდეილეს, ორი უკანასკნელი ჯგუფი კი ჩვენ მიერ არის მოცე-

შული მეურნეობის წარმოების გაადვილების თვალსაზრისით, კონკრეტულად მოყვანილი ციფრობრივი მასალიდან ჩანს, ამ ჯგუფებში კულტურული გავრცელებულია მეხუთე — „ბზა ტენიან ადგილმდებარებული მომენტის 64,2% უკავია. სხვა ჯგუფებს თითქმის დაკარგული იქნა სამრეწველო მნიშვნელობა, განსაკუთრებით ციცაბო კლდეებზე არსებულ ბზის ბუჩქნარებს.

პირველი ოთხი ჯგუფისათვის, რომლებსაც უმნიშვნელო ფართობი უკავია და ნაკლებ წარმადნი არიან, საჭიროა მოვლა, მეხუთე ჯგუფისათვის კი, მოვლასთან ერთად — ექსპლოატაციაც. ქვემოთ შევეხებით მხოლოდ ამ უკანასკნელ ჯგუფს.

აღნიშნული ჯგუფი თავისი გავრცელების დიდ ფართობებზე არ რჩება უცვლელი, ე. ი. არ ხასიათდება ერთგვარობით როგორც ჯიშთა შემადგენლობის, ისე ნიადაგის მხრივ. გავრცელების მთელ ფართობზე ბზისათვის დამხასიათებელია მხოლოდ ჰუმუსის დიდი რაოდენობა და კირის არსებობა ნიადაგში.

